ლელო
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 მაისი **ორშაბათი** 2010
№ 107 (13 095) ფასი 60 თეთრი



» გვერდი

# დინამომ ბაია აჭირა

» გვერდი 2-3




## ქეცბაიამ კაშია და კობზაძე შეიგულა

» გვერდი 4







გუშინ ეროვნულზე. დინამო-ბაია 3:0. მესამე გოლი თენგიზ ჩიკვილაძემ გაიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## ფინალისტები ითხოვენ: ნუ გვათამაშებთ 2 საათზე!

» გვერდი 4

# ლამაზი რვიანი და ბუნდესნუნაობა






ევროთასები » გვერდი 6-10

09.05. თბილისი. ეროვნული
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 3 |
| ბაია | 0 |

1:0 აკირემი (40. შ. კაშიას პასით), 2:0 შ. კაშია (45-პენ), 3:0 ჩიკვილაძე (82)

დინამო: ლორია - თომაშვილი, კაკუბავა, კრსტესკი, ჩიკვილაძე - შ. კაშია, ედნილსონი, თექთურმანიძე (70. მამუჩიშვილი), კოშკაძე, კახელიშვილი (56. რობერტინიო) - აკირემი (46. ვანაძე).

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ჩადუნელი, ლექვთაძე, ჯუისი

ბაია: სომხიშვილი - ს. თოდუა, ყველაშვილი, კვესეიშვილი, აკობია - ჩისამბა ლუნგუ, გუგუჩია, ვართაგავა, ნურნუმია (80. გ. ქირია) - ფიფია (80. ჭკადუა), ეხვაია (59. სამადაშვილი).

*სათადარიგოები:* ზარქუა, აქუბარდია, ბაკარანძე, სახოკია.

გაფრთხილება: ვართაგავა (44), ედნილსონი (67)

გაძევება: კოშკაძე (78), ჩისამბა ლუნგუ (78)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი


სახიფათო მომენტი ბაიას კართან
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დასკვნითი ნაბიჯი ვერცხლისკენ

ვერ ვიტყვით, რომ ეს მატჩი მეტოქეებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ „დინამოსა" და „ბაიას" საკუთარი ამოცანა ბოლომდე ჯერ არ შეუსრულებიათ - თბილისელები ვერცხლის მედლებისთვის იბრძვიან, ზუგდიდელები კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. გუშინდელი გამარჯვებით „დინამომ" მეორე ადგილისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, „ბაიას" კი მარცხის მიუხედავად, მიზნის მიღწევის შანსი გაეზარდა, რადგან გუშინ მისი კონკურენტი „ლოკომოტივიც" დამარცხდა.

ორივე გუნდმა კაპიტნის გარეშე ითამაშა. დისკვალიფიკაციის გამო, „დინამოს" **გურამ კაშია** აკლდა, „ბაიას" კი **როინ ონიანი**. მათ არყოფნაში მასპინძლებს **ალექსანდრე კოშკაძემ** უკაპიტნა, სტუმრებს - მეკარე **გიორგი სომხიშვილმა**.

სხვათა შორის, პირველი ტაიმი სტუმრებს ურიგოდ სულაც არ ჩაუტარებიათ. „დინამომ" თავიდანვე რომ მოიპოვა უპირატესობა, ეს გასაკვირი არაა, „ბაია" კი თავიდან მეტოქის იერიშებს კარგად უმკლავდებოდა და დაცვაშიც მყარად იდგა. მატჩის პირველი ნახევრის დასკვნით ნაწილს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, **კახა კაჭარავას** გუნდს მოწინააღმდეგის კართან განსაკუთრებული ხიფათი არ შეუქმნია. 40 წუთამდე გასახსენებელი მხოლოდ **თენგიზ ჩიკვილაძის** მიერ ოდნავ არაზუსტად შესრულებული ჯარიმა იყო.

სამაგიეროდ, პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში „დინამომ" გამარჯვების დაბევება შეძლო. შოთა კაშიას მიერ ჩაწოდებულ ბურთს კოშკაძემ ვერ მიუსწრო, სამაგიეროდ, ბურთი უმეთვალყურეოდ მიტოვებულ **ჯორჯ აკირემის** მიუვიდა, რომელსაც ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია.

ზედ შესვენების წინ არბიტრმა კოშკაძისა და **ლევან ვართაგავას** ბრძოლისას ზუგდიდელთა კარში პენალტი დანიშნა, რაც „ბაიას" ფეხბურთელებმა აქტიურად გააპროტესტეს. ბუნებრივია, მსაჯს გადაწყვეტილება არ შეუცვლია და **შოთა კაშიამ** თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა - 2:0.

მეორე ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით ნორმალური იყო. „ბაია" თამაშის გადარჩენის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ამ ამოცანის შემსრულებელი არ იყო. სტუმრებს მონდომება არ დაუკლიათ და აქტიურად უტევდნენ, მაგრამ მხოლოდ ნახევრადმომენტების შექმნას ახერხებდნენ. გასახსენებელია **გოგი ფიფიას** დარტყმა ახლო მანძილიდან, რომელიც „დინამოს" კარს ოდნავ აცდა. „დინამოს" მეკარე **გიორგი ლორიას** მთელი მატჩის განმავლობაში საქმე თითქმის არ ჰქონია.

მეორე ტაიმის მთავარი ამბავი მეტოქეთა შემადგენლობის შეთხელება იყო, ეს კი ასე მოხდა: კოშკაძემ ლუნგუს წინააღმდეგ იუხეშა, საქართველოს მოქალაქეობამიღებულმა ზამბიელმა ნერვები ვერ მოთოკა და დინამოელზე გაიწია. თავის მხრივ, არც კოშკაძემ დაუთმო. ცოტაც და მოედანზე გუნდური ჩხუბი ატყდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ემოციები მალე ჩაცხრა, **მალხაზ ბეუქლიშვილმა** კი სწორი გადაწყვეტილება მიიღო - კოშკაძეცა და ლუნგუც გასახდელის გზას გაუყენა.

შეხვედრის დასკვნითი სიტყვა კი „დინამომ" თქვა. **ედნილსონის** მიერ ჩამოწოდებულ ჯარიმას ჩიკვილაძის თავური და სომხიშვილის შესანიშნავი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ „ბაიას" მეკარის თავგანწირვა წყალში ჩაიყარა, რადგან დამატებაზე ყველას ისევ ჩიკვილაძემ დაასწრო და თავით მატჩის საბოლოო და ლოგიკური ანგარიში დააფიქსირა.

### მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** „სასიხარულოა, რომ მეორე ადგილს კიდევ უფრო მივუახლოვდით. „ბაია" ბოლომდე გვებრძოლა, მატჩის გარდამტეხი მომენტი კი პირველი ტაიმის მიწურული იყო, როცა მეტოქეს ორი გოლი გავუტანეთ".

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „წარმატების მისაღწევად ძალ-ღონე არ დაგვიშურებია, მაგრამ რას ვიზამთ, „დინამო" დღეს ჩვენზე ძლიერია და დამსახურებულად გაიმარჯვა, რასაც ვულოცავ კიდეც".

**ლევან ჯანეზაშვილი**

09.05. რუსთავი. ფოლადი
2 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| ოლიმპი | 0 |

1:0 კლიმიაშვილი (25. ლიპარტიას პასით), 2:0 რაზმაძე (57-პენ)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურცილავა, ლ. კვახაძე (80. ლომაია), ადამაძე, ჯაფარიძე - ვასაძე (74. გურეშიძე), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი - ლიპარტია, ბერიაშვილი (60. ვ. კვარაცხელია), კლიმიაშვილი.

*სათადარიგოები:* მიქაბერიძე, ჯანელიძე, ჩიმაკაძე, როსტიაშვილი

ოლიმპი: ჭანტურია - ლონლაძე, გიგაური (83. ელოხი), იმედაშვილი, ხუბუა - ჭედია (83. მაჭავარიანი), გ. კვარაცხელია, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, პ. დათუნაიშვილი (60. ყაზაიშვილი) - იაშვილი.

*სათადარიგოები:* მერლანი, გველესიანი, ტვილდიანი.

გაფრთხილებები: რეხვიაშვილი (57), ჭედია (58), ლიპარტია (62), ვასაძე (63), რაზმაძე (80), კლიმიაშვილი (83)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# ოლიმპმა შეწყვიტა, ვიტ ჯორჯიამ შეინარჩუნა

წინა ტურში რუსთავის „ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონი გახდა და გუნდი აშკარად მოეშვა. გუშინ რუსთავში ნანახს სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. საერთოდ გამარჯვებისგან გახარებული ფეხბურთელები ლაღ და გახსნილ ფეხბურთს თამაშობენ ხოლმე. სილაღის რა გითხრათ და, რუსთაველებმა გახსნილი ფეხბურთის „მარგალიტები" საკუთარ კართან აჩვენეს.

ამ ყველაფერს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა სეზონი დაასრულა - ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **აკინო** და მისი თანამემამულე **ალექს ფრაგა** მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს, ისევე, როგორც დისკვალიფიცირებული **დენის დობროვოლსკი**.

გულშემატკივართა ინტერესიც ნაკლებად იგრძნობოდა - სტადიონი მხოლოდ სანახევროდ შეივსო. ხალხი ლაღობდა და ერთობოდა, თუმცა საბოლოო ჯამში საკმაოდ ცუდი სანახაობა ვიხილეთ. მცირეოდენი გულშემატკივარი კი ღირსია იმის, რომ ჩემპიონი და ექსჩემპიონი გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთს სთავაზობდნენ...

რუსთაველებს ერთი სული აქვთ, როდის ჩათავდება ეს დარჩენილი ტურებიც (თუ არ ჩავთვლით „ზესტაფონთან" პრინციპულ მატჩს). მათ გამარჯვების სურვილიც ალარ ეტყობოდათ. მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით - როცა „ვიტ ჯორჯიას" სასარგებლოდ ანგარიში 2:0 გახდა, მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** შეტევის ნაცვლად დაცვა გააძლიერა - მოიერიშე **გიორგი ჭედიას** ნაცვლად ცენტრალური მცველით **ნოდარ მაჭავარიანით** შეცვალა. ჩანაფიქრი ალბათ ისიც იყო, მოშვებულ „ოლიმპს" მესამე გოლიც არ გაეშვა. ამ დროს კი, რუსთაველებს მეორე ეტაპზე ერთ მატჩში ორი გოლი არ გაუშვიათ.

გამოსარჩევი იყო მატჩის მიწურულიც, როცა „ოლიმპის" რიგებში 17-წლამდელთა ნაკრების პლეიმეიკერი **ვაკო ყაზაიშვილი** გამოჩნდა. 16 წლის ფეხბურთელს აშკარად ეტყობოდა, რომ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ ჯანი აკლია, სამაგიეროდ, უხვად აქვს ნიჭი და სამჯერ თავი ლამაზი დრიბლინგებით დაგვამახსოვრა.

საინტერესო ეპიზოდებით მატჩი საკმაოდ მწირი გამოდგა. მე-15 წუთზე **ჯაბა ლიპარტიამ** რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა და საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ ძალა აღარ ეყო - კარში სუსტად და არაზუსტად დაარტყა.

ანგარიში მაინც მისი მონაწილეობით გაიხსნა: 25-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან კუთხური ჩააწოდა, ტანმორჩილმა **ირაკლი კლიმიაშვილმა** გაცილებით მაღალ მცველებს დაასწრო და ეფექტური თავური დარტყმით ბურთი შორეულ კუთხეში გაახვია - 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე **დავით იმედაშვილმა** შორიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს. ამასობაში კი „ვიტ ჯორჯიამ" ანგარიში გაზარდა - 57-ე წუთზე **გიორგი რეხვიაშვილმა** ლიპარტია საჯარიმოში მოცელა და არბიტრმა პენალტი დანიშნა. **ლუკა რაზმაძემ** 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა - 2:0.

69-ე წუთზე „ვეტერინარებს" რუსთაველთა კარის აღების მესამე რეალური შანსი ჰქონდათ. ისევ ლიპარტიას მშვენიერი გადაცემით **ვახტანგ კვარაცხელიამ** (რომელიც მოედანს ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა) მოხდენილად ჩამოიტოვა მეკარე, მაგრამ დარტყმა წამით დააგვიანა და **დავით გიგაურმა** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

როგორც ზემოთ ვთქვით, „ოლიმპის" ფეხბურთელები თავს არ იკლავდნენ და შესაბამისად, მომენტებსაც იშვიათად ქმნიდნენ. 79-ე წუთზე **გიორგი ხიდეშელის** სახიფათო დარტყმას თუ ალვნიშნავთ. „ვიტ ჯორჯიამ" კი, **ლაშა ჯაფარიძის** მშვენიერი ფლანგური გარღვევის შემდეგ, ბოლო წუთზე კიდევ ერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

ამით „ოლიმპმა" წაუგებელი მატჩების სერია შეწყვიტა, „ვიტ ჯორჯიამ" კი მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნა.

**მერაბ მამულაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი* | 34 | 24 | 7 | 3 | 65-21 | 76 |
| 2. დინამო | 34 | 20 | 8 | 6 | 55-18 | 68 |
| 3. ზესტაფონი | 34 | 18 | 10 | 6 | 53-30 | 64 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 34 | 16 | 12 | 6 | 44-30 | 59 |
| 5. სპარტაკი | 34 | 10 | 10 | 14 | 39-53 | 40 |
| 6. სიონი | 34 | 7 | 14 | 13 | 24-41 | 35 |
| 7. სამტრედია | 34 | 9 | 7 | 18 | 40-63 | 34 |
| 8. ბაია | 34 | 7 | 10 | 17 | 28-43 | 31 |
| 9. ლოკომოტივი | 34 | 5 | 11 | 18 | 19-44 | 26 |
| 10. გაგრა | 34 | 4 | 9 | 21 | 26-56 | 21 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 26 (10პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 16 (2 პენ.) |
| დვალი (ზესტაფონი) | 12 |
| აკირემი (დინამო) | 11 |
| ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) | 11 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | 11 (1პენ.) |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.
*ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3*

### XXXV ტური
**15 მაისი, შაბათი**

ბაია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ზესტაფონი
გაგრა-სპარტაკი
სამტრედია-სიონი
ლოკომოტივი-დინამო

### XXXVI ტური
**20 მაისი, ხუთშაბათი**

ზესტაფონი-ბაია
სპარტაკი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სამტრედია
სიონი-გაგრა

### საქართველოს თასი
**26 მაისი, ოთხშაბათი**

ფინალი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა შენი ჯერია, ჯაბა!..

09.05. გორი. ქართლი
400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ზესტაფონი | 4 |

1:0 ბურდული (9), 1:1 გელაშვილი (45-პენ), 1:2 დვალი (53. ძარიას პასით), 1:3 ჩიხლაძე (80. დვალის პასით), 1:4 დვალი (85)

სპარტაკი: ბათიაშვილი (59. ნ. დაუშვილი) - ფოფხაძე, ბარქაძე, კვახაძე, ნინიკაშვილი (34. მაისურაძე) - კანდელაკი (72. ჩივაძე), მგელაძე, შონია, მედ ნალო - ბურდული - დეკანოიძე.

*სათადარიგოები: ჩირიკაშვილი, მგალობლიშვილი, ბოიომო*

ზესტაფონი: მამალაძე - ბენაშვილი, გამეზარდაშვილი, ხიდეშელი, ელიავა - აფციაური (83. ცხადაია), ბ. დაუშვილი, ძარია, მიქაბერიძე (59. გორგიაშვილი) - დვალი, გელაშვილი (73. ჩიხლაძე).

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ხიდეშელი, მაკარიანი, მიქაბერიძე, ცხადაია, ჩიხლაძე*

გაფრთხილება: კვახაძე (45), დვალი (80), აფციაური (82)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ადრეც გვითქვამს - ცხინვალის „სპარტაკს" მოტივაცია რომ ჰქონოდა, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ეს თამაში არ წაეგო, მით უმეტეს, არ წააგებდა 1:4-ს ვფიქრობთ, ამაში „ქართლზე" მყოფი ნებისმიერი გულშემატკივარი დაგვეთანხმება. სულაც არ გვინდა, **გია გეგუჩაძის** შეგირდებს შრომა წყალში ჩავუყაროთ, ისინი უთუოდ იმსახურებდნენ გამარჯვებას, თუნდაც დიდი მონდომების გამო...

მატჩის სცენარი ასეთი იყო - „ზესტაფონის" იერიშები, რომელსაც მასპინძელთა საპასუხო კონტრშეტევებით მოსდევდა, თუმცა პირველ ტაიმში თამაში შედარებით თანაბარი იყო. სტუმართა სასტარტო იერიშებს „სპარტაკი" თითქოს არ შეუშინებია, მეტიც - უკვე მე-9 წუთზე **ლადო ბურდულის** ლამაზ სოლორეიდს ზუსტი დარტყმა და გოლი მოჰყვა - 1:0.

შეტევებისას ორივე გუნდი აქცენტს მარჯვენა ფლანგზე აკეთებდა. „ზესტაფონი" მოკლე პასებითა და ბურთის საფუძვლიანი გათამაშებით ამზადებდა ყველა შეტევას, ხოლო „სპარტაკი" სისწრაფისა და **ბურდული-დეკანოიძის** ტანდემის იმედზე იყო. ჭაბუკი დეკანოიძის პერსპექტიულობაზე ადრეც გვითქვამს და ამაში გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ ამ ეტაპზე მას ფიზიკური ძალა აკლია...

დავუბრუნდეთ თამაშს. „სპარტაკის" მცველები პირველ ტაიმში ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ ზესტაფონელთა წინახაზელებს, თუმცა ცხადია, იყო შეცდომებიც - **გოჩა ჩიქოვანის** შეგირდებს 22-ე წუთზე ჯერ **გელაშვილის** მოძრაობა გამოეპარათ და რომ არა მეკარე **ბათიაშვილი**, გოლი გარდაუვალი იყო, შვიდ წუთში კი, კვლავ მცველთა უყურადღებობის გამო, იმავე გელაშვილის პასით ახლო მანძილიდან **ძარიას** მართებდა გატანა, მაგრამ ბათიაშვილს ვერც მან აჯობა. თუმცა ცხინვალელთა კარის დარაჯმა ვერაფერი გააწყო ტაიმის მიწურულს დანიშნულ პენალტთან, რომელიც გელაშვილმა მოინადირა და თავადვე აქცია გოლად - 1:1.

მეორე ტაიმის დაწყების წინ, როცა გუნდები მოედანზე გადიოდნენ, „ზესტაფონის" ქომაგებმა ფორვარდი **დვალი** შეაგულიანეს - ჯაბა, ახლა შენი გატანის ჯერიაო!.. ვერ გეტყვით, მასზე ქომაგთა ამ შეძახილებმა იმოქმედა დადებითად, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ შესვენების შემდეგ ის ბრწყინვალედ გაირჯა და თავის წილად ორი გოლი და ერთიც საგოლე პასი მიითვალა.



დუბლის ავტორი ჯაბა დვალი

ფოტო: www.fczestafoni.ge

53-ე წუთზე ძარიას არ გამორჩენია დვალის მანევრი და მახვილგონივრულმა პასმაც არ დააგვიანა - ჯაბამ ჯერ მეკარე ჩამოიტოვა, ხოლო მერე ბურთი იოლად გაახვია ბადეში - 1:2. ამასობაში, თამაშგარის ზღვარზე მოთამაშე სტუმრებს ორჯერ გაეპარათ „სპარტაკის" მოიერიშენი, თუმცა ამ ეპიზოდებში ვერც ბურდულმა ივარგა და ვერც დეკანოიძემ.

დროის დინებასთან ერთად ცხინვალელები სულ უფრო უყურადღებოდ თამაშობდნენ დაცვაში და არც იერიშებისთვის იკლავდნენ თავს. ამით კარგად ისარგებლა გეგუჩაძის გუნდმა. მე-80 წუთზე დვალმა გააზრებული პასი (როგორიც თავად ძარიასგან მიილო გოლის ეპიზოდში) გადააწოდა მოედანზე ახალშესულ **ჩიხლაძეს** და ამ უკანასკნელმაც ასევე ახალშესულ მეკარე **ნიკოლოზ დაუშვილს** ახლო კუთხეში გაუტანა - 1:3.

ამან თითქოს დაამშვიდა „ზესტაფონი", მაგრამ არა - დვალი. შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ჯაბამ საჯარიმოს გარედან ძლიერი და დაბალი დარტყმით კიდევ ერთხელ გაახვია ბურთი მეტოქის კარის ბადეში - 1:4.

ეტყობა, „სპარტაკმა" სამბურთიანი სხვაობა შეურაცხყოფად მიიღო და... შეუტია. მასპინძელთა მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია, იმ თვალსაზრისით, რომ უკანასკნელ წამებზე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს. თუმცა ბურდულმა ბურთი ძელს მოარტყა და გუნდი დიდი ანგარიშით მარცხისგან ვერ იხსნა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# სიონი დარჩა. ბაიაც?

09.05. ბოლნისი. თ. სტეფანია
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ლოკომოტივი | 0 |

1:0 გოგობერიშვილი (15)

სიონი: ბობღიაშვილი - რაქვიაშვილი, ქემოკლიძე, დიდავა, ლ. ჭელიძე - უგრეხელიძე (71. ქურასბედიანი), ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ლ. ჩხეტიანი (35. ჯ. უგულავა) - ი. შენგელია, ლ. მელქაძე (46. ლ. მერებაშვილი).

*სათადარიგოები: ზუხბაია, ისიანი, რუსიეშვილი, ლ. უგულავა.*

ლოკომოტივი: ქვილითაია - სოსელია, ლ. ჩაგელიშვილი, ხატიაშვილი, სარალიძე - ქებაძე, დიაკვნიშვილი, ბ. მახარაძე (46. ჩიკვაიძე), ბ. გოცირიძე (71. ვეკუა) - გ. ჭელიძე, მეტრეველი (46. გონაძე).

სათადარიგოები: გვენცაძე, გ. მახარაძე, წულაძე, დ. ჩაგელიშვილი.

გაფრთხილება: სოსელია (28), ხატიაშვილი (33), ბობღიაშვილი (67), ჯ. უგულავა (77), ლ. მერებაშვილი (81), ქურასბედიანი (90)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლოკომოტივისთვის" გუშინდელი მატჩი თითქმის ბოლო შანსი იყო უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, ეს შანსი დედაქალაქელებმა ვერ გამოიყენეს. მატჩს ბოლნისელებისთვისაც ჰქონდა ინტრიგა, მათ მოგება უნდოდათ, რათა საბოლოოდ გადაწყვეტილიყო უმაღლეს ლიგაში მათი დარჩენის საკითხი. **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდმა მორიგი 3 ქულა მიითვალა და გაისად ისევ მთავარ დივიზიონში იასპარეზებს. აღსანიშნავია ერთიც, „სიონმა" „ლოკომოტივის" ძლევით თბილისში „დინამოსთან" დამარცხებულ „ბაიასაც" კარგი შანსი დაუტოვა ლიგაში დარჩენისათვის. ამ გუნდებს შორის 5-ქულიანი ფორა დარჩა ზუგდიდელთა სასარგებლოდ. ეს კი „ლოკომოტივისთვის" მხოლოდ მიზერული, თეორიული შანსია...

სანამ მატჩის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ერთსაც აღვნიშნავთ. გუშინ ბოლნისში გუნდი მთავარ მწვრთნელ **გელა სანაიას** არ გაუყვანია, მის მოვალეობას **ლაშა ჭალიაშვილი** ასრულებდა. როგორც მან გვითხრა, გელა სანაია მანჩესტერშია და გუშინ „ოლდ ტრეფორდზე" „სტოკთან" **ალექს ფერგიუსონის** გუნდის მატჩს (4:0) დაესწრო. უფრო მეტიც, არის იმისი შანსი, რომ მომავალში სანაია მანჩესტერში ფერგიუსონის გუნდის ვარჯიშებსაც დაესწროს. ეს ნამდვილად მისასალმებელია და დიდი სკოლა იქნება ახალგაზრდა გელა სანაიასთვის.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: შეხვედრა სანახაობრივად მდიდარი ნამდვილად არ იყო, რადგან ორივე გუნდის თამაშში ბევრი წუნი იყო. განსაკუთრებით დამაგვირგვინებელ ფაზაში. აშკარად გამოჩნდა, რომ ორივე გუნდი შედეგისთვის იბრძოდა, მაგრამ გუშინ „ლოკოს" დღე არ იყო, თორემ სამჯერვე ხარიხამ იხსნა ბოლნისელთა კარი.

თავიდანვე გამოჩნდა, რომ მასპინძლები ს წრაფი გოლის გატანას ესწრაფვოდნენ. მე-7 წუთზე **ლევან ჩხეტიანის** დარტყმულს სტუმართა მეკარე **მაქსიმე ქვილითაია** გადაეფარა. 3 წუთში დიაკვნიშვილის ძლიერად დარტყმისას „სიონი" ხარიხამ იხსნა. 5 წუთში კი ბოლნისელთა გამოცდილმა ნახევარმცველმა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა და ერთადერთი, მაგრამ ეფექტური გოლი ვიხილეთ. 1:0. შესვენებამდე ერთი მომენტის გარდა დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. 38-ე წუთზე **ზვიად მეტრეველის** ჩაწოდებისას **გიორგი ჭელიძემ** ბურთი თავით კარში გადაგზავნა, მაგრამ ისევ ხარიხამ იხსნა მასპინძლები.

მეორე ტაიმის სტარტზე **ირაკლი შენგელიას** სახიფათოდ ჩაწოდებისას **ვლადიმერ უგრეხელიძის** დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს. მასპინძლები თავს საიმედოდ იცავდნენ, ტემპის დაგდებაზე გააკეთეს აქცენტი და სტუმართა შეტევებსაც მოაკლეს სიმწვავე. ტაიმის შუაში ქასრაშვილმა კონტრშეტევაზე გადააწყო თამაში. სტუმრები კი უტევდნენ, მაგრამ მათ ბევრი წუნი ჰქონდათ და დამაგვირგვინებელ ფაზაშიც სცოდავდნენ. 75-ე წუთზე სტუმართა კაპიტან **გიორგი დიაკვნიშვილის** ჩაწოდებისას **ლევან ჩაგელიშვილი** თავით დაემუქრა ბოლნისელთა კარს, მაგრამ მცირედით ააცილა მიზანს. მატჩის ბოლოს კი კაპიტნის ჩაწოდებისა და **გიორგი ხატიაშვილის** თავურისას მასპინძლები კიდევ ერთხელ იხსნა ხარიხამ.

### მატჩის შემდეგ

**ხვიჩა ქასრაშვილი (სიონი):** „ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან მოგვიწია დაპირისპირებამ და თავიდანვე რთულ მატჩს ველოდით. ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც. მოგება გვინდოდა ლიგაში რომ დავრჩენილიყავით და შედეგზე ვითამაშეთ. თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი შედეგი იყო".

**ლაშა ჭალიაშვილი (ლოკომოტივი):** „სამწუხაროდ საჯარიმო დარტყმით გავუშვით ეს ერთადერთი გოლი, მერე უპირატესობასაც დავეუფლეთ და გოლიც გატანის შანსიც არაერთხელ გვქონდა, მაგრამ ვერაფრით მოვახერხეთ. დღეს ჩვენი დღე არ იყო, „სიონი" რამდენჯერმე ხარიხამ იხსნა".

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

# 6 თვის შემდეგ...

09.05. თბილისი. ამერი
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 2 |
| სამტრედია | 1 |

0:1 ხაჭიპერაძე (65. ქორიძის პასით), 1:1 კვანტალიანი (66), 2:1 კობერიძე (88. გედენიძის პასით)

გაგრა: სტურუა - ხარაბაძე, ქორთუა, ტყეშელაშვილი, გაბუნია - ი. შალიკაშვილი, მოსიაშვილი (46. კობერიძე), შარიქაძე, ჯიშკარიანი (73. გედენიძე) - კვანტალიანი, ოვონიკოკო (73. პავლიაშვილი).

*სათადარიგოები: თევდორაძე, თუხარელი, ცაავა, კალანდაძე.*

სამტრედია: შენგელია - დვალიშვილი, გოგია, კირთაძე, ქორიძე - სამსიაშვილი, ილურიძე, ბაკურაძე (83. ნინუა), ფირცხალავა (77. ჩხაიძე), ჩომახიძე (81. ბარამიძე) - ზ. ხაჭიპერაძე.

*სათადარიგოები: ხარძეიშვილი, კუპრეიშვილი, ეცადეიშვილი, ლომიძე.*

გაფრთხილება: ხაჭიპერაძე (43), კობერიძე (68)

არბიტრი: ჯ. ხორავა

„ამერის" სტადიონზე მიმდინარე მატჩის 78-ე წუთზე გაგრელმა **ილია პავლიაშვილმა** ბურთი სამტრედიელთა კარის მიმართულებით კარგად დაარტყა, თუმცა ოდნავ ააცილა. ამ დროს ტრიბუნიდან ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ჩაილაპარაკა: გაეტანა და ტურის სენსაციაც დაფიქსირდებოდაო.

გავიდა ათიოდე წუთი და მარცხენა ფლანგიდან იმერელთა საჯარიმოში შეცვლაზე შესული **გედენიძე** შეიჭრა, ბურთი კარგ პოზიციაზე მყოფ **კობერიძეს** დაუგორა და ამ უკანასკნელმაც ზუსტი დარტყმით მასპინძელთა სასარგებლოდ 2:1 დააფიქსირა. ზემოთ ხსენებულმა გულშემატკივარმაც გაიხარა - ესეც სენსაციაო. მასაც კარგად მოეხსენებოდა, რომ დარჩენილ რამდენიმე წუთში „სამტრედია" გოლის გამტანი აღარ იყო, რადგან რაც უფრო ახლოვდებოდა საფინალო სასტვენი, სტუმრები უფრო და უფრო მძიმდებოდნენ.

რამდენად შეესაბამება „გაგრას" სამტრედიელებზე გამარჯვებას სიტყვა „სენსაცია", ეს თავად მკითხველმა განსაჯოს. ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ, რომ გაგრელებმა 6-თვიანი შესვენების შემდეგ პირველად სწორედ გუშინ მოიგეს (მათ ბოლოს 2009 წლის 8 ნოემბერს „ბაია" დაამარცხეს).

**ანატოლი პისკოვეცის** შეგირდები გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. თუ მეორე ტაიმის გადმოსაცემად რამდენიმე აბზაცი დაგვჭირდება, პირველი ნახევარი ერთ აბზაცში უნდა ჩავტიოთ, რადგან სალაპარაკო ბევრი არაფერია.

პირველივე წუთებზე გამოჩნდა გუნდების სტრატეგია: მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ, მაინც თამამად, ორი თავდამსხმელით უტევდნენ (**ოვონიკოკო** და **კვანტალიანი**). „სამტრედიას" მწვრთნელებმა კი ფეხბურთელებს მოედნის ცენტრის გაკონტროლება დაავალეს და შეტევაში ერთი მოთამაშე გაამწესეს - **ზაურ ხაჭიპერაძე.** შეიძლება ითქვას, რომ პირველმა ტაიმმა თითქმის ისე ჩაიარა, როგორც სტუმრებს ჰქონდათ გათვლილი - გაგრელები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ სამტრედიული ნახევარდაცვის ზღუდეს ვერ სცდებოდნენ, ამიტომ მეტოქის კარის მიმართულებით სულ 3-ჯერ დაარტყეს. საწყის 40 წუთში ვერც სტუმრები ახერხებდნენ დასარტყმელ პოზიციაზე გასვლას, თუმცა ტაიმის ბოლო 5 წუთში გაგრელებმა დაცვაში ყურადღება მოადუნეს და „სამტრედიამაც" სამი კარგი შეტევა განახორციელა, თუმცა ყველა შემთხვევაში მეკარე **სტურუა** ყოჩაღობდა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ დროის გასვლასთან ერთად სტუმრებს სისწრაფე აკლდებოდათ. ეს ნათლად დავინახეთ... უფრო სწორად, გავიგეთ მეორე ტაიმის შუაში: ერთ-ერთი ფეხბურთელი მწვრთნელთან მივიდა და უთხრა - შემცვალე, ძალიან დავიღალეო. საპასუხოდ, გაორმაგებული ენერგიით უტევდნენ ახალგაზრდა მასპინძლები, რომლებსაც მეორე ტაიმის დასაწყისში საჯარიმოსთან ფლანგებიდან მიღწევა აღარ უჭირდათ, თუმცა საგოლე დარტყმა პირველად მაინც სამტრედიელებმა შეასრულეს: 65-ე წუთზე დაცვაში ბურთი დაკარგა **ქორთუამ**, გამოცდილმა **ჩომახიძემ** მარცხენა ფლანგზე **ქორიძეს** გადააწოდა, რომელმაც მეკარის საჯარიმოსთან კარგად მოძებნა ხაჭიპერაძე. მან ერთი მოძრაობით ორი გაგრელი ჩამოიცილა და - 0:1.

ამ ეპიზოდის შემდეგ იმერელთა მწვრთნელებს ტაქტიკის შეცვლა არ დაცადა კვანტალიანმა, რომელმაც საპასუხო იერიშისას ოვონიკოკოს დარტყმულ ბურთს კარგად დაამატა და ანგარიში გაათანაბრა.

„გაგრას" მწვრთნელმა **ანატოლი პისკოვეცმა** თავდასხმაში ახალი „ძალა" ჩართო - პავლიაშვილი მეორე ტაიმის დასაწყისში გამოყვანილ კობერიძეს შეუწყვილა. რამდენადაც სამტრედიელთა იერიშებს მოაკლდა სიმწვავე, იმდენად მოემატა გაგრელთა შეტევებს. ჰოდა, სათადარიგოთა სკამიდან თამაშში შესულმა მესამე ფეხბურთელმა გედენიძემ (რომელიც ფლანგზე „დაბინავდა") 88-ე წუთზე მარცხენა ფრთიდან ბურთი კობერიძეს... თუმცა, გლდანელთა მეორე გოლზე უკვე მოგიყევით. მწვრთნელმა შეცვლები გამოიცნოო, სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი.

### მატჩის შემდეგ

**ვარლამ კილასონია (გაგრა):** „ურიგოდ არ გვითამაშია. ვიდრე გოლს გავიტანდით, არაერთი შეტევა გავაცუდეთ. გასახარია, რომ ფეხბურთელებს მოთმინებაც ეყოთ, ენერგიაც და შეტევაში აქტიური თამაშის წყალობით თამაში შემოვატრიალეთ. გამარჯვებისთვის დიდხანს მოგვიწია ცდამ. ჩვენს გულშემატკივარს მოგებას ვულოცავ."

**ლევან ანჯაფარიძე (სამტრედია):** „გაგრელები მეტად მოტივირებულები იყვნენ, რაც შეტევაში აქტიურ თამაშში გამოიხატა. ჩვენი გუნდი კი მეორე ტაიმში ისე ვერ გაისარჯა, როგორც გვსურდა. სათანადო კონდიციებში არ ვიყავით და მოძრაობა გვიჭირდა..."

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები

ამხანაგური მატჩი

# მექსიკა დღეს იტყვის...

## სირაძეს შანსი აქვს, ქეცბაია კაშიასა და კოშკაძეს განიხილავს



გურამ კაშია



ალექსანდრე კოშკაძე

როგორც უკვე გაცნობეთ, გაჩნდა შანსი, რომ საქართველოს ნაკრებმა შუა ევროპაში დაგეგმილ მოსამზადებელი შეკრებისას, ერთი ნაცვლად ორი ამხანაგური მატჩი გამართოს. 25 მაისის შემდეგ, 30 მაისს, შესაძლოა **თემურ ქეცბაი-ას** გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთ მონაწილე მექსიკის ნაკრებს ნიურნბერგში გაეჯიბროს. როგორც ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ** გვითხრა, მექსიკელებისგან პასუხს დღეს-ხვალ მიიღებს.

ვნერდით იმასაც, რომ ქეცბაიას გუნდს გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან სამი, კაპიტანი **კახა კალაძე** („მილანმა“ არ დაუთმო ნაკრებს), დანიური „ორჰუსის“ შემტევი ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** (ტრავმირებულია) და ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე** (სავიზო პრობლემა აქვს) უკვე გამოაკლდა. ძალზე საეჭვოდ მოჩანდა ნალჩიკის „სპარტაკის“ ფორვარდ **დავით სირაძის** თამაშის საკითხი, თუმცა გუშინ იმედი მოგვეცა. როგორც გავიგეთ, ნაკრებისთვის სირაძის გამოკლებულად ჩათვლა ჯერჯერობით ნაადრევია. დათო უკეთ გრძნობს თავს და 2-3 დღეში მისი საკითხი საბოლოოდ გადაწყდება, იმედია, დადებითად.

თუ მექსიკიდან დადებით პასუხს მივიღებთ, მაშინ ჩვენი ნაკრები შუა ევროპაში მოსამზადებელ შეკრებას გაიხანგრძლივებს და 30 მაისს კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ასეთ შემთხვევაში, მექსიკასთან მატჩამდე ეროვნულ გუნდს თბილისის „დინამოდან“ ორი ფეხბურთელი - მცველი **გურამ კაშია** და ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** დაემატებიან. წესით, მათ 26 მაისს თასის ფინალში უნდა ითამაშონ. თუ მექსიკასთან თამაში დაინიშნა, ფინალის მომდევნო დღეს კოშკაძე და კაშია ნაკრებში წავლენ. შეგახსენებთ, რომ ქეცბაიამ ისინი ესტონეთთან 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვისაც გამოიძახა, თუმცა ბალტიელთა წინააღმდეგ მხოლოდ კაშიამ ითამაშა.

**დავით ცაბაძე**

U 19.

ამხანაგური მატჩი

# პირველი მოგებულია

ბელარუსში მყოფმა საქათველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მინსკში პირველი ამხანაგური შეხედრა გამართა. **ვლადიმერ გუცაევის** გუნდმა მინსკის „ტორპედოს“ სტადიონზე ბელარუს ჭაბუკთა წინააღმდეგ შეხვედრა კაცნაკლულმა კი ჩაამთავრა, მაგრამ მაინც მოიგო, თან „მშრალად“. ჩვენმა ჭაბუკებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ნადირაძე, კვეკვესკირი, კვირკველია, ბრაჭული, ფუტკარაძე, ხუჭუა, გეწაძე (46. ელიზბარაშვილი), ჩელებაძე, სიხარულია (57. ქემუხტაშვილი), ოქრიაშვილი, ჩაფიძე (70. ჩანგელია).**

ადგილობრივმა არბიტრმა 51-ე წუთზე ჩვენი გუნდის მცველი **ავთანდილ ბრაჭული** გააფრთხილა. 88-ე წუთზე კი მეორე უკანახაზელი **ირაკლი ხუჭუა** გააძევა. ახლა სხვა მნიშვნელოვან ეპიზოდებზე ვთქვათ. მატჩი ჩვენი გუნდის კარნახით წარიმართა. 27-ე წუთზე ანგარიში „ნორჩი დინამოელის“ ნახევარმცველმა **ლაშა ჩაფიძემ** გახსნა და ტაიმის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა.

შესვენების შემდეგ კი ჩვენებმა უპირატესობა სწრაფი გოლით გაზარდეს. 55-ე წუთზე ოდესის „ჩერნომორეცის“ სარეზერვო გუნდში მოასპარეზე ფორვარდმა **გიორგი ჩელებაძემ (რევაზ ჩელებაძის** ვაჟი) საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. გუცაევის ბიჭებს დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მეტის გატანა ველარ შეძლეს.

ხვალ, მინსკშივე, ჩვენი 19-წლამდელები ბელარუს ჭაბუკებთან კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ, მერე კი სამშობლოში გამოემგზავრებიან.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპი

# რუსთავში მოედანი ისევ იცვლება?

## ოლიმპის დღემდე უცნობი სპონსორი

გუშინ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში რუსთავის „ოლიმპის“ ფეხბურთელები ახალ ფორმაში გამოჩდნენ, რომელზეც სარეკლამო წარწერა იყო - „ლიბერთი ბანკი“. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დავით კირკიტაძემ** გვითხრა, რომ „ლიბერთი ბანკი“ (ყოფილი „სახალხო ბანკი“) იანვრიდან „ოლიმპის“ სპონსორია. გასაკვირია, რადგან აქამდე, ბანკისა და კლუბის პარტნიორობაზე არაფერი იყო ცნობილი.

*„ლიბერთი ბანკი“ „ოლიმპის“ გენერალური სპონსორია და იანვრიდან ყოველთვიურად საკმაოდ სოლიდურ თანხასაც გვირიცხავდა. ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რომ 2010 წელს დაგვაფინანსებს. „ლიბერთი ბანკის“ გარდა, არიან სხვა კომპანიებიც, რომლებმაც ჩვენი პარტნიორობა გადაწყვიტეს, რადგან ჩვენ სერიოზული მიზნები გაგვაჩნია. „ოლიმპი“ ჩემპიონია, საქართველოში ყველაზე პერსპექტიული დუბლშემადგენლობა გვყავს და ბუნებრივია, მის მიმართ ინტერესი გაიზარდა. მოლაპარაკებების შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი. ჩვენი უპირველესი მიზანია, საქართველო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე არ შევარცხვინოთ“.*

კიდევ ერთი სენსაციური თემა - შესაძლოა, რუსთავის სტადიონზე მალე ის ხელოვნურსაფარიანი მოედანი აილონ, რომელიც დეკემბერში ზარ-ზეიმით დააგეს. კირკიტაძის თქმით, თუ რუსთავის სტადიონის საფარი უეფას კომისიამ არ მიიღო, მაშინ იქ ნატურალურ ბალახს დააგებენ:

*„საფარის შეცვლა იმიტომ გვინდოდა, რომ საერთაშორისო მატჩებისთვის გვემასპინძლა. ზამთარში მოედანი დავაგეთ, გვქონდა გარანტია, რომ ის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნებოდა, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ასე არ იყო. უეფას კომისიამ მათივე გრანტით დაგებულ ხალიჩას მხოლოდ ერთი ვარსკვლავი მიანიჭა, რაც ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სამასპინძლოდ საკმარისი არაა. გვპირდებიან, რომ ხარვეზების გამოსწორებას მაქსიმალურად შეეცდებიან. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ხალიჩას სათადარიგო მოედანზე გადავიტანთ, მთავარ მოედანზე კი ბალახის მოედანს დავაგებთ“.*

საწყენია, რომ მოედანი უხარისხო აღმოჩნდა. ისმის კითხვა - მაშინ რაში დაიხარჯა უზარმაზარი ენერგია და თანხა? თუმცა **კობა ახალკაცი** (იმ კომპანიის ხელმძღვანელია, რომელმაც უეფას გრანტით საფარი დააგო) ამბობს, რომ ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელია და რომ რუსთაველებს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა აღარ დასჭირდებათ.

**მერაბ მამულაშვილი**



რუსთავის სტადიონის მოედნის საფარი შეიძლება შეიცვალოს

საქართველოს თასი

# ფინალისტები აპროტესტებენ...

თბილისის „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შორის 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე გასამართი სათასო ფინალის დაწყების დრო 14 საათისთვის გადაიტანეს. მიზეზი - იმავე დღეს ქუთაისში გარემონტებული სტადიონის გახსნაა, სადაც თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერანები ითამაშებენ. ამას გარდა, გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩნენ როგორც გულშემატკივრები, ასევე ფინალისტი გუნდებიც.

**გურამ კაშია**, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი: *„კარგი იქნება, თუკი ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა გაითვალისწინებენ ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აზრს და მატჩს ადამიანურ დროს დანიშნავენ. 2 საათზე მატჩის გამართვა გაუმართლებელია. ამას ჯობია, ფინალი მეორე დღეს გადაიტანონ და ნორმალურ დროს გვათამაშონ. ისედაც გვსაყვედურობენ, რომ სანახაობრივ ფეხბურთს ვერ ვაჩვენებთ და 2 საათზე, როდესაც წესით, მაგარი სიცხე იქნება, რა ფეხბურთი იქნება? მეშინია, ამ გადაწყვეტილებით ფინალს ტრადიციული ხიბლი არ დაეკარგოს. ამ დროს მსოფლიოს ჩემპიონის ფინალი ჩვეულებრივ მატჩს არ დაემსგავსოს“.*

**ირაკლი კლიმიაშვილი**, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი: *„თასის ფინალი იყო დღესასწაული, რომელზეც მოდიოდა ის ხალხი, რომელიც ჩემპიონატს არ ესწრებოდა. ამ გადაწყვეტილებით ზეიმს დიდი საფრთხე ექმნება. სხვა თუ არაფერი, ფეხბურთელები არ ვეცოდებით? ვთხოვთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ საკითხს წყვეტს, რომ 26 მაისამდე გამოსავალი ნახონ“.*

**ლაშა ჯაფარიძე**, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი: *„ეს ამბავი რომ გავიგე, ხუმრობა მეგონა. დონეს და ტემპიან ფეხბურთს რომ გვთხოვენ, 2 საათზე მზეში თამაში სასურველი დროა?! დაგვცინიან, მეტი არაფერი. ვთხოვ მატჩის ორგანიზატორებს, ან დრო შეცვალონ, ან მატჩის დღე, ან სხვა დროს გახსნან სტადიონი. ეს არა მხოლოდ ჩემი, მთელი გუნდის აზრია. 19:00 საათზე ბევრად უკეთესი საფეხბურთო გარემოა, მეტი ჟანგბადია, განათებაზე თამაში კი ერთი სიამოვნებაა და ორმაგი მონდომებით ვითამაშებთ. ფინალში ფეხბურთის თამაში გვსურს და არა „ზაგარის“ მიღება. მზე ზღვაზეა სასიამოვნო და არა - სტადიონზე“!*



*ნატის მატჩები იმეართებაო - ჩვენ ჩვენი სადარდელი გვაქვს. თასის ფინალი არის ერთადერთი მატჩი მთელ სეზონში, რომელიც ბოლო წლებში ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი გახდა, რომელიც გულშემატკივარსაც ახარებს და ფეხბურთელებსაც სიამოვნებას გვანიჭებს მოედანზე გასვლა. რაიონის გუნდი რომ თამაშობდეს, კიდევ იმედი გვექნებოდა, მაგრამ ყველამ იცის : „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრებს ისედაც ცოტა ხალხი ესწრება და 2 საათზე ვინ მოვა? საფეხბურთო განწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ინტერნეტფორუმებზე გულშემატკივრები წერენ კიდეც, რომ ვერ მოვლენ. ფეხბურთი გულშემატკივრებისთვისაა და მათი აზრი არ უნდა გაითვალისწინონ? სტადიონის გახსნა მართლა მნიშვნელოვანია ქვეყანაში, სადაც ორი ნორმალური სტადიონიც არაა, მაგრამ თასის ფინალი სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია და მრჩება შთაბეჭდილება, რომ წელს მის მიმართ გამორჩეული დამოკიდებულება არაა. გული ძალიან მწყდება, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების აზრს ანგარიშს გაუწევენ და ფინალს სასურველ დროს გადადებენ. ეს მხოლოდ ჩემი პოზიციაა, მაგრამ მას ყველა დინამოელი იზიარებს. კარგად გაიხსენეთ, საქართველოში ყველაზე ცუდი მატჩები როდის ტარდება? იმ თვეებში, როდესაც მატჩები 2 საათზე იწყება და ეს სავსებით ლოგიკურია - ამ დროისთვის მატჩისთვის მომზადება რთულია, ორგანიზმი სასურველ კონდიციებში არაა და გუნდები შესაძლებლობებს ვერ ავლენენ. საღამოს სულ სხვა ჰაერია, განათებაზე მაგარი განწყობით თამაშობ და მეორე სუნთქვა გეხსნება. სიცხეში მეორე სუნთქვა კი არა, პირველიც ვერ გაიხსნება და მეშინია, სეზონის ფინალი ჩვეულებრივ მატჩს არ დაემსგავსოს“.*

**გიორგი დათუნაიშვილი**, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი: *„აქამდე ფინალი დღესასწაული იყო, ეს გადაწყვეტილება კი ფეხბურთელების დაცინვაა. სხვა თუ არაფერი, დავით ყიფიანის სახელს მაინც სცენ პატივი და იფიქრონ იმაზე, რომ სეზონის მთავარი მატჩისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ ფეხბურთელები და მატჩის ორგანიზატორებიც“.*

**გელა გომელაური**, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი: *„არა მგონია, ორგანიზატორებისთვის ეროვნული თასის ფინალი მეორეხარისხოვანი იყოს. ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ და თუკი გამოსავალი არაა, დილის ათ საათზეც ვითამაშებთ. თუმცა, გვაქვს უფლება, სასურველი დრო მოვითხოვოთ. თასის ფინალი წლის აკორდია და 2 საათზე თამაშის ხარისხი ისეთი არ იქნება, როგორც საღამოს შვიდ თუ 8 საათზე. რაც არ უნდა შევარბილოთ სათქმელი, ეს არის ფაქტი“.*

საინტერესოა, რა არგუმენტი აქვს პროფესიული ფეხბურთის ლიგას, რომლის პრესსამსახურის უფროსის **მიხეილ აბაიშვილის** კომენტარი goli.ge-ზე გამოქვეყნდა: *„ჩვენ თავდაპირველად საღამოს 7 საათი დავთქვით, მაგრამ, მოგეხსენებათ, 26 მაისი დღესასწაულია და თავად ქვეყნის პრეზიდენტი აპირებს ქუთაისში სტადიონის გახსნას. ქართულ ფეხბურთს იმხელა მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოსგან, რომ ჩვენ ამ კომპრომისზე უნდა წავსულიყავით და მადლიერებიც ვართ სახელმწიფოსი. პრეზიდენტს გრაფიკს ვერ შევუდგენთ. ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ფეხბურთელებს იქაც სწორედ იმ დროს მოუწევთ თამაში. ასე რომ, ჩვენ არც პირველები ვართ და არც უკანასკნელები. თამაში დათქმულ დროს გაიმართება“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# დიდი ეპოქა დასრულდა?

## გავარდნილები და გადარჩენილები


ლევან კობიაშვილი ფილიპ ლამის წინააღმდეგ

ყველაფერს აქვს დასასრული და **ლევან კობიაშვილის** საბუნდესლიგო კარიერასაც დიდი საფრთხე დაემუქრა - 32 წლის ჩვენებურმა, ძალიან არ გვსურს და, შესაძლოა კარიერაში უკანასკნელად ითამაშა ბუნდესლიგაში. ლევანს ბუნდესლიგაში 1998 წელს ჰქონდა დებიუტი და მან 300-ზე მეტი თამაში ჩაატარა გერმანიის საუკეთესო საკლუბო ჩემპიონატში. შაბათს ბერლინში, 75 ათასი გულშემატკივრის თვალწინ მისი „ჰერტა" 1:3 დამარცხდა „ბაიერნთან". „ჰერტა" მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს. ლევანმა გერმანიის ჩემპიონის წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა. პირველ ტაიმში მან ძალზე სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 23 მეტრიდან, მაგრამ **ჰანს იორგ ბუტმა** მიუნხენელი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. ლევანს ძალზე გაუჭირდა **არიენ რობენთან** თამაში, თუმცა რობენთან ვის არ უჭირს? ბერლინურმა გუნდმა 24 ქულით ბოლო ადგილზე დაასრულა ბუნდესლიგა. „შპორტალმა" კობიაშვილის თამაში 4 ბალით შეაფასა: *„შეტევაში სასარგებლო იყო და მხოლოდ 33-ე წუთზე შესრულებულ საჯარიმოს არ ვგულისხმობთ. სამაგიეროდ, მოისუსტებდა დაცვაში, პირველი გაშვებული გოლისას რობენს ბურთი ვერაფრით აართვა".*

**დავით თარგამაძის** „ფრაიბურგმა" 3:1 მოუგო დორტმუნდის „ბორუსიას", ჩვენებური, მოგეხსენებათ, გუნდში მხოლოდ ირიცხება, არ ათამაშებენ. „ფრაიბურგი" გაისადაც ბუნდესლიგაში ითამაშებს, აი, თარგამაძეზე რა მოგახსენოთ... **ლევან ყენიას** „შალკე" 65 ქულით მეორე ადგილს დასჯერდა.

დასრულდა II ბუნდესლიგაც, **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" ბოლო ტურში შინ „ფიურტს" დაუზავდა - 1:1, ქართველმა კაპიტანმა პირველი 49 წუთი ითამაშა. სეზონის წინ ბუნდესლიგაში დაბრუნების უპირველესმა ფავორიტმა „კარლსრუემ" ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაასრულა 46 ქულით. **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა" 2:0 მოუგო ბერლინის „უნიონს". მათემ შეუცვლელად ითამაშა ცენტრალური მცველის პოზიციაზე. „მიუნხენმა" ჩემპიონატი 48 ქულით მე-8 ადგილზე დაასრულა.

არ ველოდით, რომ **ოთარ ხიზანეიშვილს** ამ სეზონში თამაში მოუწევდა, არადა ლიდერ „კაიზერსლაუტერნთან" საგარეო მატჩში ქართველმა „აუგსბურგის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა (1:1). ქართველმა მცველმა ყვითელი ბარათი მიიღო. ჩვენებურმა პირველად ითამაშა სეზონში. „აუგსბურგი" 62 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა და ახლა გადათამაშებაში „ნიურნბერგს" ეთამაშება. „შპორტალმა" ბოლო ტურში ჩვენებურებს ეს შეფასებები ჩამოურიგა: ხიზანეიშვილი - 3,5; იაშვილი - 4; ღვინიანიძე - 4.

„მილანს" **კახა კალაძე** მხოლოდ მაშინ სჭირდება, როცა მას საქართველოს ნაკრებში იძახებენ, სხვანაირ ახსნას ვერ ვუძებნით კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, არ გამოუშვას ნაკრების კაპიტანი კამერუნთან ამხანაგურ მატჩში. „ჯენოასთან" მატჩში „მილანმა" 0:1 წააგო, კახა კი კვლავ განაცხადს მიღმა დარჩა. სერია ა-ში ქართველს 8 დეკემბრის მერე არ უთამაშია...

ისრაელის ლიგატ ჰაალის დასრულებამდე ტურით ადრე ჩემპიონატს სათავეში ისევ ჰაიფას „მაქაბი" მოექცა. **ლადო დვალიშვილის** გუნდმა 2:1 მოუგო იერუსალიმის „ბეითარს". ანგარიში ქართველმა ფორვარდმა მე-11 წუთზე გახსნა. დვალიშვილი 76-ე წუთამდე ათამაშეს. ეს საქართველოს ნაკრების ფორვარდის მე-16 გოლია ჩემპიონატში, ბომბარდირთა დავაში ჩვენებური მესამე ადგილზეა. **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელი" თელ ავივის დერბიში დაუზავდა „მაქაბის" - 0:0. ქართველი ნახევარმცველი თამაშში **ორი შიტრიტის** ნაცვლად 84-ე წუთზე ჩაერთო. ჰაიფელები თელავიველებს 2 ქულით უსწრებენ.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში ბოლოსწინა ტურში **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნოს" ბედი გადაწყდა. „კლადნო" „ბოჰემიანს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა, ეს კი გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა, „კლადნო" გავარდა. „ბოჰემიანსთან" ტატანაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა.

უნგრულ შოპრონილიგაში „დიორი ეტომ" სტუმრად 3:1 დაამარცხა „კაპოშვარი". „ეტოს" ქართველთაგან მხოლოდ **რატი ალექსიძემ** (შეფასება - 6) ითამაშა. „ეტო" 50 ქულით მესამე ადგილზეა.

სერბეთში „ვოივოდინა" შინ „რადთან" 2:3 დამარცხდა. ნოვისადური გუნდი 41 ქულით მე-5 ადგილზეა და ევროთასების მიღმა დარჩა. **გიორგი მერებაშვილი** მასპინძელთა რიგებში 56-ე წუთზე გამოჩნდა.

პოლონურ ექსტრაკლასაში დარჩენისთვის იბრძვის **კობა შალამბერიძის** „ოდრა". 28-ე ტურში ქართველი ნახევარმცველის გუნდი სტუმრად „ზაგლებიესთან" 1:2 დამარცხდა. ქართველმა ამ თამაშში ყვითელი ბარათი მიიღო. „ოდრა" 26 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

დანიაში კვლავ ტრავმირებულია **დავით დევდარიანი**, რომლის „ორჰუსმა" სტუმრად 1:0 მოუგო „ნორდსილენდს". „ორჰუსი" 38 ქულით ბოლოსწინაა და მას გავარდნა ემუქრება.

უკრაინაში დასრულდა ვიშალიგის გათამაშება. გავარდნას გადაურჩა **სანდრო კობახიძის** „კრივბასი", რომელმაც ბოლო ტურში 3:1 მოუგო ბოლოადგილოსან „ზაკარპატიეს". კობახიძე სასტარტოში იყო, ის 56-ე წუთზე შეცვალეს. ქართველი შემტევი ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს, ერთხელ ააცილა, ერთხელაც „ზაკარპატიეს" მეკარეს გაარტყა. „კრივბასმა" ჩემპიონატი 25 ქულით მე-14 ადგილზე დაასრულა. „დნიპრო" „ვორსკლას" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. **უჩა ლობჟანიძემ** შეუცვლელად ითამაშა. „დნიპრო" 54 ქულით მეოთხე ადგილზე დარჩა. „ილიჩევეცი" და „კარპატი" 2:2 დაუზავდნენ ერთმანეთს. მასპინძელთა რიგებში **გიორგი გაბედავა** 69-ე წუთზე გამოჩნდა, „გაგრას" ყოფილმა ფორვარდმა ერთხელ დაარტყა სტუმართა კარში და ისიც ძალზე არაზუსტად. ორი წუთით ადრე მოედანზე **სანდრო გურული** გამოჩნდა, ვერც მან შექმნა რაიმე ღირებული დარჩენილ დროში. გურულის „კარპატი" ჩემპიონატს მე-5 ადგილზე ასრულებს, „ილიჩევეცმა" 29 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრია" შინ 2:3 დამარცხდა ჩემპიონ „შახტართან". ვასომ 66-ე წუთიდან ითამაშა. „ტავრიამ" ჩემპიონატი მე-6 ადგილზე (45 ქულა) დაასრულა.

მოლდოვაში გოლით თავი **ვასილ ლუქაშვილმა** გამოიჩინა, ფინეთში **ვალტერ ხორგუაშვილმა**, უნგრეთის მეორე ლიგაში **ვახტანგ ფანცხავამ**, თუმცა ამაზე ხვალ...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლადო დვალიშვილი


დიმიტრი ტატანაშვილი



# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| ოსერი-ლანსი | 0:0 |
| ბორდო-სოშო | 2:0 |
| გრენობლი-ბულონი | 2:0 |
| ლე მანი-პსჟ | 1:0 |
| ლილი-მარსელი | 3:2 |
| მონაკო-ნანსი | 2:1 |
| მონპელიე-ლორიანი | 2:1 |
| რენი-ნიცა | 2:2 |
| სტ. ეტიენი-ტულუზა | 0:1 |
| ვალანსი-ლიონი | 2:2 |

### II დივიზიონი

XXXVII ტური

აიაჩო-შატორუ 1:0; ანჟერსი-ნანტი 2:0; ბრესტი-დიჟონი 1:4; კაენი-მეცი 0:2; კლერმონი-გინგამი 3:1; ისტრი-ნიმი 2:1; სედანი-არლი 0:0; სტრასბური-ჰავრი 1:1; ვანი-ლავალი 2:3; ტური-ბასტია 0:0.

## ჰოლანდია

### უეფას პლეი ოფი

| | |
|---|---|
| გრონინგენი-უტრეხტი | 0:2 |
| ჰერაკლესი-როდა | 1:2 |

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კამბური-იგლზი | 1:0 |
| ექსელსიორი-ცვოლე | 4:3 |
| ვილემი-ეინდჰოვენი II | 1:1 |
| სპარტა-ჰელმონდი | 2:0 |

## ბელგია

### I პლეი ოფი

X ტური

| | |
|---|---|
| გენტი-ბრიუგე | 6:2 |
| ანდერლეხტი-სტ. ტრუიდენი | 2:1 |
| ვარეგემი-კორტრიიკი | 1:2 |

## პორტუგალია

XXX ტური

| | |
|---|---|
| ლეირია-პორტუ | 1:4 |
| ლეიქსოეში-სპორტინგი | 1:2 |
| სეტუბალი-ბელენენსეში | 1:2 |
| ფერეირა-ოლჰანენსე | 2:2 |
| ნავალი-აკადემიკა | 0:1 |
| ბენფიკა-რიუ ავე | 2:1 |
| ნასიონალი-ბრაგა | 1:1 |
| გიმარაეში-მარიტიმუ | 1:2 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ბეირა მარი-კარეგადო 1:0; შავეში-ფატიმა 0:1; ეშტორილი-ფეირენსე 1:2; ფრეამუნდე-პენაფიელი 1:3; ოლივეირენსე-პორტიმონენსე 0:1; სანტა კლარა-ავეში 2:0; ტროფენსე-ჟილ ვისენტე 2:4; ვარზიმი-კოვილია 1:0.

## შოტლანდია

XXXVII ტური

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-ფალკირკი | 0:0 |
| სტ. ჯონსტონი-ჰემილტონი | 2:3 |
| სტ. მირენი-აბერდინი | 0:1 |
| დანდი იუნ-ჰიბერნიანი | 0:2 |
| ჰართსი-სელტიკი | 1:2 |
| რეინჯერსი-მოზერველი | 3:3 |

### I დივიზიონი

პლეი ოფი

ეირდრი-ბრეჩინი 0:1; ალოა-კოუდენბითი 0:2.

### II დივიზიონი

პლეი ოფი

არბროა-ქუინზ პარკი 2:2; ფორფარი-ისტ სტირლინგი 2:2.

## ავსტრია

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-მატერსბურგი | 2:0 |
| რაპიდი-შტურმი | 4:1 |
| ზალცბურგი-აუსტრია (ვ) | 0:1 |
| რიდი-აუსტრია (კ) | 3:1 |
| ვინერი-კაპფენბერგი | 3:1 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ლუშტენაუ-ზალცბურგი II 0:2; ალტახი-ვენა 0:0; ტიროლი-დორნბირნი 2:0; ადმირა-აუსტრია (ლ) 2:1; აუსტრია II-სტ. პოლტენი 1:3; გრატკორნი-ჰარტბურგი 1:2.

## კვიპროსი

### საჩემპიონო ზონა

VI ტური

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-ომონია | 2:4 |
| აპოელ-აპოლონი | 3:2 |

### ინტერტოტოს ზონა

VI ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-ეთნიკოსი | 1:1 |
| აპოპ-აელ | 2:5 |

### გასავარდნი ზონა

VI ტური

| | |
|---|---|
| არისი-აეპ | 2:2 |
| დოხა-ერმისი | 1:4 |

## მექსიკა

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| მონტერეი-პაჩუკა | 1:2 |
| ჩივასი-მორელია | 0:1 |
| ტოლუკა-ამერიკა | 2:0 |
| პუმასი-სანტოსი | გვ. დასრულდა |

## დანია

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ოლბორგი | 2:0 |
| ნორდსილანდი-ორჰუსი | 0:1 |
| კიოგე-მიდტიულანდი | 1:0 |
| ოდენსე-რანდერსი | 1:3 |
| სილკებორგი-კოპენჰაგენი | 2:0 |
| სონდერილე-ესბერგი | 1:0 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ვიბორგი-ვესტსიელანდი 1:1; აკადემისკი-ნაესტვედი 4:0; ფრემი-ჰვიდოვრე 0:0; ფრედერისია-ტისტედი 5:1; ლუნგბიუ-როსკილდე 1:0; ვეილე-ბრაბრანდი 0:0; ჰორსენსი-კოლდინგი 1:1; ფინი-სკივე 1:0.

## ფინეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| ტურკუ-ვაასა | 1:1 |
| მიუპა-იუვასკილა | 2:4 |
| მარიეჰამნი-ტამპერე | 2:3 |
| კუოპიო-ინტერი | 2:1 |
| იარო-ჰონკა | 0:0 |
| ჰიკ-ოულუ | დღეს |
| ლაჰტი-ჰაკა | დღეს |

### II დივიზიონი

III ტური

იიპო-როვანიემი 0:2; კპვ-კოტეპე 2:0; პოპა-ოპს 3:1; კლუბი 04-მიკელი 3:1; ჰამეენლინა-ვიიკინგიტი 0:2; პკ35-ტპვ ტამპერე 1:1; კემი-ესპოო 2:1.

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

III ტური

| | |
|---|---|
| აეკ-არისი | 4:2 |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 1:0 |

### II დივიზიონი

XXXIII ტური

აგროტიკოსი-ანაგენისი 0:2; დიაგორასი-ილისიაკოსი 3:2; დოხა-პანაიტოლიკოსი 0:1; ილიუპოლი-კერკირა 1:0; კალამატა-ტრასივულოსი 0:2; ოფი-ეთნიკოსი (ა) 2:1; ოლიმპიაკოსი (ვ)-როდოსი 5:2; პანსერაიკოსი-იონიკოსი 2:1; პიერიკოსი-ეთნიკოსი (პ) 1:0.

## ირლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-უნივერსიტი | 0:6 |
| დროგედა-სპორტინგი | 1:1 |
| სტ. პატსი-დანდალკი | 1:0 |
| შემროკი-გალვეი | 2:0 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 1:2 |

### II დივიზიონი

XI ტური

ფინ ჰარპსი-მერვუ 2:3; მონეგანი-დერი 0:1; შელბურნი-უოტერფორდი 0:1; უექსფორდი-კორკი 0:2; სოლტჰილი-ლონგფორდი 0:3; ეთლონი-ლიმერიკი 1:3.

## ნორვეგია

XI ტური

| | |
|---|---|
| კონგსვინგერი-ვოლერენგა | 1:2 |
| ოლესუნდი-ოდ გრენლანდი | 2:3 |
| ჰაუგესუნდი-რუსენბორგი | 0:0 |
| ჰონეფოსი-სანდეფიორდი | 1:0 |
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდსეტი | 3:1 |
| ტრომსიო-სტარტი | 1:0 |
| სტაბეკი-ბრანი | 2:1 |
| ვიკინგი-მიოლდე | დღეს |

### II დივიზიონი

VII ტური

მოსი-ბოდო გლიმტი 2:1; ალტა-სარპსბორგი 4:4; ბრინი-მიონდალენი 5:1; ფოლო-ტრიომსდალენი 4:0; ფრედრიკსტადი-სტრიომენი 1:0; ლოვ ჰამი-ლინი 4:1; რანჰეიმი-სანდნესი 3:1; სოგნდალი-ნილი 1:1.

## შვედეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| მალმიო-ატვიდაბერგი | 3:1 |
| ერებრო-იურგორდენი | 1:0 |
| აიკ-ტრელებორგი | 1:0 |
| ჰალმსტადი-ჰააკენი | 1:2 |
| მიალბიუ-ელფსბორგი | 2:0 |
| ბრომაპოიკარნა-კალმარი | დღეს |
| გაის-გიოტებორგი | დღეს |
| გეფლე-ჰელსინგბორგი | დღეს |

### II დივიზიონი

VI ტური

ჰამარბიუ-ბრაგე 0:1; ოსტერსი-იორგრიტე 1:3; დეგერფორსი-ტროლჰატანი 2:0; სირიანსკა-ანგელჰოლმი 0:0; იონჩოპინგი-ასირისკა დღეს; ვასბი-ნორჩოპინგი დღეს.

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ლოკარნო-ვინტერტური | 1:4 |
| შაფჰაუზენი-კრიენსი | 1:2 |
| სტად ნიონე-ბილე | 1:1 |
| ვადუცი-ივერდონი | 3:2 |
| ვოლენი-ლე მონი | 0:0 |
| სერვეტი-ვილე | 1:0 |
| თუნი-ლუგანო | დღეს |

## შვეიცარიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლოზანა | 6:0 |

## თურქეთი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-მანისა | 2:0 |
| გაზიანთეფი-გენჩლერი | 1:1 |
| გალათასარაი-ანტალია | 1:2 |
| ანკარა-ბურსა | 0:3 |
| კაისერი-ბუიუქშეჰირი | 1:1 |
| ანკარაგიუჯუ-ფენერბახჩე | 6:3 |
| ესქიშეჰირი-სივასი | 1:1 |
| კასიმფაშა-დიარბაქირი | 1:0 |
| ტრაბზონი-დენიზლი | დღეს |

### II დივიზიონი

XXXIV ტური

ალთაი-ქონია 4:1; ბოლუ-ქარსიაქა 0:4; ადანა-ქარაბუქი 3:1; ბუკა-ერჩიესი 4:0; ბბ გაზიანთეფი-დარდანელი 1:2; გირეშუნი-ქართალი 5:2; პაჩეთეფე-მერსინი 1:1; ქოჯაელი-რიზე 1:3; სამსუნი-ორდუ 1:1.

## ბოსნია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-მოდრიცა | 4:0 |
| ჟეიეჟდა-ლეოტარი | 5:0 |
| რუდარი-ველეჟი | 2:0 |
| სლობოდა-ტრავნიკი | 2:1 |
| სლავია-სარაევო | 0:4 |
| ჟრინსკი-ლაკტაში | 2:0 |
| შიროკი ბრიეგი-ცელიკი | 2:1 |
| ჟელეზნიჩარი-ოლიმპიკი | 2:0 |

## ბულგარეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი-ლოკომოტივი (მ) | 0:3 |
| ცსკა-ჩერნო მორე | 2:2 |
| ლიტექსი-ბეროე | 3:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნომორეცი | 0:1 |
| მინიორი-სპორტისტი | 1:2 |
| მონტანა-ლევსკი | 0:2 |
| სლავია-ლოკომოტივი (პ) | 1:3 |
| სლივენი-პირინი | 4:0 |

## ხორვატია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-კროაცია | 5:0 |
| ჰაიდუკი-მედიმურიე | 4:1 |
| კარლოვაცი-ისტრა | 1:1 |
| ლოკომოტივა-სლავენი | 1:1 |
| რიეკა-ინკერი | 3:1 |
| ზაგრები-ოსიეკი | 1:0 |
| ვარტექსი-ზადარი | 1:0 |
| შიბენიკი-დინამო | 2:1 |

## ჩეხეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-პლზენი | 2:2 |
| ბოჰემიანსი 1905-კლადნო | 0:0 |
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 1:3 |
| ლიბერეცი-სპარტა | 2:2 |
| ბანიკი-ბოლესლავი | 2:2 |
| სლავია-იაბლონეცი | 0:3 |
| სლოვაცკო-პრშიბრამი | 2:1 |
| ტეპლიცე-სიგმა | 1:1 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

იჰლავა-სოკოლოვი 2:0; ჰლუჩინი-ვიტკოვიცე 2:2; მოსტი-დუკლა 1:1; ვლაშიმი-სპარტა II 0:0; ჟლინი-ტრშინეცი გადაიდო; ვიქტორია-უსტი 3:3; ჰრადეცი-ჩასლავი 0:0; კარვინა-ოპავა 2:0.

## ესტონეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| კალევი-პაიდე | 4:0 |
| ფლორა-კალიუ | 1:0 |
| ტამეკა-ტრანს ნარვა | 1:2 |
| ტულევიკი-ლევადია | 0:1 |
| ლოოტუსი-კურესაარე | 5:2 |

## უნგრეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 3:2 |
| ფერენცვაროში-კეჩკემეტი | 3:2 |
| ზალაეგერსეგი-ჰონვედი | 0:1 |
| ნირედჰაზა-ლომბარდ პაპა | 3:1 |
| პაკში-დიოშდიორი | 1:0 |
| ვაშაში-ჰალადაში | 0:0 |
| კაპოშვარი-დიორი | 1:3 |
| მტკ-უიპეშტი | 4:5 |

## ლატვია

V ტური

| | |
|---|---|
| იაუნიბა-დაუგავა | 1:1 |
| ტრანზიტსი-იელგავა | 1:1 |
| ოლიმპსი-იურმალა | 0:2 |
| ბრაევა-სკონტო | 1:3 |
| მეტალურგსი-ვენტსპილსი | 0:0 |

## ლიტვა

XIX ტური

| | |
|---|---|
| ტაურასი-კლაიპედა | 2:0 |
| კრუოია-ბანგა | 2:3 |
| მაჟეიკიაი-ატლეტასი | 2:2 |
| ვეტრა-სუდუვა | 3:1 |
| ეკრანასი-შიაულიაი | 3:1 |

## მოლდოვა

XIX ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპია-ზიმბრუ | 1:0 |
| სფინტულ-ტირასპოლი | 0:0 |
| ისკრა-აკადემია | 1:0 |
| ნისტრუ-დინამო | 1:3 |
| შერიფი-ვიიტორული | 3:1 |
| დაჩა-ცსკა | 2:2 |

## პოლონეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| არკა-ბელხატოვი | 2:1 |
| კრაკოვია-პოლონია (ვ) | 1:2 |
| იაგელონია-რუხი | 1:0 |
| პიასტი-შლიონსკი | 2:2 |
| ლეგია-ვისლა | 0:3 |
| ზაგლებე-ოდრა | 2:1 |
| ლეხი-პოლონია (ბ) | 3:0 |
| კორონა-ლეჩია | 1:0 |

## რუმინეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ინტერნასიონალი-ჩახლაული | 2:0 |
| ასტრა-ოცელული | 0:3 |
| უნირეა (ა)-დინამო | დღეს |
| უნივერსიტატეა-კლუჟი | დღეს |
| ტიმიშოარა-გაზ მეთანი | დღეს |
| ვასლუი-სტიაუა | დღეს |
| რაპიდი-პანდური | დღეს |

## სერბეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ვოივოდინა-რადი | 2:3 |
| ბორაკ-სარტიდი | 0:0 |
| ჩუკარიჩკი-ოფკ | 0:0 |
| სპარტაკი-მეტალაკი | 0:0 |
| იაგოდინა-ნაპრედაკი | 1:1 |
| იავორი-ბორაცი | 1:1 |
| პარტიზანი-ცრვენა ზვეზდა | 1:0 |
| ჰაიდუკი-მლადი | 2:0 |

## სლოვენიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| მარიბორი-დომჟალე | 3:2 დ.დ. |

## სლოვაკეთი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ნიტრა | 1:2 |
| კოშიცე-ტატრანი | 3:1 |
| რუჟომბეროკი-პეტრჟალკა | 1:0 |
| სლოვანი-პისტრიცა | 2:0 |
| ტრნავა-ჟუბნიცა | 0:1 |
| ჟილინა-დ. სტრედა | 4:0 |

## უკრაინა

XXX ტური

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ზორია | 1:1 |
| დინამო-მეტალურგი (ზ) | 3:0 |
| ილიჩოვეცი-კარპატი | 2:2 |
| კრივბასი-ზაკარპატია | 3:1 |
| მეტალისტი-არსენალი | 1:0 |
| მეტალურგი (დ)-ობოლონი | 5:0 |
| ტავრია-შახტარი | 2:3 |
| ვოლინი-დნეპრო | 1:1 |

## არგენტინა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ველესი-ჩაკარიტა | 4:1 |
| ნიუელსი-ხიმნასია (ლ-პ) | 6:0 |
| რასინგი-რივერ პლეიტი | 0:3 |
| არგ. ხუნიორსი-ინდეპენდიენტე | 4:3 |
| ესტუდიანტესი-როსარიო | 0:0 |
| ტიგრე-ბანფილდი | 1:2 |
| ატლეტიკო-არსენალი | გვ. დასრულდა |
| ბოკა ხუნიორსი-ურაკან | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

I ტური

| | |
|---|---|
| ატ. გოიანიენსე-გრემიო | 0:0 |
| ბოტაფოგო-სანტოსი | 3:3 |
| პალმეირასი-ვიტორია | 1:0 |
| ატ. მინეირო-ვასკო და გამა | 2:1 |
| კორინთიანსი-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| ფლამენგო-სან პაულუ | 1:1 |
| ინტერნასიონალი-კრუზეირო | 1:2 |
| ავაი-გრემიო პრუდენტე | გვ. დასრულდა |
| სეარა-ფლუმინენსე | გვ. დასრულდა |
| გუარანი-გოიაში | გვ. დასრულდა |

## ჩილე

XV ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-აუდაქსი | 0:1 |
| კობრესალი-კოლო კოლო | 2:5 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 0:0 |
| პალესტინო-ლა სერენა | 3:0 |
| სან ფელიპე-ევერტონი | 1:3 |
| უნ. კონსეპსიონი-ნუბლენსე | 4:1 |
| უნ. ჩილე-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| კობრელოა-უაჩიპატო | 1:1 |
| სანტიაგო-სან ლუისი | 0:2 |

## კოლუმბია

XVII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. პერეირა-დეპ. კალი | 1:3 |
| ენვიგადო-დეპ. კინდიო | 2:0 |
| ლა ეკვიდადი-ატ. ნასიონალი | 2:1 |
| კორტულუა-კუკუტა | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-ატ. უილა | 3:2 |
| ამერიკა-ონსე კალდასი | 2:1 |
| რეალ კარტახენა-ხუნიორი | 1:0 |
| დეპ. ტოლიმა-ბოლიონარიოსი | 2:1 |
| სანტა ფე-ჩიკო | გვ. დასრულდა |

## აშშ

VIII ტური

| | |
|---|---|
| სოლტ ლეიკი-ფილადელფია | 3:0 |
| სიეტლი-ლოს ანჯელესი | 0:4 |
| ტორონტო-ჩიკაგო | 4:1 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 3:2 |
| დალასი-დი სი იუნაიტედი | 1:0 |
| სან ხოსე-ნიუ იორკი | 4:0 |
| ჩივასი-ჰიუსტონი | 0:2 |

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVIII ტური



# ჩელსიმ პრემიერლიგა დაგლიჯა!

რაო, რა თქვა „უიგანმა", „ჩელსის" წინააღმდეგობას გავუწევო? შეხედეთ თამაშის ოქმს: დასავლეთლონდონელებს უნდა მოეგოთ რათა ჩემპიონები გამხდარიყვნენ და... 8:0 მოიგეს. ისევ, „ლურჯების" მთავარი კონკურენტის „მანჩესტერ იუნაიტედის" გამოცდილი მთავარი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** გამოდგა მართალი. მართალია, სასწაულისა და „უიგანის" იმედს მაინც იტოვებდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ისიც თქვა, კარგად ვიცი „ჩელსის" ფეხბურთელების გონებაში (და რასაკვირველია გულებშიც) რა ხდებაო. გამოცდილი კაცია, თვითონაც ყოფილა ამ დღეში.

მაშ ასე, „ჩელსიმ" 8:0 მოიგო და მასზე 2009/10 წლების პრემიერლიგის ტიტული ალალია. კონკურენტებთან, გნებავთ, პირადი შეხვედრები გადაუმოწმეთ და გნებავთ სხვა რაიმე მაჩვენებლებს ჩაუკვირდით. ყველაფერი იმას ამტკიცებს, რომ „ჩელსი" დამსახურებული ჩემპიონია. ამასთან, ლონდონელებმა გატანილი გოლების რეკორდი დაამყარეს. პრემიერლიგაში წინა რეკორდი „მანჩესტერ იუნაიტედს" 2000 წელს ჰქონდა დამყარებული, ას გოლზე მეტი კი 1962/63 წლების სეზონში „ტოტენჰემ ჰოთსპურს" გაეტანა. იმავდროულად „იუნაიტედმა" „ოლდ ტრეფორდზე" „სტოკ სიტის" 4:0 მოუგო, მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური აღმოჩნდა, რადგან „ჩელსისა" და მანჩესტერელებს შორის ქულათა სხვაობა იგივე, ერთის ტოლი დარჩა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ჩელსის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული ინგლისში სამუშაოდ გადასვლის პირველსავე წელიწადს მოიპოვა. ამასთან, შეგახსენებთ, მისმა გუნდმა ამ სეზონში მოწინააღმდეგე შვიდი და მეტი გოლით უკვე მეოთხედ დაამარცხა. „უიგანთან" შთამბეჭდავ გამარჯვებაში „ლურჯებს" სტუმართა მცველის **გარი კოლდუელის** 31-ე წუთზე გაძევებამაც შეუწყო. ამ მომენტის შემდეგ ათი კაცით დარჩენილმა „უიგანმა" ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადა. სამი გოლი „ოქროს ბიცის" მფლობელმა **დიდიე დროგბამ** გაიტანა და ახლა, მისი მონაგარი 29-ს უდრის. ასე და ამგვარად, „ჩელსიმ" ამ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული უკვე მოიპოვა და ახლა, თუ ფეხბურთის ასოციაციის თასსაც დააყოლებს, გამოვა, რომ დუბლს შეასრულებს. შეგახსენებთ, რომ ფინალში „ლურჯებს" „პორტსმუთი" უნდა შეხვდეს, ხოლო თუ „პორტსმუთის" ვინაობა კარგად არ გახსოვთ, ცხრილს ჩახედეთ და ყველაფერი ნათელი გახდება. თუმცა, ერთ თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ სეზონის ბოლო შეხვედრაში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ფრანგმა **ნიკოლა ანელკამ**. ფეხბურთელმა, რომელსაც ხელმოსაწერად ახალი ორწლიანი კონტრაქტი ელოდება. ამ მნიშვნელოვან ამბავს აღნიშნავდა თუ რა იყო, ანგარიში პირველსავე წუთებზე გახსნა. ამის შემდეგ, მთელი 25 წუთის განმავლობაში „უიგანის" მწვრთნელმა **რობერტო მარტინესმა** საკმაოდ უცნაური რამ გააკეთა, სამი მცველით ითამაშა, რამაც შესაბამისი ეპიზოდებიც მოიტანა, მაგრამ შემდეგ, 32-ე წუთზე კოლდუელმა **ფრენკ ლემპარდი** აშკარად წააქცია და მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** უილბლო ცენტრალურ მცველს წითელი ბარათი აუფრიალა. დროგბამ, რომელსაც იმ მომენტისთვის 26 გოლი ჰქონდა გატანილი და ამ მაჩვენებლით **უეინ რუნის** უტოლდებოდა, „ჩელსის" პენალტისტ ლემპარდს დარტყმა სთხოვა, მაგრამ ინგლისელმა ნახევარმცველმა აშკარად აწყენინა - უარი უთხრა. ლემპარდმა თავისი პენალტი შესანიშნავად შეარულა. 54-ე წუთზე ჩემპიონის ბედი დანამდვილებით

>> მე-10 გვერდზე

# ტოტიმ ინტრიგა დატოვა

## ჩემპიონი ბოლო ტურში გამოვლინდება

სერია A-ს ბოლოსწინა ტურში მეტად საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. იყო პერიოდი, როდესაც „ინტერის“ გულშემატკივრები საჩემპიონო ზეიმის მოლოდინში იყვნენ, შემდეგ კი ლიდერობის შენარჩუნება გაუხდათ სანერვიულო. დიახ, მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა, საბოლოოდ კი სტატუს-კვო შენარჩუნდა და ყველა კითხვას უკანასკნელ ტურში გაეცემა პასუხი. თუმცა, მთლად ასეც არაა საქმე - XXXVII ტურმა სერია B-ში გავარდნილი მესამე გუნდის ვინაობა გააცხადა - „ლივორნოსა“ და „სიენას“ ხვედრი „ატალანტამაც“ გაიზიარა.

დავუბრუნდეთ საჩემპიონო მარათონს და თავდაპირველად „ინტერის“ პაექრობაზე ვთქვათ. **ჟოზე მოურინიომ** შემტევი სტრატეგია აირჩია და სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი ნომინალური თავდამსხმელი დააყენა: **მარიო ბალოტელი, სამულ ეტოო** და **დიეგო მილიტო**. ბუნებრივია, მატჩი „ინტერის“ სრული უპირატესობით წარიმართა. მილანელებმა სწრაფ გოლზე ითამაშეს და მეტოქის კარს პირველივე წუთებზე ეკვეთნენ. პირველი რეალური მომენტი **დეან სტანკოვიჩს** ჰქონდა, შორი მანძილიდან გაისროლა და ძელი შეაზანზარა. მილანელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბედის ირონიით, ბურთი მათ კარში შეგორდა. მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **მარკოლინის** ჩაწოდებულს **ტიაგო მოტა** გამოეხმაურა და ყველასათვის მოულოდნელად, საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, 0:1.

მილანელებს დიდხანს არ უნერვიულიათ, ორ წუთში ანგარიში უკვე საყაიმო იყო. ვერონელმა **მანტოვანიმ,** თხა თხაზე ნაკლებიო და, საკუთარ კიპერს მოტაზე არანაკლებ ეფექტური გოლი გაუტანა, 1:1. „ინტერი“ მთელი გუნდით გადავიდა მეტოქის ნახევარზე და ნათელი გახდა, რომ მეორე გოლსაც მალევე გაიტანდნენ. ასეც მოხდა, 34-ე წუთზე **დუგლას მაიკონი** დაიძრა მარჯვენა ფლანგზე, თავი ასწია და **ესტებან კამბიასოს** ჩინებული გადაცემა გაუკეთა - ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში და სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ალტაცებაში მოიყვანა. აბა ისე როგორ იქნებოდა, ერთი გოლი **დიეგო მილიტოსაც** რომ არ გაეტანა - 39-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არგენტინელმა ფორვარდმა მეტოქის მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ულამაზესი გოლი გაიტანა, 3:1.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც მარიო ბალოტელი პირისპირ დარჩა კიპერთან და მეოთხე გოლი გაიტანა. თითქოს ამით საბოლოოდ დასამარდა ინტრიგა, მაგრამ ვერონელები ასე არ ფიქრობდნენ. მე-60 წუთზე **გრანოჩემ** იხეირა მარკოლინის ზუსტი გადაცემის შემდეგ, თხუთმეტიოდე წუთში კი **სერჯო პელისიერმა** გამოიჩინა თავი და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ალსანიშნავია, რომ პელისიერის გოლი **მარკო მარერაცის** უხეშ შეცდომას მოჰყვა. დარჩენილი წუთები „ინტერის“ უპირატესობით წარიმართა, მილანელებმა ბურთი დაიჭირეს და მეტოქეს ბოლო ძალები გამოაცალეს. „ინტერმა“ მოახერხა სამი ქულის მოპოვება და შესაბამისად, ლიდერობის შენარჩუნება. ლიდერობა იქით იყოს და, მილანელები სულაც ჩემპიონობასთან იყვნენ ძალიან ახლოს. ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ...

**კლაუდიო რანიერიმ** „კალიარის“ 4-4-2 ტაქტიკა დაუპირისპირა და შეტევის წინა ხაზზე **ფრანჩესკო ტოტისთან** ერთად **ლუკა ტონი** გაამწესა. რომაელებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს მეტოქეს და მარტო პირველ ტაიმში, გატანის არაერთი შესაძლებლობა მიეცათ. საერთოდ, ბოლო პაექრობებში რომაელებს რეალიზაციის ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვთ და დიდწილად ამის ბრალიც არის, რომ ლიდერობა „ინტერს“ გადაულოცეს. მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ მასპინძლებმა ოთხჯერ შეაზანზარეს მეტოქის კარის ძელი - ორჯერ ფრანჩესკო ტოტიმ, ერთხელ **მარკო მოტამ**, ერთხელაც **იონ არნე რიისემ**.

მეორე ნახევარში დედაქალაქელებმა დაწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს - გოლი კი არადა და არ გადიოდა. სარდინიელები კონტრშეტევებზე თამაშობდნენ და 73-ე წუთზე ბედსაც ეწივნენ: **ჟულიო სერჟიოს** კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმა დაინიშნა - გათამაშებას **ლაძარის** უძლიერესი დარტყმა მოჰყვა, რომლის წინააღმდეგაც ბრაზილიელმა კიპერმა ვერაფერი გააწყო, 0:1. რომაელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ და შეტევაში კიდევ უფრო აგრესიულად გადავიდნენ. სწორედ ამ მომენტში შეაზანზარა რიისემ ხარიხა, რასაც ტოტის მომენტი მოჰყვა - ფაქტობრივად ცარიელი კარის წინ მდგომმა „პუპონემ“ ბურთი ჩარჩოს ზემოდან გადააცილა. ეს უკვე ფატალურ უილბლობას ჰგავდა, თუმცა მალე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მხსნელად ისევ და ისევ ტოტი მოგვევლინა, რომელმაც დუბლი გააზერხა და „რომას“ საჩემპიონო შანსი შეუნარჩუნა. 79-ე წუთზე საშუალო დისტანციიდან დაარტყა და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა, ოთხიოდე წუთში კი თერთმეტმეტრიანი გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 2:1. აქვე დავძინოთ, რომ თერთმეტმეტრიანი სრულიად სამართლიანად დაინიშნა - რიისემ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ბურთი კი **ბიონდინის** ხელმა შეაჩერა და საკმაოდ სახიფათო შეტევა ჩაშალა. ერთი სიტყვით, სადავო არაფერი გახლდათ. აი, ასე მოიგო „რომამ“ და ასე ჩაეშალათ ზეიმი „ჯუზეპე მეაცაზე“ შეკრებილ „ინტერის“ ტიფოზებს.

ძალიან საინტერესო თამაში გაიმართა „რენცო ბარბერაზე“, სადაც „პალერმომ“ „სამპდორიას“ უმასპინძლა. როგორც იცით, გუნდები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან და ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სიცილიელებს მეოთხე ადგილზე გადასასვლელად მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ, გენუელებისთვის კი ფრეც მისაღები იყო. შესაბამისად, საყოველთაო მოლოდინით, გაცილებით უფრო შემტევი ფეხბურთი **დელიო როსის** შეგირდებს უნდა ეთამაშათ. ვერ გეტყვით, არ გამოუვიდათ თუ რა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ „პალერმო“ ზედმეტად შებოჭილი თამაშობდა და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათთვის საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა პრიორიტეტული იყო. კუნძულელები მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ, როდესაც ჯამპაოლო პაცინისგან გოლი მიიღეს. 54-ე წუთზე ახალგაზრდა ფორვარდმა თერთმეტმეტრიანი მოინადირა, რომელიც თვითონვე შეასრულა და თანაგუნდელები დააწინაურა, 0:1.

ვერ ვიტყვით, რომ „პალერმო“ მთელი გუნდით გადავიდა მეტოქის ნახევარზე და მომენტების კორიანტელი დააყენა, თუმცა აშკარად გააქტიურდა. შედეგიც შესაბამისი მივილეთ - მხოლოდ ერთი გოლი, რომელიც **ფაბრიციო მიკოლიმ** ასევე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა, 1:1. ბოლო წუთები დაძაბული გამოდგა, ფეხბურთელები რამდენჯერმე წაკინკლავდნენ და ამან მხოლოდ „სამპას“ წისქვილზე დაასხა წყალი. საბოლოოდ საყაიმო შედეგი, რომელმაც სწორედ გენუელები გაახარა. ბოლო ტურში **ლუიჯი დელ ნერის** შეგირდებმა „ნაპოლი“ უნდა დაამარცხონ და ჩემპიონთა ლიგის საგზური სწორედ მათ დარჩებათ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### ბოლო ტური

**16 მაისი. ატალანტა-პალერმო, ბარი-ფიორენტინა, კალიარი-ბოლონია, კატანია-ჯენოა, კიევო-რომა, ლაციო-უდინეზე, მილანი-იუვენტუსი, პარმა-ლივორნო, სამპდორია-ნაპოლი, სიენა-ინტერი.**




რომას ფრანჩესკო ტოტის დუბლმა მოაგებინა

### ინტერი-კიევო 4:3

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი 5.5 - მაიკონი 6.5, მატერაცი 5.5, სამუელი 5.5, ხ. ძანეტი 6 - კამბიასო 6.5, ტიაგო მოტა 6 (56. მუნტარი 6) - სტანკოვიჩი 6, ბალოტელი 6.5 (64. პანდევი 5.5), ეტო'ო 6.5 - მილიტო 7 (90. მარიგა).

**კიევო (4-1-3-2):** სორენტინო 8 - სარდო 6.5, ნ. ფრეი 5.5, მანტოვანი 5, სკარდინა 5 (75. არიატი) - ჯოკიჩი 6.5 - ლუსიანო 6, რიგონი 5 (46. ბენტივოლიო 6), მარკოლინი 6.5 - გრანოკე 6.5 (63. აბრუსკატო 5.5), პელისიერი 7.

**გოლები:** 0:1 ტიაგო მოტა (11-საკ. კარში), 1:1 მანტოვანი (13-საკ. კარში), 2:1 კამბიასო (35), 3:1 მილიტო (39), 4:1 ბალოტელი (52), 4:2 გრანოკე (60), 4:3 პელისიერი (74)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 20-9 (8-3); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 48 490

### რომა-კალიარი 2:1

**რომა (4-3-1-2):** ჟულიო სერჟიო 6.5 - მ. მოტა 6.5 (77. ჩერჩი), ბურდისო 6, ჟუანი 6, რიისე 7 - პისარო 6, პეროტა 6, დე როსი 5.5 - მენეზი 6.5 (80. ჟულიო ბაპტიშტა) - ტოტი 7.5, ტონი 6 (59. ტადეი 6.5).

**კალიარი (4-3-1-2):** მარკეტი (46. ლუპატელი 6.5) - დესენა 6, კანინი 6, ასტორი 7, აგოსტინი 6 - კონტი 6, ბიონდინი 5, ნაინგოლანი 6 - კოსუ 6 (53. ლაძარი 6.5) - მატრი 6, ჟედა 6 (61. ნენე 6).

**გოლები:** 0:1 ლაძარი (73-პენ), 1:1 ტოტი (79), 2:1 ტოტი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 31-6 (12-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 50 291

### ჯენოა-მილანი 1:0

**ჯენოა (3-4-3):** ამელია 6 - პაპასტატოპულოსი 7 (46. ფატიჩი 6.5), ბოკეტი 6, კრიშიტო 6.5 - მესტო 6.5, საპატერი 6, იურიჩი 6, ტომოვიჩი 6 - პალასიო 7 (89. პალადინო), აკვაფრესკა 6 (65. სუასო 6), სკული 7.

**მილანი (4-3-2-1):** დიდა 6 - აბატე 6, ტიაგო სილვა 6.5, ფავალი 6, ანტონინი 6 (74. ძამბროტა) - ფლამინი 5, პირლო 6.5, გატუზო 6 (57. ზეედორფი 6) - პატუ 6 (66. პუნტელაარი 6), რონალდინიო 6 - ბორიელო 6.

**გოლი:** 1:0 სკული (57)

**გაძევება:** ფლამინი (85. მილანი)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-10; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-11 (4-4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 0 (უმაყურებლოდ)

### პალერმო-სამპდორია 1:1

**პალერმო (4-3-1-2):** სირიგუ 5.5 - კასანი 6 (88. ბერტოლო), კიაერი 6, გოიანი 6, ბალცარეტი 6.5 - მილიაჩო 5.5, ნოჩერინო 6, ლივერანი 6 - პასტორე 6 - კავანი 5.5 (55. ერნანდესი 5), მიკოლი 7 (79. ბუდანი 4).

**სამპდორია (4-4-2):** სტორარი 6.5 - ძაური 5.5, გასტალდელო 7, ლუკინი 7, ციგლერი 7 - სემიოლი 5.5 (65. გუბერტი 5.5), პალომბო 6.5, ტისონე 6.5 (85. პოლი), მანინი 7 - კასანო 7.5, პაცინი 7 (82. პოცი).

**გოლები:** 0:1 პაცინი (54-პენ), 1:1 მიკოლი (68-პენ)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 16-5 (4-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 37 895

### იუვენტუსი-პარმა 2:3

**იუვენტუსი (4-3-1-2):** ბუფონი 6 - კასერესი 5, ფ. კანავარო 5, კიელინი 5, დე ჩელიე 5 (81. გროსო) - ფელიპე მელო 6, პოულსენი 5 (76. ტრეზეგე), მარკიზიო 5.5 - დიეგო 5 (62. კანდრევა 6) - დელ პიერო 6.5, იაკუინტა 6.

**პარმა (3-5-2):** მირანტე 6 - ძაკარდო 6, დელაფიორე 6, ა. ლუკარელი 6 - ვალიანი 6.5, მორონე 6, გალოპა 7, ლ. ანტონელი 6 - ლანცაფამე 7.5 (66. ლუნარდინი 6), კრესპო 6.5 (78. კასტელინი), ბიაბიანი 6.5.

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (16), 1:1 ლანცაფამე (21), 1:2 ლანცაფამე (40), 1:3 ბიაბიანი (84), 2:3 იაკუინტა (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 24-4 (4-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 23 656

### ნაპოლი-ატალანტა 2:0

**ნაპოლი (3-4-3):** დე სანქტისი 6 - რინაუდო 6, პ. კანავარო 6, არონიკა 6 - მაჯო 6.5, გარგანო 6 (67. პაციენცა 6), ჰამშიკი 6, დოსენა 7 (73. რულო) - ლავეცი 6.5, დენისი 6 (63. ბოლიაჩინო 6.5), კვალიარელა 7.5.

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი 6 - კაპელი 5.5 (71. კაზერტა), ბიანკო 6, თ. მანფრედინი 6, ბელინი 6 - პინტუ 5.5 (58. დარიჩი 6), პადოინი 6, გუარენტე 6, ვალდესი 5.5 (58. ჩერავოლო 5) - ამორუზო 5, ტირიბოკი 6.5.

**გოლები:** 1:0 კვალიარელა (43), 2:0 კვალიარელა (83)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (4-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 36 000

### ფიორენტინა-სიენა 1:1

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ს. ფრეი 6.5 - დე სილვესტრი 6, ნატალი 5.5, კროლდრუპი 6, გობი 5.5 - მონტოლივო 7, ბოლატი 6.5 (77. დონადელი 6) - მარკიონი 6.5 (61. კ. ძანეტი 6), იოვეტიჩი 6.5, ლიაჯიჩი 5.5 - კეირისონი 5 (46. ჯილარდინო 6).

**სიენა (4-2-3-1):** კურჩი 7 - როზი 6, კრიბარი 6, ტერცი 6, დელ გროსო 5.5 - ვერგასოლა 7, კოდრეა 6 - გეზალი 5, ექდალი 5.5 (59. იაიალო 6), მაკარონე 5.5 (85. იაროლიმი) - კალაიო 5.5 (79. ლარიონდო 6).

**გოლები:** 0:1 ვერგასოლა (3), 1:1 მარკიონი (15)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-7 (3-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 29 378

### უდინეზე-ბარი 3:3

**უდინეზე (4-3-3):** ჰანდანოვიჩი 6 - ფერონეტი 6, საპატა 5, ლუკოვიჩი 6, პასკუალე 7 (65. სიკეირა 6.5) - ისლა 6, ინლერი 6, ასამოა 6.5 - სანჩესი 6.5 (86. ობოდო), პეპე 6.5, დი ნატალე 8 (75. ფლორო ფლორესი 6.5).

**ბარი (4-4-2):** პადელი 6 - ბელმონტე 6 (50. სტელინი 6), ა. მაზიელო 6, ბონუჩი 7, პარიზი 6.5 (77. მ. პიზანო) - ე. ალვარესი 6, გაცი 6, დონატი 6.5, კომანი 6 (63. ალმირონი 6) - პ. ბარეტო 7, მეჯორინი 6.5.

**გოლები:** 0:1 პ. ბარეტო (18), 1:1 დი ნატალე (21), 2:1 პეპე (26), 2:2 კომანი (39), 3:2 დი ნატალე (64), 3:3 ალმირონი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 13-15 (6-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 14 000

### ბოლონია-კატანია 1:1

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო 6 - რაჯი 6, მორასი 6, ბრიტოსი 6, ლანა 6 - გუანა 6, ბუშე 6.5, კაზარინი 6.5 (36. მოდესტო 6) - ადაილტონი 6 (58. სუჩი 6) - სალაიეტა 6 (46. აპია 6), დი ვაიო 6.5.

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი 6.5 - პოტენცა 6, სილვესტრი 6, სპოლი 5.5, კაპუანო 6 - ბიაჯანტი 6 (69. მორეტი 6), კარბონი 6, პ. ლედესმა 5.5 - იცკო 5.5 (62. ბარიენტოსი 6), მაქსი ლოპესი 6 (55. მარტინესი 6), მასკარა 6.

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (15), 1:1 მაქსი ლოპესი (51)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 3-0; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 6-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 22 270

### ლივორნო-ლაციო 1:2

**ლივორნო (3-5-1-1):** დე ლუჩია 6 - ბერნარდინი 6, პერტიკონე 5.5, გალანტე 6 - რაიმონდი 5, პრუტში 4.5 (87. ლინიანი), მოცარტი 5 (46. ბერგვოლდი 6), მორო 6, ვიტალე 6 - ბელუჩი 5 - კ. ლუკარელი 6.5 (46. დანილევიჩუსი 6).

**ლაციო (3-5-2):** მუსლერა 6 - ბიავა 6, ანდრე დიასი 7, რადუ 7 - ლიხტშტაინერი (14. დიაკიტე 6), ბროკი 6.5 (89. პიტცლშპერგერი), მაური 6.5, კ. ლედესმა 6.5, კოლაროვი 6.5 - ფლოკარი 5.5, როკი 6.5 (66. ფოჯა 5.5).

**გოლები:** 0:1 როკი (13), 1:1 კ. ლუკარელი (33), 1:2 ბროკი (44)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10-12 (2-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 37 | 23 | 10 | 4 | 74-34 | 79 |
| 2. რომა | 37 | 23 | 8 | 6 | 66-41 | 77 |
| 3. მილანი | 37 | 19 | 10 | 8 | 57-39 | 67 |
| 4. სამპდორია | 37 | 18 | 10 | 9 | 48-41 | 64 |
| 5. პალერმო | 37 | 17 | 11 | 9 | 57-46 | 62 |
| 6. ნაპოლი | 37 | 15 | 14 | 8 | 50-42 | 59 |
| 7. იუვენტუსი | 37 | 16 | 7 | 14 | 55-53 | 55 |
| 8. ჯენოა | 37 | 14 | 9 | 14 | 57-60 | 51 |
| 9. პარმა | 37 | 13 | 10 | 14 | 42-50 | 49 |
| 10. ფიორენტინა | 37 | 13 | 8 | 16 | 48-45 | 47 |
| 11. ბარი | 37 | 12 | 11 | 14 | 47-49 | 47 |
| 12. უდინეზე | 37 | 11 | 11 | 15 | 53-56 | 44 |
| 13. კიევო | 37 | 12 | 8 | 17 | 37-40 | 44 |
| 14. კალიარი | 37 | 11 | 10 | 16 | 55-57 | 43 |
| 15. ლაციო | 37 | 10 | 13 | 14 | 36-42 | 43 |
| 16. კატანია | 37 | 9 | 15 | 13 | 43-45 | 42 |
| 17. ბოლონია | 37 | 10 | 11 | 16 | 41-54 | 41 |
| 18. ატალანტა | 37 | 9 | 8 | 20 | 36-51 | 35 |
| 19. სიენა | 37 | 7 | 10 | 20 | 40-66 | 31 |
| 20. ლივორნო | 37 | 7 | 8 | 22 | 26-57 | 29 |

**ბომბარდირები:** 28 - დი ნატალე (უდინეზე); 21 - მილიტო (ინტერი); 19 - მიკოლი (პალერმო); 18 - პაცინი (სამპდორია); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 14 - პ. ბარეტო (ბარი), ბორიელო (მილანი); 13 - მატრი (კალიარი), ტოტი (რომა), ვუჩინიჩი (რომა); 12 - დი ვაიო (ბოლონია), ეტო'ო (ინტერი), ჰამშიკი (ნაპოლი), მაკარონე (სიენა), პატუ (მილანი).

## სერია B

### XXXIX ტური

**ტრიესტინა-რეჯინა 2:1**

**გოლები:** 1:0 დელა როკა (10), 1:1 მისიროლი (25), 2:1 კოლომბო (83)

**ბრეშა-ანკონა 3:0**

**გოლები:** 1:0 კარაჩოლო (39), 2:0 რისპოლი (82), 3:0 კარაჩოლო (87)

**გაძევება:** კრისტანტე (54. ანკონა)

**ჩეზენა-პადოვა 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯაკერინი (27), 2:0 ჯაკერინი (54)

**გაძევება:** ბოვო (55. პადოვა)

**ვიჩენცა-ემპოლი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბელანოვიჩი (19), 1:1 ედერი (28), 2:1 ზგრინია (72-პენ)

**გროსეტო-პიაჩენცა 3:3**

**გოლები:** 0:1 ზამბურაგო (1), 1:1 კონსონი (20), 2:1 პიხლმანი (34), 2:2 ზამბურაგო (57), 3:2 პიხლმანი (73), 3:3 ავოგარდი (90)

**ჩიტადელა-ფროზინონე 1:0**

**გოლი:** 0:1 სტელონე (64)

**გალიპოლი-კროტონე 2:3**

**გოლები:** 0:1 ჯინესტრა (33), 0:2 დეგანო (37), 1:2 სოსა (79), 2:2 არტისტიკო (89-პენ), 2:3 ციტო (90)

**მანტოვა-მოდენა 1:1**

**გოლები:** 0:1 კატელანი (32), 1:1 კარიდი (80-პენ)

**გაძევება:** პერნა (61. მოდენა)

**სასუოლო-ტორინო 2:3**

**გოლები:** 0:1 რ. ბიანკი (3-პენ), 0:2 სკალია (51), 1:2 კუადრინი (67), 1:3 გასბარონი (79), 2:3 ძამპანია (90)

**გაძევება:** პესტრინი (52. ტორინო)

**ასკოლი-ლეჩე 1:2**

**გოლები:** 0:1 კორვია (66), 1:1 ბერნაჩი (77), 1:2 დეფენდი (90)

**გაძევება:** კორვია (90. ლეჩე)

**ალბინოლეფე-სალერნიტანა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 39 | 20 | 13 | 6 | 65-45 | 73 |
| 2. ბრეშა | 39 | 19 | 9 | 11 | 55-41 | 66 |
| 3. ჩეზენა | 39 | 17 | 14 | 8 | 50-27 | 65 |
| 4. ჩიტადელა | 39 | 17 | 12 | 10 | 57-39 | 63 |
| 5. სასუოლო | 39 | 16 | 14 | 9 | 53-39 | 62 |
| 6. ტორინო | 39 | 17 | 10 | 12 | 51-36 | 61 |
| 7. გროსეტო | 39 | 14 | 17 | 8 | 62-58 | 61 |
| 8. კროტონე (-2) | 39 | 17 | 10 | 12 | 50-43 | 59 |
| 9. ემპოლი | 39 | 15 | 10 | 14 | 61-48 | 55 |
| 10. ასკოლი | 39 | 14 | 12 | 13 | 53-51 | 54 |
| 11. ანკონა | 39 | 15 | 8 | 16 | 50-49 | 53 |
| 12. მოდენა | 39 | 13 | 12 | 14 | 34-41 | 51 |
| 13. ალბინოლეფე | 38 | 12 | 13 | 13 | 51-48 | 49 |
| 14. ვიჩენცა | 39 | 11 | 16 | 12 | 39-40 | 49 |
| 15. პიაჩენცა | 39 | 12 | 13 | 14 | 36-43 | 49 |
| 16. რეჯინა | 39 | 13 | 8 | 18 | 44-52 | 47 |
| 17. ტრიესტინა | 39 | 12 | 10 | 17 | 37-48 | 46 |
| 18. მანტოვა | 39 | 10 | 15 | 14 | 42-54 | 45 |
| 19. ფროზინონე | 39 | 12 | 7 | 20 | 44-65 | 43 |
| 20. პადოვა | 39 | 9 | 15 | 15 | 37-45 | 42 |
| 21. გალიპოლი | 39 | 10 | 10 | 19 | 39-65 | 40 |
| 22. სალერნიტანა | 38 | 5 | 8 | 24 | 37-69 | 23 |

**ბომბარდირები:** 24 - ანტენუჩი (ასკოლი), რ. ბიანკი (ტორინო), ედერი (ემპოლი), პინილია (გროსეტო); 22 - კარაჩოლო (ბრეშა); 19 - მასტრონუნციო (ანკონა); 18 - არდემანი (ჩიტადელა); 17 - კორვია (ლეჩე); 16 - კორალი (ემპოლი).

## ლეგა პრო 1/A

### XXXIV ტური

ალესანდრია-არეცო 1:2, კომო-ლეკო 2:0, ფოლინე-მონცა 2:0, ნოვარა-პაგანეზე 0:1, პერგოკრემა-სორენტო 1:1, პერუჯა-ფოლინიო 0:2, პრო პატრია-ლუმეცანე 2:1, ვარეზე-კრემონეზე 5:1, ვიარეჯო-ბენევენტო 2:2.

## ლეგა პრო 1/B

### XXXIV ტური

ანდრია-რავენა 0:0, კოზენცა-ტარანტო 0:1, ფოჯა-სპალ 0:3, ჯულიანოვა-რიმინი 0:2, ლანჩანო-კავეზე 0:0, რეალ მარჩანიზე-პესკარა 2:3, პოტენცა-პეშინა 1:0, რეჯანა-ტერნანა 1:0, ვერონა-პორტოგრუარო 0:1.

# ბარსას ტიტულამდე ერთი ნაბიჯი აშორებს

## დიდი ომი ლა ლიგის ფსკერზე

ერთი ტურიც და საფეხბურთო მარათონი სახელად პრიმერადივიზიონი დასრულდება, სწორედ გამარჯვება აშორებს „ბარსელონას“ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებამდე, რას არ ეცადა **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი, მაგრამ მდევარი „რეალი“ ბოლო ტურამდე მაინც ვერ ჩამოიცილა. თუმცა მთავარი გამოცდა კატალონიურმა კლუბმა „სანჩეს პისხუანზე“ ჩააბარა. ახლა **ლეო მესი** და კომპანია „ვალიადოლიდს“ მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში ტიტულს იქვე მიიღებს. ჩემპიონობა იოლად არ მოდის, ანდალუსიაში „ბარსას“ ბოლოსკენ გაუჭირდა, თუმცა 3-ბურთიანი უპირატესობა ბოლომდე მაინც არ გაფლანგა.

„სანჩეს პისხუანზე“ რომ მაგარი მატჩი გაიმართებოდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა, „სევილიას“ მხოლოდ გამარჯვება აწყობდა ჩემპიონთა ლიგის მე-4 საგზურისათვის ბრძოლაში. „ბარსელონამ“ სტარტიდანვე შეუტია და უკვე მეორე შეტევაში გაიტანა. მასპინძლები მესიზე დაჯარიმდნენ, არგენტინელმა ბურთი **მაქსველს** გაუთამაშა, რომლის პასიც მკერდით ჩამოილო და საბრალო ანდრეს პალოპს კარიერაში მერვედ გაუტანა. ეს მესის 32-ე გოლია ესპანეთის ჩემპიონატში.

28-ე წუთზე **ჩავიმ** გენიალური პასი მისცა **ბოიან კრკიჩს**, რომელმაც ახლო მანძილიდან კატალონიელთა უპირატესობა ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ მესიმ დიდებული შანსი გაუშვა ხელიდან, **დანი ალვეშის** ჩამოწოდების შემდეგ მას ახლო მანძილიდან უნდა გაეტანა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა. მალე კი სტუმართა გოლკიპერმა **ვალდესმა** იყოჩალა - მან სასწაულებრივი ნახტომით აული **ლუიშ ფაბიანოს** ახლო კუთხეში დარტყმული, ტაიმი ასე მორჩა - 0:2.

მეორე ტაიმიც პირველის ანალოგიურად დაიწყო, „ბარსა“ ბურთს აკონტროლებდა, ჩავი - თამაშის ტემპს და მიმართულებას. მალე ანდალუსიელთა მარჯვენა მცველმა **კონკომ** ბოიან კრკიჩს მაისურზე მოქაჩა და მსაჯისგან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, „სევილია“ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა. ამის შემდეგ მესიმ მოასწრო ორი საგოლე მომენტის განიავება, 62-ე წუთზე კი მისი დარტყმული მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ ბურთი **პედროს** მიუვიდა, ახალგაზრდა ფორვარდმა საჯარიმოს ხაზიდან **პალოპს** მარჯვენა კუთხეში გაუტანა - 0:3. თითქოს მატჩში ყველაფერი გადაწყდა, სტუმრები სამი ბურთის უპირატესობით იგებდნენ, მასპინძლები 10 კაცით თამაშობდნენ, მატჩის დასრულებამდე კი ნახევარი საათიც არ იყო დარჩენილი...

მაგრამ სწორედ აქ „ბარსელონა“ მოდუნდა და კინალამ მთელი სეზონის ნალვაწი მდინარე გვადალკივირს გაატანა. 68-ე წუთზე **ფრედერიკ კანუტემ** სისწრაფესა და გამჭრიახობაში აჯობა **კარლეს პუიოლს** და ვალდესის კარი დალაშქრა. სამ წუთში **დიდიე ზოკორამ** საჯარიმო ლუიშ ფაბიანოსთან გაითამაშა და ბრაზილიელმაც ანგარიში 2:3 გახადა. ამას კიდევ ერთი მეტად საკამათო ეპიზოდი მოჰყვა, როცა **პიკემ** აშკარად ხელი კრა კანუტეს, მაგრამ მსაჯმა პენალტის დანიშვნა ვერ გარისკა.

**პეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ჩემპიონატი ჯერ არ მოგვიგია. ყველას ვთხოვ, წინასწარ ნუ იზეიმებს. ბოლო თამაში „ვალიადოლიდის“ წინააღმდეგ გვაქვს, რომლისთვისაც ეს მატჩი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ძალიან კარგად ვიცნობ ხავიერ კლემენტეს, ასე რომ, უძნელესი მატჩი გველის, უფრო რთულად მოსაგები, ვიდრე დღევანდელი. მთავარია, თითოეულმა ფეხბურთელმა გაითავისოს, რომ ჩვენ დღეს მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადავდგით ჩემპიონობისკენ, დარჩა კიდევ ერთი და მთავარი. ბოიანს შეეძლო 4:0 ან სულაც 5:0 გაეხადა, მაგრამ შემდეგი ხუთი წუთი კონცენტრაცია დავკარგეთ. მოკლედ, „კამპ ნოუზე“ დიდი მატჩია, ჩვენ ტიტულს შევინარჩუნებთ ან დავკარგავთ“.*

„რეალი“ აგრძელებს „ბარსას“ დევნას, **მანუელ პელეგრინიმ** შეასრულა დანაპირები - „სამეფო კლუბმა“ ტიტულისთვის ბოლო ტურამდე იბრძოლა. „ლოს მერენგესმა“ ბილბაოს „ატლეტიკს“ 5:1 მოუგო, მაგრამ ანგარიში შეცდომაში ნუ შეგიყვანთ, მასპინძლებმა ერთობ ანერვიულეს გულშემატკივარი. მე-20 წუთზე **გონსალო იგუაინმა** შორი მანძილიდან ჩააწოდა და საკუთარ საჯარიმოში **ფერნანდო ამორებიეტამ** ხელით ითამაშა. რეფერი **მუნის ფერნანდესმა** უყოყმანოდ დანიშნა პენალტი და ბასკი მცველი მოედნიდან გააძევა. **კრიშტიანო რონალდომ** თავისი 26-ე გოლი ლა ლიგაში პენალტის ნიშნულიდან გაიტანა - 1:0.

რომ არა **გორკა ირაისოსის** ბრწყინვალე თამაში, „რეალი“ მალე უპირატესობას გაზრდიდა, თუმცა მეკარე დიდებულად თამაშობდა. მან წამებში **გაგოს** და **გრანეროს** დარტყმულები მოიგერია. ამასობაში კი გოლი **იკერ კასილიასის** კარში გავიდა. ის, რაც **ფრან იესტემ** შეძლო, ფეხბურთს ალამაზებს - მან „რეალის“ სამი მცველი მოატყუა და მეკარესაც აჯობა ტექნიკური დარტყმით კარის მარჯვენა კუთხეში - 1:1.

მეორე ტაიმში დრო გადიოდა, მაგრამ „რეალი“ ვერაფერს უხერხებდა ბასკურ ბასტიონს, „ატლეტიკი“ იშვიათი კონტრშეტევებით პასუხობდა, სახიფათო იყო იესტეს დარტყმული, თუმცა კასილიასმა ამჯერად ბურთის ალება შეძლო. 77-ე წუთზე მასპინძლებმა, როგორც იქნა, გაიტანეს. **ბენზემას** დარტყმული ირაისოსმა კი მოიგერია, მაგრამ გონსალო იგუაინის მიერ თავით დამატებულს ველარაფერი მოუხერხა. ამის შემდეგ მადრიდულ წვიმასთან ერთად, რომელიც ესპანეთის დედაქალაქში ამ სეზონში უჩვეულოა, გოლების წვიმაც ვიხილეთ. ორ წუთში **სერხიო რამოსმა** გამოიჩინა თავი, ცენტრალურმა მცველმა გამოცდილი ფორვარდივით ითამაშა და ულამაზესი გოლი შეაგდო. 81-ე წუთზე ქარიმ ბენზემასაც ეღირსა გოლის გატანა, ბოლოს კი **მარსელომ გურპეგის** შეცდომით ისარგებლა და ანგარიში 5:1 გახადა. „რეალმა“ ჩემპიონატში უკვე 101 გოლი გაიტანა!

ეს შეხვედრა უკანასკნელი იყო **გუტისთვის** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ მაისურით. ვეტერანი თითქმის ყოველი შეტევის სულისჩამდგმელი იყო. მას გულშემატკივრებმა ემოციური გაცილება მოუწყვეს. „მარკას“ ექსკლუზიური ინფორმაციით, გუტი „გალათასარაიში“ მიდის.

**მანუელ პელეგრინი** (რეალი): *„გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ძალიან დიდ იმედებს ვამყარებდით „სევილიაზე“, ამ გუნდს შეეძლო „ბარსელონას“ შეჩერება. თუმცა ჯერ არაფერია დაკარგული, გვჯერა, რომ ხავიერ კლემენტეს „ვალიადოლიდი“ იოლად არაფერს დაუთმობს ჩვენს კონკურენტს. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა იქნება. „ბერნაბეუზე“ დიდებული სეზონი დავხურეთ, 19-დან 18 მატჩი მოვიგეთ აქ და 60 გოლი გავიტანეთ, ჩემპიონატში კი ას გოლზე მეტი გავიტანეთ“.*

ძალზე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა ცხრილის ფსკერზეც, ბოლო ტურის წინ ჯერ არც ერთი გუნდი არ გავარდნილა ოფიციალურად. 36-36 ქულა აქვთ „ვალიადოლიდს“, „რასინგს“, „მალაგას“ და „ტენერიფეს“, 33 ქულა აქვს „ხერესს“ და თუ **გორროსიტოს** გუნდი ნავარაში მოიგებს და ოთხი კონკურენტიდან სამი წააგებს, „ხერესი“ პრიმერაში დარჩება. რა თქმა უნდა, ამის შანსი მინიმალურია. თუკი ზემოთ ჩამოთვლილი კვარტეტი ჩემპიონატს თანაბარი ქულებით (როგორც ახლაა) დაასრულებს, პრიმერაში „ვალიადოლიდი“ და „რასინგი“ დარჩებიან, რადგან მათ ურთიერთშეხვედრებში მეტი ქულები აქვთ აღებული.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




გუტი მშობლიურ სტადიონს გამოეთხოვა

### ბოლო ტური

16 მაისი. **ალმერია-სევილია, ბილბაო-დეპორტივო, ატლეტიკო-ხეტაფე, ბარსელონა-ვალიადოლიდი, მალაგა-რეალი, მალიორკა-ესპანიოლი, ოსასუნა-ხერესი, რასინგი-სპორტინგი, სარაგოსა-ვილიარეალი, ვალენსია-ტენერიფე.**

### სევილია-ბარსელონა 2:3

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, ფასიო (26. სკილაჩი), ესკუდე, ადრიანო (67. ლოლო) - ხ. ნავასი, ზოკორა, რენატო (60. სტანკევიჩიუსი), კაპელი - კანუტე, ლ. ფაბიანო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, მაქსველი (66. აბიდალი) - ჩავი (86. ტურე), ბუსკეტსი, კეიტა - მესი, კრკიჩი (91. ჟეფრენი), პედრო.

**გოლები:** 0:1 მესი (5), 0:2 კრკიჩი (28), 0:3 პედრო (62), 1:3 კანუტე (68), 2:3 ლ. ფაბიანო (71)

**გაძევება:** კონკო (55)

**გაფრთხილება:** 6-6; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 7-18 (5-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 40 000

### რეალი-ბილბაო 5:1

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, ს. რამოსი, მარსელო - გაგო (46. კაკა), ჩაბი ალონსო, გუტი, გრანერო (65. ბენზემა) - იგუაინი (81. მ. დიარა), რონალდო.

**ბილბაო (4-3-1-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი, იტურასპე, მარტინესი - იესტე (64. გაბილონდო) - დე მარკოსი (52. სუსაეტა), ტოკერო (73. ფ. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 რონალდო (22-პენ), 1:1 იესტე (40), 2:1 იგუაინი (77), 3:1 ს. რამოსი (79), 4:1 ბენზემა (81), 5:1 მარსელო (88)

**გაძევება:** ამორებიეტა (19)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 34-6 (15-4); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 80 000

### ვილიარეალი-ვალენსია 2:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილია - კანი (85. სენა), იბაგასა, ბრუნო, კასორლა (77. ვენტა) - ხ. ლორენტე, როსი (83. პირესი).

**ვალენსია (4-1-4-1):** მოია - მიგელი (77. პ. ერნანდესი), ნავარო, მარჩენა, ალბა - ალბელდა - ხოაკინი, ფერნანდეში (68. დომინგესი), ბანეგა, ვისენტე (61. მატა) - ჟიგიჩი.

**გოლები:** 1:0 როსი (10), 2:0 ხ. ლორენტე (18)

**გაძევება:** ხ. ლორენტე (71), კაპდევილია (90)

**გაფრთხილება:** 4-6; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 8-24; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 16 000

### დეპორტივო-მალიორკა 1:0

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, როჩელა, ლოპო, რაული (64. ფელიპე) - სერხიო, ჟუკა - ადრიანი, ვალერონი (83. პერესი), როდრიგესი - რიკი (77. მისტა).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - მატიონი (70. ვარელა), რამისი, რუბენი, აიოსე - ალვარესი (81. კეიტა), მარტი, სუარესი, კასტრო - ადურისი, ვებო (65. ვიქტორი).

**გოლი:** 1:0 რიკი (68)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-18 (2-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 9 000

### ესპანიოლი-ოსასუნა 2:1

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ამატი, მოისესი (46. რონკალია), რუისი, დ. გარსია - ვერდიუ, ფორლინი - კალეხონი, ალონსო (63. ტამუდო), კორომინასი - ოსვალდო (81. მარკესი).

**ოსასუნა (4-2-3-1):** რობერტო - ასპილიკუეტა, ხოსეჩო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი (83. პანდიანი), რუპერი - მასუდი (72. ესპარსა), ვადოში, კალეხა - დადი (72. გალანი).

**გოლები:** 0:1 ვადოში (5), 1:1 ფორლინი (49), 2:1 ოსვალდო (51)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 6-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 13-11 (8-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 000

### ხერესი-სარაგოსა 3:2

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, პრიეტო, ხიოდა, კასადო - სანჩესი, ბერგანტინიოსი - ორელანა, ალუსტისა (55. კალვო), არმენტეროსი (63. მიჩელი) - ბერმეხო (84. მორენო).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პონსიო, იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - აგილარი, გაბი - ლაფიტა (90. არისმენდი), ანდერი, ელიზეუ (86. ხ. ლოპესი) - კოლუნგა.

**გოლები:** 1:0 ფრანსისი (22), 1:1 ერერა (66), 2:1 მიჩელი (ხერესი), 3:1 კალვო (74), 3:2 გაბი (76)

**გაძევება:** კონტინი (92)

**გაფრთხილება:** 2-5 **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 9-14 (6-7); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 000

### ტენერიფე-ალმერია 2:2

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ბერტრანი, კულებრასი (85. ანხელი), სისილია, ექტორი - რომანი, რიკარდო - ხუანლუ (60. დინეი), ალფარო (86. ომარი) - ნინო.

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - ხუანმა ორტისი, ჩიკო, აკასიეტე, სისმა - ბერნარდელო, მბამი - პიატი, სორიანო (85. ვარგასი), კრუსატი (85. როდრიგესი) - კორონა (91. ბონცანი).

**გოლები:** 1:0 ბერტრანი (14), 1:1 პიატი (17), 1:2 კრუსატი (80), 2:2 ნინო (103)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 15-5; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-9 (7-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 20 000

### ვალიადოლიდი-რასინგი 2:1

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაკობო - პ. ლოპესი, სერენო, ნივალდო (18. არსო), ბარაგანი - ბარახა (66. ბუენო), პელე - ბორხა, დ. კოშტა, სესმა (57. ალემანი) - მანუჩო.

**რასინგი (4-3-1-2):** ტონიო - კრესპო (50. ორიოლი), ტორეხონი, მორატონი, კრისტიანი - კოლსა, დიოპი (79. მორალი), ლასენი - კანალესი (73. ბოლადო) - სისკო, არანა.

**გოლები:** 0:1 კრისტიანი (28), 1:1 ბარახა (56), 2:1 ალემანი (78-პენ)

**გაძევება:** ბორხა (81), მორატონი (86)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 12-5 (4-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 17 500

### სპორტინგი-ატლეტიკო 1:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - სასტრე, ერნანდესი, გრეგორი, ანხელი - კამაჩო, რივერა - ლორა, დელ ლას კუევასი (91. მატაბუენა), კასტრო (85. კარმელო) - ბილიჩი (86. ბარალი).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** ასენხო (12. ხოელი) - ვალერა (55. უიფალუში), ხუანიტო, დომინგესი, კაბრერა - კამაჩო, ტიაგო - სალვიო, ხურადო, ა. ლოპესი (83. კოკე) - იბრაჰიმა.

**გოლები:** 1:0 დე ლას კუევასი (57), 1:1 იბრაჰიმა (71)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-8; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 4-4 (1-1); **ბურთის ფლობა:** 42%-58.

**მაყურებელი:** 21 000

### ხეტაფე-მალაგა 2:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - კორტესი, დიასი, რაფა, მანე - კასკერო, სელესტინი - პ. ლეონი (85. მანუ), გონსალესი (85. პარეხო), გავილანი - სოლდადო (87. ბელენგერი).

**მალაგა (4-4-2):** მუნუა - გამესი, ოროსკო, სტეპანოვი, მტილიგა (88. ხ. ლოპესი) - ტორიბიო, აპონიო, ბენაშური (47. კაისედო), ფერნანდო - ობინ ა (43. ბა), დუდა.

**გოლები:** 1:0 სოლდადო (26), 2:0 პ. ლეონი (56), 2:1 ფერნანდო (91)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-5 (5-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 37 | 30 | 6 | 1 | 94-24 | 96 |
| 2. რეალი | 37 | 31 | 2 | 4 | 101-34 | 95 |
| 3. ვალენსია | 37 | 20 | 8 | 9 | 58-40 | 68 |
| 4. სევილია | 37 | 18 | 6 | 13 | 62-47 | 60 |
| 5. მალიორკა | 37 | 17 | 8 | 12 | 57-44 | 59 |
| 6. ხეტაფე | 37 | 16 | 7 | 14 | 55-48 | 55 |
| 7. ვილიარეალი | 37 | 16 | 7 | 14 | 55-54 | 55 |
| 8. ბილბაო | 37 | 14 | 9 | 14 | 48-53 | 51 |
| 9. ატლეტიკო | 37 | 13 | 8 | 16 | 57-58 | 47 |
| 10. დეპორტივო | 37 | 13 | 8 | 16 | 35-47 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 37 | 11 | 11 | 15 | 29-44 | 44 |
| 12. ალმერია | 37 | 10 | 12 | 15 | 41-52 | 42 |
| 13. ოსასუნა | 37 | 11 | 9 | 17 | 36-45 | 42 |
| 14. სპორტინგი | 37 | 9 | 13 | 15 | 36-49 | 40 |
| 15. სარაგოსა | 37 | 10 | 10 | 17 | 43-61 | 40 |
| 16. ვალიადოლიდი | 37 | 7 | 15 | 15 | 37-58 | 36 |
| 17. მალაგა | 37 | 7 | 15 | 15 | 41-47 | 36 |
| 18. ტენერიფე | 37 | 9 | 9 | 19 | 40-73 | 36 |
| 19. რასინგი | 37 | 8 | 12 | 17 | 40-59 | 36 |
| 20. ხერესი | 37 | 8 | 9 | 20 | 37-65 | 33 |

**ბომბარდირები:** 32 - მესი (ბარსელონა); 27 - იგუაინი (რეალი); 26 - რონალდო (რეალი); 21 - ვილია (ვალენსია); 18 - ფორლანი (ატლეტიკო); 16 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 15 - ლუიშ ფაბიანო (სევილია).

### სეგუნდა ლიგა

### XXXVI ტური

**ვილიარეალი B-ლას პალმასი 2:5**

გოლები: 0:1 ხორხე (12), 0:2 გერერო (31), 0:3 რონდონი (38), 0:4 გერერო (67), 1:4 კატალა (75), 1:5 სუარესი (86), 2:5 რუბენი (88)

გაძევება: კარლოსი (9. ვილიარეალი)

**რაიო ვალეკანო-უესკა 4:1**

გოლები: 1:0 კასტრო (2), 2:0 კასტრო (7), 3:0 ხოფრე (26), 3:1 გილვანი (51), 4:1 კუერო (76)

**უნიონი-სოსიედადი 0:0**

**უელვა-ლევანტე 0:1**

გოლი: 0:1 რუბენი (32)

გაძევება: ბარალესი (59. უელვა), იბორა (63. სოსიედადი)

**სელტა-ხირონა 2:1**

გოლები: 1:0 მიჩუ (1), 2:0 ტრაშორასი (84), 2:1 პერაგონი (90)

**კასტელონი-ხიმნასტიკი 0:0**

**კარტახენა-ნუმანსია 2:1**

გოლები: 0:1 ნანო (54), 1:1 ტოჩე (75), 2:1 ტოჩე (83)

**ბეტისი-მურსია 1:1**

გოლები: 1:0 ხუანმა (19), 1:1 კაპდევილია (61)

**ალბასეტე-სალამანკა 2:1**

გოლები: 1:0 სტუანი (40), 1:1 სევილია (44-პენ), 2:1 იდალგო (90)

**კადისი-ელჩე 2:1**

გოლები: 1:0 ოგბეჩე (49), 2:0 ტრისტანი (54), 2:1 პერერა (89)

**ერკულესი-კორდობა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 36 | 17 | 13 | 6 | 45-30 | 64 |
| 2. კარტახენა | 36 | 17 | 10 | 9 | 53-37 | 61 |
| 3. ლევანტე | 36 | 16 | 13 | 7 | 51-33 | 61 |
| 4. ბეტისი | 36 | 14 | 13 | 9 | 51-37 | 55 |
| 5. ერკულესი | 35 | 15 | 11 | 9 | 47-31 | 56 |
| 6. ვილიარეალი B | 36 | 15 | 11 | 10 | 54-48 | 56 |
| 7. ელჩე | 36 | 15 | 9 | 12 | 55-47 | 54 |
| 8. ნუმანსია | 36 | 14 | 10 | 12 | 46-41 | 52 |
| 9. კორდობა | 35 | 12 | 12 | 11 | 31-33 | 48 |
| 10. ხიმნასტიკი | 36 | 13 | 9 | 14 | 38-46 | 48 |
| 11. უელვა | 36 | 12 | 12 | 12 | 35-36 | 48 |
| 12. სელტა | 36 | 11 | 13 | 12 | 33-35 | 46 |
| 13. ხირონა | 36 | 12 | 10 | 14 | 42-50 | 46 |
| 14. რაიო ვალეკ. | 36 | 11 | 12 | 13 | 57-51 | 45 |
| 15. ლას პალმასი | 36 | 10 | 14 | 12 | 43-44 | 44 |
| 16. უესკა | 36 | 9 | 15 | 12 | 28-33 | 42 |
| 17. ალბასეტე | 36 | 9 | 15 | 12 | 47-53 | 42 |
| 18. კადისი | 36 | 9 | 13 | 14 | 39-56 | 40 |
| 19. მურსია | 36 | 8 | 15 | 13 | 39-45 | 39 |
| 20. სალამანკა | 36 | 9 | 11 | 16 | 35-51 | 38 |
| 21. უნიონი | 36 | 9 | 10 | 17 | 31-44 | 37 |
| 22. კასტელონი | 36 | 7 | 11 | 18 | 33-52 | 32 |

**ბომბარდირები:** 18 - მოლინა (ელჩე); 16 - სტუანი (ალბასეტე); 15 - ვერდიუ (კარტახენა); 14 - რუბენი (ვილიარეალი); 12 - დე ლუკასი (კარტახენა), ს. გარსია (ბეტისი), ულოა (კასტელონი), დიასი (კორდობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცნობი სურათი ახალი გმირებით

## ბაიერნის ტაშ-ფანდურს ტრიბუნიდან მოურინიომ უყურა

ბოლო თამაშის მოგება საჭირო ან მით უმეტეს აუცილებელი, ნამდვილად არ იყო, მაგრამ „ბაიერნი" რის „ბაიერნი" იქნებოდა, რომ არ მოეგო. მიუნხენელებმა განადგურებული, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ჰერტა" ტყუილადაც არ გაახარეს, 3:1 დაამარცხეს, და როდესაც გერმანიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა **რაინჰარდ რაუბალმა** „რეკორდმაისტერის" კაპიტან **მარკ ვან ბომელს** „ვერცხლის სინი" გადასცა, დაიწყო ზეიმი. ნამდვილი ზეიმი მიუნხენურად!

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, თუ ვინ გაბედავდა **ლუის ვან გაალისთვის** თავზე ლუდის გადასხმას. მატჩის წინ ლუისმა შეგირდები ცალყბად მკაცრად გააფრთხილა, არავინ გაბედოს ჩემთვის ლუდის გადასხმაო, მაგრამ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ლუდის შხაპს აუცილებლად მიალებინებდნენ, რადგან გერმანიის ჩემპიონობა ამის გარეშე არ არსებობს. ამიტომაც იყო, რომ შესვენებისას ვან გაალმა თავისი შესანიშნავი კოსტიუმი გაიხადა და მეორე ტაიმში მოედანზე სპორტულებით გამოვიდა. როდესაც ფეხბურთელები მიხვდნენ, რომ დრო იყო, ლუისიც „ებანავებინათ", ჰოლანდიელი ადგილიდან მოწყდა, გაიქცა! ლუდით სავსე სამლიტრიანი კათხებით მას ექვსნი მისდევდნენ: **პრანიჩი, შვაინშტაიგერი, ტიმოშჩუკი, ვან ბომელი, ვან ბუიტენი** და **ალთინთოფი**. ამ უკანასკნელმა ჭკუა იხმარა და მწვრთნელი შებოჭა, რის შემდეგაც კაპიტანმა ვან ბომელმა ლუისს ლუდი თავზე გადაავლო. შვაინშტაიგერი: *„ვან გაალი ძალიან დიდხანს და კარგად იბრძოდა, მაგრამ ბოლოს წრეში მოვიმწყვდიეთ და ველარაფერი გააზერხა."* ლუის ვან გაალი ბუნდესლიგის 47-წლიან ისტორიაში პირველი ჰოლანდიელი მწვრთნელია, რომელმაც გერმანიის ჩემპიონატი მოიგო.

„ბაიერნის" ფეხბურთელები მოედანზე დიდხანს ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ერთმანეთს ლუდით წუწავდნენ. როგორ გგონიათ, ვინ ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს „ოლიმპიაშტადიონის" ტრიბუნებიდან? „ინტერის" მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო**, რომელსაც ვან გაალი და კომპანია 22 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაუპირისპირდებიან.

ჩვენი დროით 23:30-ზე, „ბაიერნის" თვითმფრინავი მიუნხენის ფრანც-იოზეფ შტრაუსის სახელობის აეროპორტში დაეშვა, საიდანაც ჩემპიონებმა რესტორან „კეფერისკენ" აიღეს გეზი. თვითმფრინავიდან პირველი ვან გაალი ჩამოვიდა და ჟურნალისტების კითხვაზე, სად არის „ვერცხლის სინიო", ასე უპასუხა: *„სინი ბუტს აქვს. პატარა ბავშვივით უხაროდა და აღარ გამოვართვით!"* 35 წლის **ჰანს-იორგ ბუტი** პირველად გახდა გერმანიის ჩემპიონი.



რესტორანთან რეკორდმაისტერს ფანების არმია ელოდა. ავტობუსიდან პირველი ვან გაალი ჩამოვიდა, მას ვან ბომელი მოჰყვა, რომელსაც ბუტისთვის „ვერცხლის სინი" უკვე გამოერთმია. **ივიცა ოლიჩს** ფანები გამაყრუებელი შეძახილით „ივიცა ოლიჩი - ფეხბურთის ღმერთი" შეეგებნენ, ყველაზე მეტი ავტოგრაფი კი, რა თქმა უნდა, **არიენ რობენმა** (16 გოლი ბუნდესლიგაში) არიგა. მერე იყო, Queen-ის უკვდავი We are the champions და ვახშამი ბავარიულად. რესტორანი პირველმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა** დატოვა - უკრაინელს მაინცდამაინც არ ეზეიმებოდა, რადგან ორიოდ დღის წინ მის მეუღლეს 6-თვიანი ფეხმძიმობა შეუწყდა. რესტორნის შემდეგ, ბავარიელებმა დისკოთეკა Baby-ს მიაშურეს, სადაც დაახლოებით 12-ჯერ აჟღერდა „ბაიერნის" სიმღერა „სამხრეთის ვარსკვლავი". დილის 4 საათზე, მთვრალი შვაინშტაიგერი მიკროფონში ყვიროდა, „ბაიერნო, ძალიან მიყვარხარ!". ის და **კონტენტო** მაგიდაზე ცეკვავდნენ, ბევრი იცელქეს ახალგაზრდებმაც, **ალაბამ** და **ბადშტუბერმა**. ვიცე-პრეზიდენტმა **რუმენიგემ** დისკოთეკა 4 საათზე დატოვა - იმ დროს ვან გაალი ჯერ კიდევ ფეხბურთელებთან ერთად ცეკვავდა.

გუშინ „ბაიერნს" 12 საათზე უნდა ევარჯიშა, მაგრამ ვან გაალმა ვარჯიში ორი საათით გადადო - არცაა გასაკვირი, ქეიფი ხომ დილის 6 საათამდე გაგრძელდა. თუმცა ვარჯიში, რა თქმა უნდა, ძალიან მსუბუქი იყო. გერმანიის დროით 15 საათზე კი მიუნხენის „ბაიერნი" „მარიენპლატცზე", ათიათასობით გულშემატკივრის წინაშე „ვერცხლის სინით" ხელდამშვენებული წარდგა...

იმ დროს, როცა მიუნხენელები ზეიმობდნენ, ბერლინი ცხარე ცრემლით ტიროდა. მატჩის შემდეგ **ლევან კობიაშვილმა** და კომპანიამ თავის გულშემატკივრებს მოკრძალებული მადლობა გადაუხადეს და სწრაფად გაუჩინარდნენ, რადგან „ოლიმპიაშტადიონის" ტრიბუნებიდან მხოლოდ აგრესია მოდიოდა და შეძახილი „ფუნკელი წავიდეს!" ისმოდა. მოგვიანებით „ჰერტას" კაპიტანმა **არნე ფრიდრიხმა** თქვა, ეს იყო ჩემი ბოლო მატჩი „ჰერტას" მაისურითო. ახლა უკვე ოფიციალურად, ფრიდრიხი გაუბედურებულ „ჰერტას" ტოვებს და სავარაუდოდ „ვოლფსბურგში" მიდის.

„ბოხუმმა" „ჰანოვერს" ვერაფერი მოუხერხა, 0:3 დამარცხდა და პირველი ბუნდესლიგიდან არსებობის მანძილზე მეექვსედ გავარდა. „ჰანოვერს" კი წესით გადარჩენა უნდა ეზეიმა, მაგრამ „წითლებისთვის" ელიტაში ადგილის შენარჩუნება ლამის მეორეხარისხოვანი გამოდგა: **მირკო სლომკა** და მისი შეგირდები საფინალო სასტვენის შემდეგ ტიროდნენ, რადგან მათ **რობერტ ენკე** გაიხსენეს - მეკარე, რომელმაც 10 ნოემბერს თავი მოიკლა. ყველაზე ემოციური **ფლორიან ფრომლოვიტცი** გახლდათ, რადგან სწორედ მას მოუხდა ენკეს შეცვლა. *„ეს ცრემლები ზუსტად ასახავს იმას, თუ როგორ ენატრება გუნდს რობერტი,"* - მოთქვამდა სლომკა. „ბოხუმის" ფეხბურთელებს კი ფანებმა სხვადასხვა საგნები დაუშინეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ დროებითი მწვრთნელი **დარიუშ ვოში**, რომელმაც გუნდი ვერ იხსნა და „ბოხუმთან" ერთად მეოთხედ გავარდა პირველი ბუნდესლიგიდან (მანამდე ფეხბურთელის რანგში ვარდებოდა), მთავარი მწვრთნელის პოსტზე არ დარჩება. „ბოხუმის" მწვრთნელობის კანდიდატები **ფრანკო ფოდა** („შტურმი", ავსტრია) და ყოფილი მწვრთნელი **პეტერ ნოირურერი** არიან.

ვიცე-ჩემპიონმა „შალკემ" ბოლო ტურშიც ისე ითამაშა, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში: ულამაზო ფეხბურთი, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის შედეგი სულერთი იყო. ამიტომაც, „მაინცისა" და „შალკეს" ჯახი 0:0 დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრემენის „ვერდერმა" მესამე ადგილი შეინარჩუნა და „ბაიერნთან" და „შალკესთან" ერთად, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს: ამისათვის „მუსიკოსებს" ჩრდილოეთის დერბიში, „ჰამბურგთან" ფრეც (1:1) ეყოთ. ამრიგად პირველი წრის მომგები „ლევერკუზენი" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, თუმცა ევროპის ლიგაში ცდის ბედს. თამამად უნდა ვთქვათ, რომ ლიგაში გასვლა „ვერდერმა" უფრო დაიმსახურა. „ლევერკუზენთან" ერთად, ევროპის ლიგაში დორტმუნდის „ბორუსია" და „შტუტგარტი" იასპარეზებენ. „ჰამბურგი" კი ევროტურნირების მიღმა დარჩა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ დიდი შანსია, მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგიდან ჩემპიონთა ლიგაში ოთხი კლუბი გავიდეს. იმისათვის, რომ უეფას ხუთწლიან რეიტინგში გერმანიამ იტალიას გაასწროს და ჩემპიონთა ლიგაში ერთი ადგილი წაართვას, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნმა" „ინტერთან" მინიმუმ თერთმეტმეტრიანების სერიამდე უნდა გაძლოს.

ისევე როგორც შარშან, დამატებით მატჩებს წელსაც ჩაატარებს „ნიურნბერგი", ოღონდ, თუკი ერთი წლის წინ საქმე პირველ ბუნდესლიგაში აღზევებას ეხებოდა („ნიურნბერგმა" „კოტბუსი" დაამარცხა და ელიტაში დაბრუნდა), ახლა გადარჩენისთვის იბრძოლებს. ფრანკებს მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „აუგსბურგთან" ორმატჩიანი დუელი ელით.

ასე და ამგვარად, ბუნდესლიგა აგვისტომდე დაგვემშვიდობა. მაგრამ მოწყენის უფლება არ გვაქვს - წინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია...

**გოტფრიდ ლენცი**

>> მე-10 გვერდზე


## აისრულე სურვილები ნატახტართან ერთად




პრიზების გაცემა იწარმოებს
15 აპრილიდან 15 ივლისამდე

# გერმანია ბუნდესლიგა. XXXIV ტური

« მე-8 გვერდიდან

### ნიურნბერგი–კიოლნი 1:0

**ნიურნბერგი (4-1-2-1-2):** რ. შეფერი 3 - იუდტი 3, ვოლფი 3.5, მარო 3, პინოლა 3 - ოტლი 2.5 - გიუნდოგანი 4.5 (70. რისსე 4), ფრანტცი 4.5 (46. ჩუპო-მოტინგი 4) - მინტალი 4.5 - აიგლერი 4.5, ბუნიაკუ 5 (74. ბოაკი).

**კიოლნი (4-2-3-1):** მონდრაგონი 3.5 - ბრეჩკო 4, ჟერომელი 4, კულმანი 3.5, ერეთი 3.5 - პეტიტი 4, მატუშიკი 3.5 - ტოშიჩი 5 (79. ბროზინსკი), მანიშე 4.5, იალსინი 4.5 - ფრაისი 5 (76. ნოვაკოვიჩი).

**გოლი:** 1:0 ოტლი (88)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 13(3)-5(2); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 48 548

### ვოლფსბურგი–აინტრახტი 3:1

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ბენალიო 3.5 - რიტერი 2.5, ბარძალი 3.5 (55. პეკარიკი 4), მადლუნგი 3.5, მ. შეფერი 3.5 - ჟოსუე 3 - ჰასებე 3.5, გენტნერი 2 (72. დეჟაგა) - მიშიმოვიჩი 2.5 - მარტინსი 3.5 (79. კალენბერგი), ჯეკო 2.

**აინტრახტი (4-2-2-2):** ფერმანი 4 - პ. ოხსი 4.5, ფრანცი 4, იუნგი 5, კიოლერი 4 - კლერკი 4.5, ა. მაიერი 4 - მ. ჰელერი 3, ტებერი 4.5 (46. პეტკოვიჩი 3) - ჰალილ ალთინთოფი 4 (89. ცუმუ), ფენინი 5 (75. ტოსუნი).

**გოლები:** 1:0 მიშიმოვიჩი (21), 2:0 რიტერი (30), 3:0 ჯეკო (34), 3:1 ჰალილ ალთინთოფი (86)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 16(7)-19(3); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 7-8; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 30 000

### მაინცი–შალკე 0:0

**მაინცი (4-1-2-2-1):** ჰ. მიულერი 3 - ზაბავნიკი 3.5, ბუნგერტი 3.5, ნოვესკი 3, ფათი 3.5 - კარჰანი 3.5 - პოლანსკი 4 (70. ივანშიტცი 3.5), სოტო 3.5 - შიურლე 4 (56. ტროიანი 4), ამრი 3 (83. ფ. ჰელერი) - ბონსე 3.5.

**შალკე (4-2-1-2-1):** ნოიერი 2 - რაფინია 3.5, ჰიოვედესი 3.5, ვესტერმანი 4, შმიტცი 3 - მორიტცი 4, რაკიტიჩი 3.5 - კლუგე 4 (61. მატიპი 4) - ფარფანი 3, ედუ 3.5 (76. ასამოა) - კურანი 4.5 (61. იბრაიმი 4.5).

*76-ე წუთზე კარჰანმა (მაინცი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(4)-10(3); **ჯარიმა:** 12-21; **კუთხური:** 6-4; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 20 300

### ბორუსია (მ)–ლევერკუზენი 1:1

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 1.5 - ლეველსი 4.5, ბრუვერსი 3, დანტე 5, დემსი 4.5 - მარქსი 4.5, ბრედლი 4 - ჰერმანი 4 (71. ფრენდი), არანგო 3.5 - როისი 4.5 (89. კლაინე), ბობადილია 5 (57. ნოივილი 3.5).

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** გიფერი 3 - შვააბი 3.5, რაინარტცი 3.5, ჰიიპია 2.5, კასტრო 3 - ვიდალი 2.5, ლ. ბენდერი 3.5 - კაპლანი 3 (92. ზინკევიჩი), კროოსი 2 - ჰელმესი 3 (72. დერდიოკი), კისლინგი 3.5.

**გოლები:** 0:1 ჰელმესი (34), 1:1 ბრუვერსი (55)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 10(1)-33(14); **ჯარიმა:** 14-13; **კუთხური:** 4-10; **ბურთის ფლობა:** 32%-68%.

**მაყურებელი:** 54 057

### ჰოფენჰაიმი–შტუტგარტი 1:1

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-1-2):** ჰაასი 3 - ბეკი 3.5, შიმუნიჩი 4, კომპერი 3.5, აიხნერი 3.5 - ლუის გუსტავო 2.5 - ვუკჩევიჩი 2.5 (79. გროსი), სალიჰოვიჩი 4 (46. მაიკოსუელი 3) - კარლოს ედუარდო 3 - ობასი 4.5 (73. ტაგო), იბიშევიჩი 4.5.

**შტუტგარტი (4-2-2-2):** ლემანი 3 - ოსორიო 4, ტასკი 3, დელპიერი 3, მოლინარო 4 - კუზმანოვიჩი 4, ხედირა 3.5 - ტრეში 3.5, ჰილბერტი 4.5 (65. შიბერი 4) - კაკაუ 3, მარიკა 3.5 (71. ბოკა).

**გოლები:** 0:1 კაკაუ (19), 1:1 ვუკჩევიჩი (44)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(4)-9(5); **ჯარიმა:** 20-15; **კუთხური:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 150

### ფრაიბურგი–ბორუსია (დ) 3:1

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი 3 - მუიჯა 4, ტოპრაკი 3.5, კრმასი 3.5, ბასტიანსი 3.5 - ბანოვიჩი 4.5 (58. შუსტერი 2.5) - იეგერი 3, აბდესადკი 4 (85. ბართი), მაკიადი 3.5, იდრისუ 3 - რაიზინგერი 5.5 (58. სისე 2).

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი 3.5 - შმელცერი 3.5, სუბოტიჩი 4.5, ჰუმელსი 4.5, დედე 3 - ჰაინალი 4 (84. ფელიპე სანტანა), ნ. შაჰინი 4 - ბლაშჩიკოვსკი 5 (73. რანგელოვი), ვალდესი 4 (81. შტიპერმანი), გროსკროიტცი 3 - ბარიოსი 3.

**გოლები:** 0:1 ბარიოსი (47), 1:1 იდრისუ (60), 2:1 სისე (70), 3:1 სისე (93)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(3)-11(5); **ჯარიმა:** 21-12; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბოხუმი–ჰანოვერი 0:3

**ბოხუმი (4-1-3-2):** ჰეერვაგენი 4 - იაია 5, მალტრიტცი 4.5, მავრაი 4.5, ბიონიგი 5.5 (46. ეპალე 5) - მარიჩი 5 - ფრაიერი 6 (46. ჰოლტბი 4.5), აზაუაგი 5.5 (61. დედიჩი 4.5), ფუხსი 5 - შესტაკი 6, ჰაშემიანი 5.

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ფრომლოვიტცი 3 - ჩერუნდოლო 3.5, ეგიმანი 2.5, ჰაგი 3, კ. შულცი 3 - შმიდებახი 2.5, პინტუ 2.5 (85. რაუში) -ია კონანი 3.5, ბრუგინკი 2 (78. შტაინერი), ბალიტში 2.5 - ჰანკე 3 (72. სოფიან ჩაჰედი).

**გოლები:** 0:1 ბრუგინკი (9), 0:2 ჰანკე (23), 0:3 პინტუ (45)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 18(5)-14(6); **ჯარიმა:** 18-17; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 30 748

### ვერდერი–ჰამბურგი 1:1

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე 2 - ფრიტცი 3, მერტეზაკერი 4, ნალდო 3.5, პასანენი 4 - ფრინგსი 2.5 - ბარგფრედე 3.5, ბოროვსკი 4.5 (73. ჰანტი) - იოზილი 3 (92. პრიოდლი) - უგო ალმეიდა 4.5 (76. მარინი), პისარო 2.

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი 2.5 - დემელი 3.5, ჟ. ბოატენგი 3.5, მატიისენი 4, აოგო 4 (73. ელია) - იაროლიმი 3, ზე რობერტო 2.5 - ტროხოვსკი 3.5, პიტროიპა 4 - ვან ნისტელროი 2.5, პეტრიჩი 4.5.

**გოლები:** 1:0 პისარო (58), 1:1 ვან ნისტელროი (82)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22(8)-15(4); **ჯარიმა:** 24-14; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 41 150

### ჰერტა–ბაიერნი 1:3

**ჰერტა (4-2-3-1):** დრობნი 3 - შტაინი 5, ა. ფრიდრიხი 4, იანკერი 4.5, კობიაშვილი 4 - ლუსტენბერგერი 4.5 (86. გეკასი), კაჩარი 4 - პიუჩეკი 4.5 (66. ებერტი 3.5), რაფაელი 4, სისერო 3 - რამოსი 3.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი 2.5 - ლამი 3.5, ვან ბუიტენი 3.5, ბადშტუბერი 3, კონტენტო 4 - ვან ბომელი 3 (46. პრანიჩი 4), შვაინშტაიგერი 2.5 - რობენი 1.5, თ. მიულერი 3.5, რიბერი 2.5 (61. ჰამით ალთინთოფი 3.5) - ოლიჩი 3.5 (78. კლოზე).

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (20), 1:1 რამოსი (59), 1:2 რობენი (74), 1:3 რობენი (87)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 14(8)-16(6); **ჯარიმა:** 10-14; **კუთხური:** 8-2; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 75 420

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 34 | 20 | 10 | 4 | 72-31 | 70 |
| 2. შალკე | 34 | 19 | 8 | 7 | 53-31 | 65 |
| 3. ვერდერი | 34 | 17 | 10 | 7 | 71-40 | 61 |
| 4. ლევერკუზენი | 34 | 15 | 14 | 5 | 65-38 | 59 |
| 5. ბორუსია (დ) | 34 | 16 | 9 | 9 | 54-42 | 57 |
| 6. შტუტგარტი | 34 | 15 | 10 | 9 | 51-41 | 55 |
| 7. ჰამბურგი | 34 | 13 | 13 | 8 | 56-41 | 52 |
| 8. ვოლფსბურგი | 34 | 14 | 8 | 12 | 64-58 | 50 |
| 9. მაინცი | 34 | 12 | 11 | 11 | 36-42 | 47 |
| 10. აინტრახტი | 34 | 12 | 10 | 12 | 47-54 | 46 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 34 | 11 | 9 | 14 | 44-42 | 42 |
| 12. ბორუსია (მ) | 34 | 10 | 9 | 15 | 43-60 | 39 |
| 13. კიოლნი | 34 | 9 | 11 | 14 | 33-42 | 38 |
| 14. ფრაიბურგი | 34 | 9 | 8 | 17 | 35-59 | 35 |
| 15. ჰანოვერი | 34 | 9 | 6 | 19 | 43-67 | 33 |
| 16. ნიურნბერგი | 34 | 8 | 7 | 19 | 32-58 | 31 |
| 17. ბოხუმი | 34 | 6 | 10 | 18 | 33-64 | 28 |
| 18. ჰერტა | 34 | 5 | 9 | 20 | 34-56 | 24 |

**ბომბარდირები:** 22 - ჯეკო (ვოლფსბურგი); 21 - კისლინგი (ლევერკუზენი); 19 - ბარიოსი (ბორუსია დ); 18 - კურანი (შალკე); 16 - პისარო (ვერდერი), რობენი (ბაიერნი); 13 - კაკაუ (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი).

## II ბუნდესლიგა

### XXXIV ტური

**ალემანია-დუისბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბოდძეკი (28), 1:1 აუერი (86)

**არმინია-ობერჰაუზენი 2:1**

**გოლები:** 0:1 კაია (31-პენ), 1:1 კირხი (51), 2:1 მიატოვიჩი (56)

**კოტბუსი-ალენი 4:1**

**გოლები:** 1:0 კრუშკა (3-პენ), 2:0 კვეუკე (47), 2:1 ბუში (61), 3:1 პეტერსენი (73), 4:1 იულა (82)

**კაიზერსლაუტერნი-აუგსბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰაინი (73), 1:1 იენდრიშეკი (91)

**ზტ. პაული-პადერბორნი 1:2**

**გოლები:** 1:0 ებერსი (19), 1:1 ბრიუკნერი (45), 1:2 დაგფუსი (81)

**მიუნხენ 1860-უნიონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰოლებასი (42), 2:0 მლაპა (81)

**ფრანკფურტი-კობლენცი 1:1**

**გოლები:** 0:1 კაპლანი (24), 1:1 მეჰიჩი (90)

**კარლსრუე-ფიურტი 1:1**

**გოლები:** 1:0 ფინკი (18), 1:1 ნიოთე (35)

**ფორტუნა-ჰანზა 3:1**

**გოლები:** 1:0 გაუსი (10), 2:0 ანდერსონი (30), 2:1 სებასტიანი (50-პენ), 3:1 ჰარნიკი (56)

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 34 | 19 | 10 | 5 | 56-28 | 67 |
| 2. ზტ. პაული | 34 | 20 | 4 | 10 | 72-37 | 64 |
| 3. აუგსბურგი | 34 | 17 | 11 | 6 | 60-40 | 62 |
| 4. ფორტუნა | 34 | 17 | 8 | 9 | 48-31 | 59 |
| 5. პადერბორნი | 34 | 14 | 9 | 11 | 49-49 | 51 |
| 6. დუისბურგი | 34 | 14 | 8 | 12 | 51-46 | 50 |
| 7. არმინია | 34 | 16 | 5 | 13 | 48-41 | 49 |
| 8. მიუნხენ 1860 | 34 | 14 | 6 | 14 | 43-45 | 48 |
| 9. კოტბუსი | 34 | 13 | 8 | 13 | 55-49 | 47 |
| 10. კარლსრუე | 34 | 13 | 7 | 14 | 43-45 | 46 |
| 11. ფიურტი | 34 | 12 | 8 | 14 | 51-50 | 44 |
| 12. უნიონი | 34 | 11 | 11 | 12 | 42-45 | 44 |
| 13. ალემანია | 34 | 11 | 10 | 13 | 37-41 | 43 |
| 14. ობერჰაუზენი | 34 | 12 | 5 | 17 | 38-52 | 41 |
| 15. ფრანკფურტი | 34 | 9 | 11 | 14 | 29-50 | 38 |
| 16. ჰანზა | 34 | 10 | 6 | 18 | 33-45 | 36 |
| 17. კობლენცი | 34 | 7 | 10 | 17 | 35-60 | 31 |
| 18. ალენი | 34 | 5 | 7 | 22 | 19-55 | 22 |

**ბომბარდირები:** 23 - თურკი (აუგსბურგი); 20 - ებერსი (ზტ. პაული); 15 - იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი), ნიოთე (ფიურტი), ზალიკი (პადერბორნი); 14 - აუერი (ალემანია); 13 - ჰარნიკი (ფორტუნა).

## III ბუნდესლიგა

### XXXVIII ტური

**კილი-ბორუსია (დ) II 4:3, ბურგჰაუზენი-ოსნაბრიუკი 0:1, ბრაუნშვაიგი-ერფურტი 1:1, ვერდერი II-აუე 2:1, ოფენბახი-ბაიერნი II 4:1, ინგოლშტადტი-ზანდჰაუზენი 1:1, კარლ ცაისი-შტუტგარტი II 1:2, უნტერჰახინგი-ვეენი 4:3, დრეზდენი-ვუპერტალი 3:2, რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი 2:2.**

# ინგლისი პრემიერლიგა. XXXVIII ტური

## ჩელსიმ პრემიერლიგა დაგლიჯა!

« მე-8 გვერდიდან

გადაწყდა - ხსენებულმა ლემპარდმა და **სალომონ კალუმ** ისეთი კომბინაცია გაითამაშეს, რომ სპილოსძვლისნაპირელმა ბურთი „უიგანის" კარის ბადეში ფაქტობრივად შეაცილა, ამ ამბიდან ორ წუთში „ჩელსის" ქომაგები სიხარულით მეცხრე ცას ეწივნენ - **ბრანისლავ ივანოვიჩის** ჩაწოდებულს ანელკამ სტუმართა კარში მიუჩინა ადგილი. ასე და ამგვარად, ტუტილის ბედი გარკვეული გახლდათ და „ჩელსის" ფეხბურთელებს თავიანთი თანაგუნდელის, დროგბას „ოქროს ბუცის" ლაურეატად ქცევალა აკლდათ. და ასეც მოხდა: 63-ე წუთზე ლემპარდის ჩაწოდებულს დროგბამ თავური შედეგიანად დაარტყა. ხუთ წუთში „უიგანის" ფეხბურთელებმა საჯარიმოში კოული წააქციეს და ლემპარდმაც თავის ფუნქციაზე უარი თქვა, პენალტის დარტყმა დროგბას დაანება. დროგბამ შეაგდო.

აქ, „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნებმა კარლო ანჩელოტის სახელის მღერა დაიწყეს და პირველად მთელი სეზონის განმავლობაში იტალიელმა საპასუხოდ ფანებს ხელი დაუქნია.

მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დროგბამ ჰეთ-თრიკი შეასრულა, ბოლოს კი **ეშლი კოულმა** შეაგდო. ამ ეპიზოდამდე იყო ერთი მომენტი, როდესაც „უიგანის" ფეხბურთელებმა „ჩელსის" მეკარე **პეტრ ჩეხის** შემოწმება მოახერხეს, მაგრამ **ვიქტორ მოზესის** დარტყმას გოლკიპერი ყოჩაღად დახვდა.

*„ყველაფერი ფანტასტიკური იყო. ჩვენ რაც შეგვეძლო გავაკეთეთ. მეც ყველაფერი გავიღე რისი გაღებაც გუნდისთვის შემეძლო,* - თქვა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ, - *აქ, ჩვენთან ფანტასტიკური ატმოსფეროა, საუცხოო გულშემატკივარი გვყავს. ვფიქრობ, ასეთი სეზონის შემდეგ გამარჯვება დავიმსახურეთ. ყველანი ბედნიერები ვართ. ბედნიერებისთვის ძალიან ბევრი მიზეზი გვაქვს. გვიხარია ჩემპიონობა, გატანილი გოლების რეკორდი, დიდიე დროგბას ბომბარდირობა და რაც მთავარია თამაშის ძალიან მაღალი ხარისხი, რომელიც „ჩელსიმ" ამ სეზონში აჩვენა".*

შემდეგ ანჩელოტის **ჟოზე მოურინიოს** „აჩრდილზე" ჰკითხეს. ანჩელოტიმ მიუგო: *„მოურინიომ „ჩელსიში" საოცარი სამუშაო გასწია. მან "ლურჯებს" ზედიზედ ორი წლის განმავლობაში მოაგებინა პრემიერლიგის ტიტული. მე, ჯერჯერობით, პირველი ჯილდო მოვიგე და დიდი იმედი მაქვს, რომ მოურინიოს შედეგს გავიმეორებ. ახლა ჩვენ შეგვიძლია ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოვიგოთ. იმედი მაქვს, დღევანდელი ზეიმის შემდეგ ჩემს ბიჭებს ამის ძალა შემორჩებათ".*

პრემიერლიგის ბოლო ტურში კიდევ ერთ კითხვას უნდა გასცემოდა პასუხი: შეძლებდა „არსენალი" „ფულჰემის" დამარცხებას და მესამე ადგილის შენარჩუნებას თუ დამარცხდებოდა („ფულჰემი" მოგეხსენებათ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, ის ევროლიგის ფინალისტია), ამასობაში კი „ტოტენჰემი" ბარნლიში გაიმარჯვებდა და „მეთოფეებს" პირში ჩალაგამოვლებულებს დატოვებდა. კითხვას პასუხი ამომწურავად გაეცა: „არსენალმა" „ფულჰემს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" კი... „ბარნლისთან" 3:2 წააგო, თან 2:0-ს იგებდა.

მატჩის შემდეგ „მეთოფეთა" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თქვა: *„ვულოცავ კარლო ანჩელოტისა და „ჩელსის". ისინი ამ ჩემპიონობას ნამდვილად იმსახურებდნენ, ჩვენთვის კი სეზონის რიხიანად დამთავრება იყო მნიშვნელოვანი და ჩვენ ეს შევძელით".*

„ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** კი განაცხადა: *„საშინლად იმედგაცრუებული ვარ. ანგარიში 2:0 იყო ჩვენს სასარგებლოდ და თან, შეხვედრის შემყურე ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ დღეს გამარჯვებას მეორე გუნდი მოახერხებდა. ჩვენდა საუბედუროდ, მასპინძლებმა პირველ ტაიმში ერთი გოლი ხომ გაგვიტანეს და შესვენების შემდეგ უბრალოდ დიდებულად ითამაშეს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

### არსენალი–ფულჰემი 4:0

**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, კემპბელი, სილვესტრი (62. დჟურუ), კლიში, ებუე, დიაბი, ნასრი, უოლკოტი (77. ლენსბერი), ვან პერსი, არშავინი (77. ველა).

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი (59. კელი), ბეირდი, სმოლინგი, შორი, რიისე (45. ელმი), დიკგეკოი, გრინინგი, დემპსი (67. სტური), ნივლენდი, ოკაკა-ჩუკა.

**გოლები:** 1:0 არშავინი (21), 2:0 ვან პერსი (26), 3:0 ბეირდი (37-საკ. კარში), 4:0 ველა (84)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 18-3 (6-0); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 60 039

### ასტონ ვილა–ბლექბერნი 0:1

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, კუელარი, დანი, ჯ. კოლინზი, უორნოკი (41. იანგი), იანგი, მილნერი, პეტროვი, დაუნინგი, აგბონლაჰორი (78. დელფუნესო), კარეუ (76. ჰესკი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, სამბა, ჟივე (63. ფ. ჯონსი), ჰენლი, კუმბა (45. პედერსენი), ენდრიუსი, ჰოილეტი, ოლსონი, დანი, რობერტსი (85. ემერტონი).

**გოლი:** 0:1 ჰოილეტი (84)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18-11 (8-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 41 799

### ბოლტონი–ბირმინგემი 2:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კეჰილი, ნაითი, რობინსონი, უეისი (66. ლი), მუამბა, უილშერი (90. გარდნერი), ტეილორი (66. ჰოლდენი), ტ. დევისი, კლასნიჩი.

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, რიჯუელი, ვინიალი, ლარსონი (66. ბენიტესი), ფერგიუსონი, ბოიერი, მიჩელი (74. ფეჰეი), ჯერომი, მაკფადენი.

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (33), 2:0 კლასნიჩი (60), 2:1 მაკფადენი (76)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-14 (6-7); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 22 863

### ბარნლი–ტოტენჰემი 4:2

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კორკი, კოლდუელი, ფოქსი, ელიოტი, ალექსანდერი, ბიკეი, პეტერსონი (90. იგლზი), ს. ფლეტჩერი (86. ტომპსონი), ნაჯენტი (79. ბლეიკი).

**ტოტენჰემი:** ოლნუიკი, ქაბული, მ. დოუსონი, კინგი, ასუ-ეკოტო, ლენონი, ჰადლსტოუნი (64. პალასიოსი), მოდრიჩი, ბეილი, კრაუჩი (85. გუდიონსენი), დეფო (63. პავლიუჩენკო).

**გოლები:** 0:1 ბეილი (3), 0:2 მოდრიჩი (32), 1:2 ელიოტი (42), 2:2 კორკი (54), 3:2 პეტერსონი (72), 4:2 ტომპსონი (88)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 21 161

### ჩელსი–უიგანი 8:0

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი (59. ბელეტი), ალექსი, ტერი, ე. კოული, ბალაკი (70. მატიჩი), ლემპარდი, ანელკა, მალუდა, კალუ (54. ჯ. კოული), დროგბა.

**უიგანი:** პოლიტი, მელხიოტი, გოჰური, კოლდუელი, ბოისი, ნზოგბია, დიამე (72. შარნერი), მაკარტი, ფიგეროა, უოტსონი (62. ტომასი), როდალეგა (81. მოზესი).

**გოლები:** 1:0 ანელკა (6), 2:0 ლემპარდი (32-პენ), 3:0 კალუ (54), 4:0 ანელკა (56), 5:0 დროგბა (63), 6:0 დროგბა (68-პენ), 7:0 დროგბა (80), 8:0 ე. კოული (90)

**გაძევება:** კოლდუელი (31. უიგანი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 19-4 (10-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 41 383

### ევერტონი–პორტსმუთი 1:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ჯეგიელკა, დისტინი, ბეინესი, ოსმანი, არტეტა (84. ჰეიტინგა), გლოსინგი (56. იაკუბუ), პიენაარი, ენიჩიბე (66. ბელიალეტდინოვი), საა.

**პორტსმუთი:** ეშდაუნი, ფინანი, მოკოენა (67. ბენ-ჰაიმი), როჩა, მალინსი, ვანდენ ბორე, დიოპი, უილსონი (45. ოჰარა), უტაკა, ბოატენგი, პიქვიონი (78. ბასინასი).

**გოლი:** 1:0 ბელიალეტდინოვი (90)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 14-1; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 22-11 (8-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 38 730

### ჰალი–ლივერპული 0:0

**ჰალი:** დიუკი, მენდი, მოუიოკოლო, გარდნერი, ე. დოუსონი, ატკინსონი, ბოატენგი, კეირნი, კილბეინი (76. ჯიოვანი), კალენი, ვენეგოორი (84. ფეგანი).

**ლივერპული:** რეინა, მასკერანო, კარაგერი, კირიაკოსი, აგერი, ლუკასი, აკვილანი (74. პაჩეკო), ჯერარდი, ელ ზარი (63. ნგოგი), ბაბელი (88. რობინსონი), კუიტი.

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 11-21 (3-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 25 030

### მანჩესტერ იუნ.–სტოკი 4:0

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ნანი, სქოულზი (62. გიბსონი), დ. ფლეტჩერი, გიგზი, ბერბატოვი (62. მაკედა), რუნი (78. პარკი).

**სტოკი:** ბეგოვიჩი, უილკინსონი, შოუკროსი, ჰუთი, ჰიგინბოტემი (67. დ. კოლინზი), დილეპი, უაიტჰედი (67. დიაო), უილანი, ეზერინგტონი, ფულერი, სიდიბე (67. პაფი).

**გოლები:** 1:0 დ. ფლეტჩერი (31), 2:0 გიგზი (38), 3:0 ჰიგინბოთემი (54-საკ. კარში), 4:0 პარკი (84)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 11-5; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 21-7 (6-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 75 316

### ვესტ ჰემი–მანჩესტ. სიტი 1:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, და კოსტა, აპსონი, დაპრელა, დიამანტი (88. სპენსი), კოვაჩი, პარკერი, ბოა მორტე (64. სტანისლასი), კ. კოული (64. ფრანკო), ილანი.

**მანჩესტერ სიტი:** ფულოპი, საბალეტა, ტურე, კომპანი, სილვინიო (73. რიჩარდსი), ა. ჯონსონი (90. კანინგემი), ვიეირა, დე იონგი, რაიტ-ფილიპსი, სანტა კრუსი (73. ტევესი), ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 ბოა მორტე (17), 1:1 რაიტ-ფილიპსი (21)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-7; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13-18 (6-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 34 989

### ვულვზი–სანდერლენდი 2:1

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა, ელოკობი, გედიურა, ჰენრი, დ. ჯონსი (61. ედუარდსი), ჯერვისი (85. ფოული), ებანკს-ბლეიკი, დოილი (79. იუელუმო).

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰატონი, ტერნერი, კილგელონი, რიჩარდსონი, კემბელი, ჰენდერსონი (45. ზენდენი), კანა (74. მვარუვარი), მალბრანკი (78. კოლბეკი), ბენტი, კ. ჯონსი.

**გოლები:** 0:1 კ. ჯონსი (8), 1:1 დოილი (10-პენ), 2:1 გედიურა (78)

**გაძევება:** ტერნერი (82. სანდერლენდი), კოლბეკი (90. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 18-11 (7-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 28 971

#### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 38 | 27 | 5 | 6 | 103-32 | 86 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 38 | 27 | 4 | 7 | 86-28 | 85 |
| 3. არსენალი | 38 | 23 | 6 | 9 | 83-41 | 75 |
| 4. ტოტენჰემი | 38 | 21 | 7 | 10 | 67-41 | 70 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 38 | 18 | 13 | 7 | 73-45 | 67 |
| 6. ასტონ ვილა | 38 | 17 | 13 | 8 | 52-39 | 64 |
| 7. ლივერპული | 38 | 18 | 9 | 11 | 61-35 | 63 |
| 8. ევერტონი | 38 | 16 | 13 | 9 | 60-49 | 61 |
| 9. ბირმინგემი | 38 | 13 | 11 | 14 | 38-47 | 50 |
| 10. ბლექბერნი | 38 | 13 | 11 | 14 | 41-55 | 50 |
| 11. სტოკი | 38 | 11 | 14 | 13 | 34-48 | 47 |
| 12. ფულჰემი | 38 | 12 | 10 | 16 | 39-46 | 46 |
| 13. სანდერლენდი | 38 | 11 | 11 | 16 | 48-56 | 44 |
| 14. ბოლტონი | 38 | 10 | 9 | 19 | 42-67 | 39 |
| 15. ვულვზი | 38 | 9 | 11 | 18 | 32-56 | 38 |
| 16. უიგანი | 38 | 9 | 9 | 20 | 37-79 | 36 |
| 17. ვესტ ჰემი | 38 | 8 | 11 | 19 | 47-66 | 35 |
| 18. ბარნლი | 38 | 8 | 6 | 24 | 42-82 | 30 |
| 19. ჰალი | 38 | 6 | 12 | 20 | 34-75 | 30 |
| 20. პორტსმუთი | 38 | 7 | 7 | 24 | 34-66 | 19* |

**ბომბარდირები:** 29 - დროგბა (ჩელსი), რუნი (მანჩესტერ იუნ); 24 - ბენტი (სანდერლენდი); 23 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 22 - ლემპარდი (ჩელსი); 18 - ტორესი (ლივერპული), დეფო (ტოტენჰემი).

## ჩემპიონშიპი

### პლეი ოფი. პირველი თამაშები

**ბლექპული-ნოტინგემი 2:1**

**გოლები:** 0:1 კოენი (13), 1:1 საუთერნი (26), 2:1 ადამი (57-პენ)

**ლესტერი-კარდიფი 0:1**

**გოლი:** 0:1 უიტინგემი (78)

## პირველი ლიგა

### XLVI ტური

ბრენტფორდი-ჰარტლპული 0:0, ბრაიტონი-იეოვილი 1:0, კოლჩესტერი-ლეიტონი 1:0, ექსეტერი-ჰადერსფილდი 2:1, ლიდსი-ბრისტოლი 2:1, მილუოლი-სვინდონი 3:2, ნორვიჩი-კერლისლი 0:2, ოლდჰემი-ჩარლტონი 0:2, საუთჰემპტონი-საუთენდი 3:1, სტოკპორტი-ტრანმერი 0:3, უოლსოლი-მილტონი 2:1, უაიკომბი-ჯილინგემი 3:0.

## მეორე ლიგა

### XLVI ტური

ბარნეტი-როჩდეილი 1:0, ბარტონი-გრიმსბი 3:0, ჩელტენჰემი-ეკრინგტონი 1:1, ჩესტერფილდი-ბურნმუთი 2:1, ქრუ-ბრედფორდი 0:1, დარლინგტონი-დაგენჰემი 0:2, ჰერეფორდი-როტერჰემი 3:0, ლინკოლნი-მაკლსფილდი 0:0, მორკეიმბი-ოლდერშოტი 1:0, ნორთემპტონი-ბერი 1:1, პორტვეილი-შრუსბერი 1:1, თორგუეი-ნოთს ქაუნთი 0:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო | ტუნისის დიდი პრიზი

# ბრინჯაოთი გახსნილი მარათონი




ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს ორი მედლით და ორი მეხუთე ადგილით დაასრულა გამოსვლა ტუნისის დიდ პრიზზე. სტარტზე პირველი სამი უმჩატესი წონის წარმომადგენელთა ფრიად წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ხასიათი მომდევნო ოთხი წონითი კატეგორიის ფალავნებმა გამოგვიკეთეს, მედლები კი ბოლო დღეზე მოდის - ისინი **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მოიპოვეს. **ლევან ნიკლაური** (81) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100) მეხუთეზე გავიდნენ.

ამ ტურნირით ოფიციალურად დაიწყო ლონდონის 2012 წლის ლიცენზიებისთვის ბრძოლა. შესაბამისად, ტუნისური შეჯიბრებაც ძლიერი გამოდგა იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ანგარიშგასაწევი ნაკრები არ ჩავიდა - სამხრეთ კორეა, აშშ (ამათ მონაწილე მხოლოდ ქალებში ჰყავდათ, ვაჟებში - არა) სომხეთი, ბრიტანეთი, სერბეთი, ტურნირში მთლიანობაში 49 ქვეყნის 346 სპორტსმენი გამოდიოდა. აქედან ვაჟთა შეჯიბრებაში ძალებს 41 ქვეყნის 222 ათლეტი ცდიდა.

ვფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ლიპარტელიანმა ურიგოდ არ იჭიდავა, მაგრამ კვლავაც ბევრი მუშაობა რომ მართებს, ესეც აშკარად გამოჩნდა. მისი წინსვლა იაპონელმა მსოფლიოს პრიზიორმა **ტაკაში ონომ** შეაჩერა, რომელმაც ჩვენებურს შარშან პარიზის „დიდ მუზარადზეც" მოუგო. თუმცა მაშინ თუ ძირითადად სიმპათიით იმარჯვა, ამჯერად იაპონელი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. ონო ჩინებულად ასპარეზობს შარშანდელიდან მოყოლებული, გაიმარჯვა მოსკოვის „დიდ მუზარადზე", კანოს მემორიალზე, წლეულს კი მასტერსზე, პარიზის „დიდ მუზარადზე" და ქვეყნის პირველობაზეც იმარჯვა, რასაც ტუნისური ოქროც მიაყოლა. მსოფლიოს რეიტინგში ის სავსებით დამსახურებულად ლიდერობს, თუმცა ახლა ოლიმპიურსაც ჩაუდგა სათავეში.

მასთან შეხვედრამდე ლიპარტელიანმა ჩინელ **იანზუ ჰეს** ორი ვაზარით მალევე მოუთავა ხელი, მერე კი საკმაოდ დრამატული ორთაბრძოლა გადახდა გაბერძნებულ თანამემამულე ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისთან** - თავიდან აგებდა, მაგრამ აქტიურობით საქმე მაინც მიიყვანა გამარჯვებამდე. უკრაინელ **ვადიმ სინიავსკისაც** ძალზე იოლად მოუგო იპონით, მერე კი ონოს გადაეყარა, რომელმაც ყველა კოზირი ხელიდან გამოაცალა.

სხვათა შორის, ლიპარტელიანამდე ონომ **მინდია ბოდაველიც** დაგვიმარცხა, თუმცა ჩვენებური ბოლომდე ვაჟკაცურად დაუდგა და აზიელმა მხოლოდ გაფრთხილებით მოიგო. ამ ბრძოლაში მას ყველაზე მეტად გაუჭირდა.

კარგად დაწყებული საქმე ისევ გააუფერულა ჟორჟოლიანმა ფრანგ **ფრედერიკ შტიგელმანთან** შეხვედრაში. იტალიელ **ალბერტო ბორინის** ვაზარიუკოთი აჯობა, მერე კი დაძაბული შეხვედრა მოუგო ძალზე ძლიერ მეტოქეს, ახალგაზრდებში მსოფლიოს ზედიზედ ორგზის ჩემპიონ **ლუკაშ კრპალეკს**. აქ ყველაფერი გაფრთხილებამ გადაწყვიტა - თავიდან ორივე სამ-სამჯერ გააფრთხილეს, მაგრამ ბოლოს ჟორჟოლიანმა იძალა, თავი მეოთხედაც გააფრთხილებინა და მოახსნევინა კიდეც. აი, სწორედ ამის შემდეგ დადგა შტიგელმანთან შეხვედრის დრო, რომელმაც მანამდე იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი **ტაკამასა ანაი** დაამარცხა. ჟორჟოლიანი ფრანგთან შეხვედრაშიც თითქოს მონოდების სიმაღლეზე იყო, აქტიურობდა და თავიდან გააფრთხილებინა კიდეც, მაგრამ შეხვედრის ბოლოს მეტოქეს რაღაც ისე მორჩილად დაჰყვა და ისე გადააგორებინა თავი, თითქოს ჭიდაობა არ სურდა... არადა, იმ მომენტში თვითონაც ფეხებზე ექაჩებოდა ფრანგს, რომელიც გადავლებით ცდილობდა მის დამორჩილებას, ამ დროს კი ხელით შევლა დაშვებულია. საშიშროებას თითქოს არაფერი მოასწავებდა და რომ გაძალიანებოდა, გდება არც იქნებოდა. ძალიან ცუდია, ჟორჟოლიანი კარგად დაწყებულ საქმეს ასე ცუდად რომ ამთავრებს. ვფქირობ, მას საბრძოლველად განწყობა გაუჭირდა. ასევე გვგონია, რომ მის ფსიქოლოგიურ მომზადებას, განწყობას საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს, თორემ საცოდაობაა, ისეთი მარტივი შეცდომების გამო მედლები დაკარგოს. მწვრთნელები ყოველდღიურად ხედავენ მის შრომას, ბიძებიდან კი, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს მის ძიუდოისტად ჩამოყალიბებას და ლამის მამობა გაუწიეს ობლად დარჩენილ დისშვილს, ორივე ძიუდოში ტრიალებს, ამ ხალხმა უკეთ იცის, რაში სჭირდება დახმარება. მოკლედ, განწყობა რადიკალურადაა შესაცვლელი, თორემ ჟორჟოლიანი მუდამ კარგად მიდის ნახევარფინალამდე, იქ კი ძალიან უჭირს.

მესამე ადგილის დაკავებით ლიპარტელიანმა და ჟორჟოლიანმა 80-80 ქულა და ჯილდოდ 1000-1000 დოლარი მიიღეს.

ლევან ნიკლაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანდათან სულ უფრო უახლოვდება წონის ლიდერებს და თვითონაც ფავორიტად ყალიბდება. კამერუნელ **ლუის მესისთან** იოლად მოგებას ველოდით კიდეც და არც გაგვაწბილა - ორი ვაზარით მალევე გადალახა ეს ბარიერი. ბელგიელი **იოახიმ ბოტიე** კამერუნელზე ბევრად ძლიერია და მანამდე იაპონელი **მასაჰირო ტაკამაცუც** დაამარცხა, მაგრამ ნიკლაურმა მასაც იოლად აჯობა - ვაზარით, მერე კი მისთვის უხერხულ მეტოქეს, უზბეკ **შოკირ მუმინოვს** შეხვდა. უზბეკმა მას შარშან კანოს მემორიალზეც მოუგო, ნიკლაურმა კი უსიამოვნო ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვია და კვლავ დამარცხდა.

ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ლაშა გუჯეჯიანი საადაპტაციო პერიოდს გადის და თანდათან იძენს სატურნირო პრაქტიკას. ცხადია, ის ჯერ შორსაა სასურველი ფორმისგან, თუმცა **კეიჯი სუძუკიც** აშკარად მაღალი დონის მოჭიდავეა. გუჯეჯიანი ამ წონაში ნამდვილადაა მედლის კაცი, მაგრამ აქ ჰყავს რამდენიმე უხერხული მეტოქე. მათ შორის, იაპონელებიც. იმის მიუხედავად, ვის დააყენებენ აქ - სუძუკის თუ 23 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ **სატოში იშის**. მან ჩვენებურს ოლიმპიადაზეც მოუგო, თუმცა მერე არც უჭიდავია. ასეა თუ ისე, მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც სექტემბერში ტოკიოში ტარდება, შეიძლება ორივე ერთად ვიხილოთ ჩვენებურის მეტოქედ, რადგან ახალი წესით, წონაში ერთი ქვეყნიდან ორი კაცის გამოყვანა შეიძლება. ტუნისში გუჯეჯიანმა წმინდად წააგო სუძუკისთან, მანამდე კი თვითონ იმარჯვა იპონით ესპანელ **ანხელ პარასთან**. მეხუთეადგილოსნები ფულადი პრემიის გარეშე დარჩნენ, სალიცენზიო რეიტინგში კი 40-40 ქულა მიითვალეს.

შაბათ-კვირას მოჭიდავე სხვა ჩვენებურებიდან ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) უნდა გამოვარჩიოთ. ის პირველად ჭიდაობდა ამ რანგის ტურნირში და ორი შეხვედრა მოიგო - ბელგიელი **იან ივეს ბოტიე** ორი ვაზარით წმინდად დაამარცხა, ტუნისელ **საიფედინ ბენ ჰასენს** კი გაფრთხილებებით გასცდა. **არსენ მაჭარაშვილი** (73), **ხვიჩა ხუციშვილი** (81) და **იოსებ მსხალაძე** (+100) პირველივე წრეში დამარცხდნენ, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) კი ტუნისში არც წასულა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



რვა და ათწლიანთა ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები

# ნონას თასი რვა და ათწლიანებს

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბ **ნტნ**-ში ყოველწლიურად თამაშდება ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილის** თასი სხვადასხვა ასაკში. 8-წლიანებში შესანიშნავად-იასპარეზეს **ანასტასია სიდამონიძემ** და **ლუკა ობოლაძემ**, რომლებმაც შვიდი შესაძლებლიდან უდანაკარგოდ მოიპოვეს მთავარი პრიზები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ბიჭებში — **ანტონ ნადირაძე** (5,5 ქულა) და **ტატო ცაგარეიშვილი** (5), ხოლო გოგონებში 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, **მარი მაჩაიძემ** და **თათა პაპაშვილმა** გაინაწილეს.

გუშინ ასპარეზობა დაამთავრეს 10-წლიანებმა. **გოგონები:** **1. მარი წამალაშვილი** (6), **2. სალომე ხუცურაული** (5), **3. ანასტასია სიდამონიძე** (5). **ბიჭები:** **1. კოკა ბუკია** (6), **2. გური ჭელიძე** (5,5), **3. ანტონ ნადირაძე** (5).

შეგირდთა შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ საუკეთესო მწვრთნელები. პირველი სამეული ასეთია: **1. დავით გურგენიძე**, **2. მზია წერეთელი**, **3. გოგი მაჭარაშვილი**.

ნონას თასზე 12-წლიანები ივნისის დასაწყისში ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# დიდოსტატების ცვენა ქუთაისში

მაისის დადგომასთან ერთად ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრებაც გააქტიურდა. ახლახან ტურნირი „პატივი ეცი მოწინააღმდეგის აზრს" ჩატარდა, ამჯერად კი მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლამ კიდევ ერთ ტრადიციულ ასპარეზობას „სავარდო და სამაისოს" უმასპინძლა. ტურნირის ორგანიზატორები ამჯერადაც ქუთაისის თვითმმართველობა, იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია და ქუთაისის საჭადრაკო სკოლა იყო. ვაჟები 2400, ხოლო ქალები 2200 რეიტინგის ზემოთ შესატანი თანხისგან გათავისუფლებული იყვნენ. **ბაადურ ჯობავას, ნანა ძაგნიძისა** და **მაია ჩიბურდანიძის** გარდა სწრაფ ჭადრაკში თითქმის ყველა ქართველმა დიდოსტატმა მიიღო მონაწილეობა. მათთან ერთად ურეიტინგოებმაც იასპარეზეს. სულ 90 მოჭადრაკე იყო წარმოდგენილი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა.

**გია გიორგაძე** (საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი): „ეს ტურნირი ქუთაისში შვიდი წელიწადია იმართება და მასში თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობს. ტურნირი ერთნაირად საინტერესოა, როგორც დიდოსტატების ისე ახალბედებისთვის. სწრაფ ჭადრაკში მოულოდნელი შედეგები ფიქსირდება და ყველა პარტია საინტერესოა. ლეგენდარული **ნონა გაფრინდაშვილის** ჩამოსვლამ და გამარჯვებამ ტურნირს მეტი ხიბლი შესძინა..."

იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე არსენიძემ** აღნიშნა, რომ მომავალ წელს უცხოელი დიდოსტატების მოწვევას და „სავარდო და სამაისოს" საერთაშორისო ტურნირად გადაქცევას აპირებენ.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

**ვაჟები:** 1.დავით ჯოჯუა (7.5 ქულა), 2.მიხეილ მჭედლიშვილი (7.5), 3.დავით ბენიძე (7.0). **ქალები:** 1.ნონა გაფრინდაშვილი (7.0), 2.ბელა ხოტენაშვილი (6.5), 3.ნინო ხურციძე (6.0).

**16-წლამდელები. ჭაბუკები:** 1. გიორგი სიბაშვილი (6.0), 2. გიორგი დანგაძე (5.0); **გოგონები:** 1.მერი არაბიძე,(6.0), 2.ქეთი ხომერიკი (5.0).

**14-წლამდელები. ჭაბუკები:** 1.ტატო ქოჩაკიძე (5.0), 2.ნიკოლოზ ბერძენაძე (5.0);

**გოგონები:** 1.ანა შამათავა (5.0), 2. ნინო ხომერიკი (4.0).

**12-წლამდელები. ჭაბუკები:** 1. ნოე თუთისანი (4.0),2.გიორგი კვესელავა (4.0);

**გოგონები:** 1.თიკო ლალაძე (4.5), 2.ნინო გუმბერიძე (3.5).

**10-წლამდელები. ჭაბუკები:** 1.გურამ კოკაია (4.0); **გოგონები:** 1.ნინო ჯალალონია (4.0).

**დავით პოხრეიძე**

ქუთაისიდან

ფარიკაობა

# სატელიტში მეექვსე იყო

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გარდა, ყოველწლიურად მსოფლიოს თასის გათამაშებასაც მართავს, რომელშიც სამი შეჯიბრება შედის: გრან-პრი, A კატეგორიის ტურნირი და სატელიტი. გასულ უქმეებზე დაშნაში სწორედ სატელიტს უმასპინძლა სტამბოლმა, სადაც 10 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებდნენ ერთმანეთს პირველობას. მთავარი პრიზისთვის სამი ქართველი ახალგაზრა მოფარიკავეც იბრძოდა. ცხადია, ასაკსა და გამოცდილებაში სხვაობამ თავისი გაიტანა: **ზვიად სისაურმა** და **ნიკოლოზ ზურაბიშვილმა** უფროსებთან პაექრობაში ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, მათმა თანატოლმა **გიორგი ქაფიანიძემ** ხუთი მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში შესასვლელი ორთაბრძოლა რუმინელ **დანეილ ნიცასთან** დათმო. საბოლოოდ ქართველი მუშკეტერი მე-6 ადგილს დასჯერდა.

მსგავსი შეჯიბრება ხმლით მოფარიკავე გოგონებს 22 მაისიდან ბაქოში ელით. ჩვენგან იქ, სავარაუდოდ, **თეოდორა კახიანი** და **თათია აფციაური** გამოცდიან ძალებს. ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება 15 ივლისიდან იწყება — გერმანულ ლაიპციგში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# კახელებმა გუნდი დააკომპლექტეს

ცაგერში 18-19 მაისს 1992-1993 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობა გაიმართება ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებისთვის ყველა მონდომებით ემზადება. კახელებმა ნაკრები გუშინ დააკომპლექტეს. საგარეჯომ რეგიონის პირველობას (მთავარი მსაჯი **შოთა ზუკაკიშვილი**) უმასპინძლა. ტურნირში 70 სპორტსმენი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა რაიონმა ყველა წონაში ვერ გამოიყვანა მოჭიდავეები. მაგალითად, 90 კილოში მხოლოდ საგარეჯოელი **გიორგი ქავთარაძე** გამოდიოდა, მძიმე წონაში კი ჩემპიონის გამოსავლენად ოდენ ერთი ორთაბრძოლა გახდა საკმარისი — ყვარლელმა **ბექა წყალობაშვილმა** ლაგოდეხელი **კონსტანტინე ქებაძეს** მოუგო. დანარჩენ წონებში კვარცხლბეკიზე ასასვლელად დაძაბული პაექრობები გაიმართა.

**55 კგ:** 1. რომან თურქაძე (ყვარელი), 2. ვეფხია ღვენებაძე (საგარეჯო), 3. გელა მინდიაშვილი (ყვარელი) და ნიკა ბენაშვილი (დედოფლისწყარო).

**60 კგ:** 1. კახა ცაგარელი (ყვარელი), 2. გიორგი კუპატაძე, 3. გიორგი ნიკლაური და სოსო ხუციშვილი (სამივე — საგარეჯო).

**65 კგ:** 1. გიორგი ტყემალაძე (ლაგოდეხი), 2. ზურაბ გუგულაშვილი, 3. დავით ხუციშვილი (ორივე — თელავი) და მიხეილ მუმლაძე (ლაგოდეხი).

**70 კგ;** 1. ჯაბა ბინაძე (ლაგოდეხი), 2. გიორგი სუხაშვილი (საგარეჯო), 3. მიხეილ ჩიბუხაშვილი (დედოფლისწყარო) და ბექა კაპანაძე (ლაგოდეხი).

**80 კგ:** 1. ვანო როსტიაშვილი (საგარეჯო), 2. ლევან მაჭარაშვილი (ლაგოდეხი), 3. ავთანდილ სომხიშვილი (დედოფლისწყარო) და გიორგი ალვინიშვილი (საგარეჯო).

ცაგერში ფინალურ ეტაპზე პირველ ადგილებზე გასული ფალავნები იჭიდავებენ.

**ვაჟა დანელია**

დებიუტანტი

# კოკა ბუკია

(ჭადრაკი)



**დაიბადა** 2001 წლის 30 იანვარს თბილისში.

დედაქალაქის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მესამეკლასელია.

ჭადრაკში 2006 წლიდან დიდოსტატ **დავით გურგენიძის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

2007 წელს ჰალკიდიკში (საბერძნეთი) ევროპის სასკოლო პირველობაზე მე-2 ადგილი დაიკავა, 2008-ში საქართველოს 10-წლიანთა პირველობაზე კი ბრინჯაო ხვდა. შარშან 8-წლიანებში 9-დან 9 ქულით თბილისის ჩემპიონი გახდა. 10-წლიანთა საქართველოს პირველობაზე მესამე იყო. ამავე ასაკში **ნანა ალექსანდრიას** თასი მოიგო. ახლახან **ნონა გაფრინდაშვილის** თასის გათამაშებაზეც ყველას აჯობა.

**გატაცებულია** ფეხბურთით. ესპანეთის „ბარსელონას" და **რონალდინიოს** ქომაგობს.

**ჰობი.** კომპიუტერი და მათემატიკა. წლეულს წარმატებით დაძლია ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის პირველი ტური.

**კერპი.** ბაადურ ჯობავა და მაგნუს კარლსენი.

**მიზანი.** 16 წლის ასაკამდე მოიპოვოს დიდოსტატობა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი — ქართველი NBA-ში

# მე-16 წუთზე 16-იანი ჩამორჩენით...



ორლანდოში ორი გასვლითი წაგების შემდეგ ატლანტელებს იმედი ჰქონდათ, რომ მომდევნო ორ საშინაო მატჩში მდგომარეობას გამოასწორებდნენ, მაგრამ სერიის მესამე შეხვედრის შემდეგ გამოჩნდა: „ჰოქსის" ნაგებების მიზეზი არა სტუმრად თამაში, არამედ გუნდების არათანაბარი ძალაა - სადღეისოდ „ორლანდო მეჯიქი" „ატლანტა ჰოქსზე" უკეთესი გუნდია. ჯორჯიელებს მხოლოდ ფლორიდელი გოლიათის **დუაიტ ჰოვარდის** განეიტრალების პრობლემა როდი აქვთ, საქმე „გლობალურადაა" - მეფარეებთან ერთად ორლანდოელი უკანახაზელებიც უკეთეს კონდიციებში არიან.

ეს „ფილიპს არენაზე" გამართულმა შეხვედრამაც დაამტკიცა - მე-16 წუთზე სტუმრები უკვე 16 ქულის სხვაობით იგებდნენ - 38:22. მატჩი ისე დასრულდა, რომ „ატლანტამ" სხვაობა არათუ შეამცირა, არამედ 30 ქულის სხვაობით წააგო.

სხვებთან ერთად ვერც **ზაზა ფაჩულიამ** იყოჩაღა. მან 22 წუთში მხოლოდ 3 ორქულიანი ისროლა და ერთი ჩააგდო. ზაზამ მატჩი 3 მოხსნით დაასრულა. ამ კომპონენტში „ორლანდომ" „ატლანტა" აშკარად დაჩაგრა - 51:34.

დაველოდოთ ატლანტაში გასამართ მეოთხე შეხვედრას, რომელიც 10 მაისს გაიმართება. სერია 4 მოგებამდეა.

**ატლანტა-ორლანდო 75:105**

ზაზა ფაჩულია: 22 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 4 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:34 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 03:03 | ფოლი: 1 |
| 01:22 | ფოლი: 2 |
| 00:06 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 00:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 09:42 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| 06:30 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:45 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 04:32 | ფოლი: 2 |
| 04:20 | ფოლი: 3 |
| 04:20 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:27 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 08:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 04:23 | ფოლი: 4 |
| 04:10 | ორქულიანი: 2ძ (71:93) |

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ლეგიონერები

**იტალიის ჩემპიონატი**

**რომა-ვირტუსი 78:59**

ვიქტორ სანიკიძე: 26 წუთი, 2 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

**მონტეპასკი-კანტუ 82:59**

მანუჩარ მარკოიშვილი: 32 წუთი, 14 ქულა, 6 პასი, 4 მოხსნა.

**პოლონეთის ჩემპიონატი**

**პროკომი-სოპოტი 82:74**

*გიორგი ცინცაძე განაცხადში არ იყო*

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**ფუენლაბრადა-რეალი 72:86**

ნიკა ცქიტიშვილი: 10 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა

**გრან კანარია-ვალენსია 78:63**

*თორნიკე შენგელია განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია*

**მანრესა-კახასოლი 72:58**

ტაირონ ელისი: 36 წუთი, 10 წუთი, 3 მოხსნა, 3 პასი

ფრენბურთი

# ქუთაისში ბოსნიამ გვაჯობა

**საქართველო-ბოსნია 0:3**

16:25, 17:25, 15:25

საქართველო: ივანიშვილი, ახვლედიანი, ლობჟანიძე, ავეტისოვი, ხალათიანი, ჯანხოთელი, ლიპარტელიანი. სათადარიგოები: ჯიშკარიანი, ჯიმშელეიშვილი.

ბოსნია: ტესიჩი, ბეზდროვი, სალიჰოვიჩი, ჰალილოვიჩი, პუპიჩი, მიმიჩი, გურნი. სათადარიგოები: დელემისი, მილიშევიჩი, ბოჟიჩი, კისიჩი ცვიჟაჰოვიჩი.

მსაჯი კოშკურაზე: იგნატ ნიტევი (ბულგარეთი), მსაჯი: ალი ბაგდე (თურქეთი)

მიუხედავად იმისა, რომ წინ განმეორებითი შეხვედრაა, აქედანვე შეიძლება ითქვას: საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინის ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა. ქუთაისის სპორტის სასახლეში 0:3 დამარცხების შემდეგ წარმოუდგენელია, ქართველებმა 16 მაისს სტუმრად გასამართ შეხვედრაში სასწაული მოახდინონ. ადრეც ვიუწყებოდით, რომ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის C შესარჩევ ჯგუფში მოსახვედრი საკვალიფიკაციო მატჩისთვის ძირითადის ხუთი წევრი (**რენატო გომეში, ჟორჟ ტერშეირო, ამირან ჯიოშვილი, მერთი ელიტეზი, ვახტანგ ჩიქოვანი**) მოისაკლისა. ეროვნული გუნდის თავკაცს **ირაკლი ჩაჩუას** მხოლოდ ერთადერთი ლეგიონერი **სოსო ლობჟანიძე** შემორჩა, დანარჩენი ფრენბურთელები კი საქართველოს ჩემპიონატიდან მიიწვია, რომლებსაც საერთაშორისო დონეზე ასპარეზობის ნაკლები გამოცდილება აქვთ. მატჩის წინ ჩაჩუა წუხდა კიდეც: „ამათგან ექვსეულში მხოლოდ ერთი ფრენბურთელი მყავდა შეგუულებული, დანარჩენები კი, წესით, სათადარიგოები უნდა ყოფილიყვნენ"... ასეა თუ ისე, გუშინდელ მატჩში ბოსნია საქართველოს ნაკრებზე ერთი თავით მაღლა იდგა და ეს სეტების ანგარიშებშიც ნათლად აისახა. ქომაგებისგან შეგულიანებულმა ქართველებმა მხოლოდ მეორე პერიოდში მოახერხეს სტუმრებისთვის ჯეროვანი წინაალმდეგობის გაწევა. ერთხანს დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ ბოსნიელი „გოლიათებიც" გამოფხიზლდნენ და ჩვენს ბიჭებს 17 ქულაზე მეტი არ აალებინეს. მესამე პერიოდში კი ბოსნიელთა კარგ თამაშს ქართველების უხეში შეცდომებიც დაერთო და სტუმრები თავიდანვე გაიქრნენ წინ. შემდეგ ბოსნიელთა დამრიგებელმა თითქმის მთლიანად სათადარიგოები ჩართო თამაშში, თუმცა ჩვენების წინაალმდეგ მათაც მონდომებით ითამაშეს და ბოლო სეტშიც უიმედოდ (15:25) დაგვამარცხეს.

წყვილში გამარჯვებული ევრო-2011 - ის C შესარჩევ ჯგუფში ჩაერთვება, სადაც მისი მეტოქეები უკრაინა, ბელგია და სლოვაკეთი იქნებიან.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



**მილოცვა**

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადების 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს ვეტერან ხელბურთელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ვაჟა ელგუჯაურს.**

ჩოგბურთი

# საქართველო და ჯუჯები

დღეს საბერძნეთში, ოლიმპიური კომპლექსის კორტებზე „დევისის თასის" ევროპა-აფრიკის III ზონის ტურნირი დაიწყება. სხვებთან ერთად მეორე ზონის საგზურისთვის საქართველოს ნაკრები იბრძოლებს. გუშინ 11 გუნდი ორ ჯგუფში გაანაწილეს. ორგანიზატორებმა თავიდანვე დააცილეს ერთმანეთს საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებები, ჩვენი გუნდი რეიტინგით ყველაზე ძლიერია (მსოფლიოში 55-ე პოზიციაზეა), მეორე კი საბერძნეთია (70). **ვიქტორ ბაქშის** ნაკრები A ჯგუფში განთესეს, საბერძნეთი - B-ში. „დევისის თასის" დებიუტანტ ალბანეთს თავიდანვე ადგილი B ჯგუფში მიუჩინეს (მეორე ჯგუფში 6 გუნდი დაადგინეს). შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრამ გაგვიმართლა - მეორე კალათიდან ანდორასა და ჩერნოგორიას შორის ფორტუნამ აშკარად უფრო სუსტი ანდორა გვარგუნა. საბოლოოდ A ჯგუფი ასე ჩამოყალიბდა: საქართველო, ანდორა, ისლანდია, ლუქსემბურგი და მალტა; B ჯგუფი კი ასე: საბერძნეთი, ჩერნოგორია, მოლდოვა, სომხეთი, სან მარინო და ალბანეთი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ხერხემალს „ძველი გვარდია" ქმნის - **ირაკლი ლაბაძე** და **ლადო ჩიხლაძე**, გუნდში ასევე არიან **გიორგი ცივაძე** და **ნოდარ ითონიშვილი**. ეს მოულოდნელი და სასიხარულო გადაწყვეტილებაა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად არიან ფორმაში ლაბაძე და ჩიხლაძე, რომელთაც „საუკუნეა," არ უთამაშიათ. გაგაცნობთ ჩვენს მეტოქეთა შემადგენლობებსაც. ანდორის ნაკრები რეიტინგით 93-ეა. გუნდის ერთი ჩოგბურთელიც კი არა არის მსოფლიო რეიტინგში (ჩვენთან ცივაძე და ითონიშვილი ათასეულს მიღმა არიან): **ჟან-ბაპტისტ პო-გოტიე, ექტორ ორმიგო-ერერა, პო გერბო-ფარასი** და **ხორდი ვილა-ვილა**. ისლანდიის ნაკრები 99-ეა მსოფლიო რეიტინგში, არც მის რომელიმე წევრს აქვს რეიტინგი: **ბირკირ გუნარსონი, ლეიფურ სიგურდსონი, ანდრი იონსონი** და **რაჯ ბონიფაციუსი**. ლუქსემბურგის ნაკრები მე-100 ადგილზეა რეიტინგში, მაგრამ ჰყავს ერთი კარგი ჩოგბურთელი - **ჟილ მიულერი** (280). 27 წლის მიულერს ლუქსემბურგის ჩოგბურთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს, ამიტომაც ყველას გაუკვირდა, რომ მიულერი ნაკრებში გამოძახებას დათანხმდა. სხვები: **მაიკ შაიდვაილერი, ფილიპ გრანდიანი, ლორენ ბრამი**. მალტის ნაკრები მსოფლიოში 126-ე ადგილზეა (სულ 131 გუნდია სიაში). 20 წლის **მეტიუ ასიაკი** მსოფლიოს მე-900 ჩოგანია. სულ ეს არის, დანარჩენი სამი ურეიტინგოა: **მარკ გატი, ბრედლი კალუსი** და **დენზილ აგიუსი**.

გუნდების შემადგენლობებს რომ ვეცნობით, ბუნებრივად კითხვა გვებადება, ამათ ლაბაძეს და ჩიხლაძეს რა უნდა დააკლონ, მაგრამ მნიშვნელოვანია, ჩვენები როგორ ფორმაში არიან, ამ მხრივ კი ბევრი კითხვაა... B ჯგუფში გაცილებით ძლიერი შემადგენლობაა. მაგალითისთვის, ჩერნოგორიას ორი ანგარიშგასაწევი ჩოგბურთელი ჰყავს: **გორან ტოშიჩი** (284) და **დანიელ დანილოვიჩი** (675). ბერძნებსაც არა უშავთ, თან ისინი მასპინძლები არიან: **თეოდოროს ანგელინოსი** (432) და **ალექსანდროს იაკუპოვიჩი** (500). სომხებს არ ეყოლებათ **ტიგრან მარტიროსიანი** (507), მის გარეშე კი ისინი II ზონის საგზურზე პრეტენზიას ვერ განაცხადებენ.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ნაკრები ორი საგზურიდან ერთს მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანთან მატჩში გაარკვევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# რა დროს ტრავმა იყო...

მას შემდეგ, რაც განუთესავი **მაკა ჩახნაშვილი** (200) ფლორენციის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა, ის ტიტულის მოპოვების უპირველესი კანდიდატი გახდა, რადგან შემორჩენილი კვარტეტიდან მხოლოდ 27 წლის ქართველი იყო ძირითადი ბადის წარმომადგენელი, დანარჩენებმა კი აქამდე საკვალიფიკაციო ბატალიებით გააღწიეს. მეტიც, მაკას მეტოქე ბელარუსი **პოლინა პეჩკოვა** ურეიტინგო ჩოგბურთელია. სამწუხაროდ, ნახევარფინალმა ჩვენს იმედებს წყალი გადაასხა, პირველ სეტში, 0:3-ზე მაკამ ასპარეზობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, რა იყო ამის მიზეზი, ვერ გეტყვით. სავარაუდოდ, ჩვენებურმა ტრავმა მიიღო, რადგან ის კასერტის ტურნირიდან (იტალია, 25 ათასი დოლარი) 7 მაისს მოიხსნა.

და მაინც, ფლორენციის ტურნირი მისთვის წარმატებულია, ტოსკანაში ჩახნაშვილმა 24 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა, რაც მას დაახლოებით 10 ადგილით დააწინაურებს მსოფლიო კლასიფიკაციაში.

**ანა ტატიშვილი** საფრანგეთშია, სადაც სენ გოდანის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარზე მეტია. მისი პირველი მეტოქე ბელარუსი **ირინა კურიანოვიჩი** (193) იქნება. სენ გოდანის თიხნარზე ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს პირველად ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




სუმო — ნაცუ ბაშო. 9-24 მაისი. ტოკიო (იაპონია)

# ზაფხულის ბაშო მხოლოდ ერთი მოგებით დავიწყეთ

გუშინ ტოკიოს დარბაზ „კოკუგიკანში" წლის მესამე სუპერტურნირი - ნაცუ (ზაფხულის) ბაშო დაიწყო. ასპარეზობის პირველ დღეს სამი ქართველი პროფესიონალი სუმოისტიდან მხოლოდ ერთმა, **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) შეძლო გამარჯვება. სუმოს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრი **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი) დასავლეთის მეორე მაეგაშირის სტატუსით შეერკინა ესტონელ **ბარუტოს**, რომელმაც პირველი ორთაბრძოლა ჩაატარა ოძეკის ტიტულით. ეს ევროპელ გოლიათთა მესამე დაპირისპირება იყო და ისიც უფრო მაღალი, მძიმე და, სამწუხაროდ, უფრო ღონიერი ბარუტოს გამარჯვებით დასრულდა. დაჯახების შემდეგ მეტოქეებმა ცუპარი (მოკლე დარტყმები) გაცვალეს, რის შემდეგაც ესტონელი ოდნავ გამოეცალა ქართველს და ტოჩინოშინიც დოჰიოს ცენტრში დაეცა. ლევანმა წაგებით დაიწყო 15-დღიანი ტურნირი, თუმცა ყველაფერი წინ არის - დადებითი ბალანსი მას კომუსუბის ტიტულს მოუპოვებს.

ტოჩინოშინის დღევანდელი მეტოქე ოძეკი **ჰარუმაფუჯია**. სანამ ტექნიკური მონღოლი ჩემპიონის ტიტულს მიიღებდა, ის **ამას** სახელით ასპარეზობდა. ურთიერთშეხვედრებში მონღოლი 2:1-ს იგებს.

ტოჩინოშინი ბაშოს აშკარა ფავორიტს ერკინებოდა, მისი მარცხი მოსალოდნელიც იყო. გასაკვირი უფრო ისაა, რომ **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) მე-5 მაეგაშირა **ჰაკუბასთან** წააგო. მონღოლი ელიტის ყველაზე მსუბუქი (128 კგ) რიკიშია, მან კი ჩვენი მე-6 მაეგაშირა მიწოლით გაიყვანა დოჰიოდან. კოკაის დღეს ექსსეკივაკე **კიოკუტენჰო** გამოცდის, მონღოლური სუმოს ერთ-ერთი პიონერი, რომელიც ამჟამად იაპონიის მოქალაქეა. კიოკუტენჰო დღეისთვის მე-7 მაეგაშირაა, მან მოგებით დაიწყო მაისის ბაშო. სხვათა შორის, კოკაის მასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, პირად შეხვედრებში კი 7:4-ს უგებს.

ზაფხულის ბაშო ფავორიტთაგან მოგებით იოკოძუნა **ჰაკუჰომ**, ოძეკებმა **კაიომ**, ბარუტომ და **კოტოოშუმ**, სეკივაკეებმა **კისენოსატომ** და **ამინიშიკიმ** დაიწყეს. მხოლოდ ორმა ფავორიტმა ვერ შეძლო გამარჯვება, ოძეკებმა **ჰარუმაფუჯიმ** და **კოტომიცუკიმ**. ჰაკუჰომ ტიტულის დაცვა კომუსუბის ძლევით დაიწყო, მან იოლად მოუგო ახალგაზრდა **ტოჩიოძანს**, იორიკირის ილეთით მეტოქე დოჰიოდან გაიყვანა.

გაგამარუ ძურიოს პირველი ნომერია და მას ნახევარი ნაბიჯი აშორებს უმაღლეს დივიზიონამდე. 23 წლის ქართველმა შესანიშნავად დაიწყო. მან ძურიოს მეორე ნომერ „ციურ მგელ" **შოტენროს** აჯობა იორიკირის ილეთით. დღეს გაგამარუ ერთი დღით მაკუუჩის დივიზიონში იასპარეზებს (კარიერაში მესამედ) და მე-15 მაეგაშირა **ვაკაკოიუს** შეხვდება. ურთიერთშეხვედრებში ვაკაკოიუ 2:1-ს იგებს. თეიმურაზს უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად უბრალო დადებითი ბალანსიც (8-7) კი ეყოფა.

ბაშოს წინ სუმოს მესვეტე **მაიკ ვეზემანმა** („სუმოთოქი") თავისი ვარაუდები გამოაქვეყნა. აი, რას წერს ის ტოჩინოშინის შანსებზე: *„ტოჩინოშინს აქვს ფიზიკური მონაცემები და ტექნიკა იმისთვის, რომ ასე მაღლა იყოს რეიტინგში, მაგრამ მენტალურად არ არის მზად გამარჯვებებისთვის. ვვარაუდობ, ქართველი 5 ბრძოლაზე მეტს ვერ მოიგებს. იმედია, ვცდები"*. ვეზემანი არც კოკაის უწინასწარმეტყველებს წარმატებას: *„კოკაი ამ რანგისთვის შეუფერებელია. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველმა მაინც შეძლოს დადებითი ბალანსის მიღწევა, თუმცა მე-6 მაეგაშირას პოზიცია ამ ბაშოზე (ტოკიტენკუ და კოკაი) აშკარად მოისუსტებს"*. ვეზემანი ჰაკუჰოს 15-0 ბალანსით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

**მაკუუჩი**

I დღე: **ჰაკუჰო**-ტოჩიოძანი (იორიკირი), **კოტოშოგიკუ**-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), **კოტოოშუ**-ტოიონოშიმა (უვატენაგე), **მიაბიამა**-კოტომიცუკი (ჰიკიოტოში), **კაიო**-ჰომაშო (ჰატაკიკომი), **ბარუტო**-ტოჩინოშინი (ჰატაკიკომი), **კისენოსატო**-კაკურიუ (იორიკირი), **ამინიშიკი**-ვაკანოსატო (იორიკირი), **ასასეკირიუ**-კიტატაიკი (იორიკირი), **ჰაკუბა**-კოკაი (იორიკირი), **ტოკიტენკუ**-ტამავაში (ოკურიტაოში), **კიოკუტენჰო**-კაკიძოე (იორიკირი), **ტოსაიუტაკა**-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), **არანი**-გოეიდო (ჰატაკიკომი), **მოკონამი**-ოკინოუმი (იორიტაოში), **ტაკეკაძე**-ტოკუსეგავა (ჰიკიოტოში), **იოშიკაძე**-კიმურაიამა (ოშიდაში), **ტაკამისაკარი**-ტოჩინონადა (ჰიკიოტოში), **ვაკაკოიუ**-ჰოკუტორიკი (ჰატაკიკომი), **შიმოტორი**-კორიუ (იორიკირი), **ტამანოშიმა**-საგაცუკასა (ოკურიტაოში).

**ძურიო**

**I დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): **გაგამარუ**-შოტენრო (იორიკირი), **კასუგაო**-კოტოკასუგა (კოტენაგე), **ჩიოჰაკუჰო**-ტამაასუკა (ჰიკიოტოში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აიას საჩემპიონო განაცხადი

08.05. გორი

| | |
|---|---|
| ლელო | 26 |
| აია | 30 |

ლელო (15-9): ყიასაშვილი, თოდუა, კორკელია, ანდღულაძე (ჯოგლიძე 56), გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (მირცხულავა 30), ჭყონია, სუჯაშვილი (ცხოვრებაშვილი 60), ხორბალაძე, აზალაძე, კოლელიშვილი (ი.მაისურაძე 67), სარდანაშვილი, ჭყოიძე

*2ლ: ხორბალაძე, მირცხულავა. 4ს,2გ: ყიასაშვილი*

აია (15-9): ხამაშურიძე, გოშაძე, გოგლიჩიძე, სინაურიძე, ჩხიკვაძე, შარვაშიძე (აშვეთია 67), როხვაძე. (1-8) ნარიაშვილი (ქვანია 79), სულუხია, ხეჩიკოვი (ლომიძე 20), ძაგნიძე, შალამბერიძე, დეკანოიძე (იობიძე 49), რევიშვილი, თხელიძე (ჩიქვინიძე 57)

*2ლ: როხვაძე, ჩხიკვაძე. 6ს,გ: სინაურიძე*

გაძევება: ჩიქვინიძე

მსაჯი: მ. ჩაჩუა



ირაკლი ჩხიკვაძის გამარჯვების ლელო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გორის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც პირველლიგელი „თსუ-ლომები“ ასპარეზობს, საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ“ ქუთაისის „აიას“ უმასპინძლა და ურთულეს ბრძოლაში 26:30 დამარცხდა.

„ლელომ“, რომელსაც ტიტულებთან ერთად საამაყოდ წელიწადნახევრიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, ზედიზედ მეორედ წააგო. გორში, საკმაოდ კოხტა, კოპწია სტადიონზე მშვენიერი სარაგბო გარემო იყო შექმნილი. ისეთ მინდვრის საფარზე, როგორიც გორის სტადიონზეა, მორაგბეები ხშირად ვერც ოცნებობენ.

თამაში ძალიან საინტერესო, უშელავათო გამოდგა და, რაც მთავარია, ხარისხიც სათანადო იყო. ერთადერთი, რაც შეიძლება ხინჯად დაგვრჩეს, ზოგიერთი გულშემატკივრის საქციელია, რის გამოც მატჩი ორჯერ მცირე ხნით შეწყდა, თუმცა ორივე გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ინციდენტს გაგრძელება არ მოჰყოლია.

თამაშის შედეგს, ცხადია, ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ლელომ“ წინა ტურში პირველი მარცხი იწვნია და წლეულს ჯერაც დაუმარცხებელი „აიას“ ძლევით სატურნირო ცხრილში მდგომარეობას გაიუმჯობესებდა. ქუთაისელი მორაგბეებისთვის კი ჩემპიონთან გამარჯვებას საკუთარ ძალებში რწმენა უნდა განემტკიცებინა.

„აიამ“ გასვლით შეხვედრებში საპლეიოფო ბრძოლებში ორი პოტენციური მეტოქე „ლელო“ და „ვისოლი ყოჩები“ დაამარცხა. ქუთათურები მეორე წრეში ორივე მათგანს მასპინძლობს, რაც, ცხადია, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს.

ლაპარაკი იმაზე, რომ „ლელოს“ კრიზისი დაეწყო, ნაადრევია. „აიასთან“ მარცხის ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, არასწორად შერჩეული ტაქტიკაა. იმის ნაცვლად, რომ თამაში გაეშალათ და ხელდახელ ბურთაობით, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლით მიეღწიათ მეტოქის ლელომდე, თამაში შეკრეს, ხშირად მოლითაც უტევდნენ. შერკინებას დიდი ჯაფა დაადგა, თუმცა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერაფრით შეძლო.

„აიას“ მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა. ქუთაისური შერკინება საკმაოდ მძლავრად მუშაობდა, საკმაოდ აქტიური იყო უკანა ხაზი. მათგან ვინმეს გამორჩევა ძნელია, რადგან გამარჯვებისთვის ყველამ მაქსიმუმი გაიღო.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ „აია“ მობილიზებულად, მეტი შემართებით თამაშობდა. ქუთაისელები უფრო მოტივირებულნი იყვნენ. ალბათ, დაძაბულობის ბრალია, რომ უჩვეულოდ ბევრი საჯარიმო დაინიშნა. „აიას“ შუამარბმა **გაგა სინაურიძემ** რვა საჯარიმოდან ექვსი გაიტანა. „ლელოს“ ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** კი ოთხიდან ოთხივე ზუსტად დაარტყა.

მთელი თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. ანგარიში მე-4 წუთზე ყიასაშვილმა გახსნა საჯარიმოთი. სინაურიძემ ოთხ წუთში საჯარიმოთივე გაათანაბრა. 23-ე წუთამდე მათ კიდევ თითოჯერ გაცვალეს საჯარიმოები - 6:6, რის შემდეგაც მომდევნო ათ წუთში უფრო ნაყოფიერად ქუთაისელი მორაგბეები გაისარჯნენ. 26-ე წუთზე სინაურიძემ საჯარიმო დარტყმით, 49 მეტრიდან ბურთი ძელებს შორის გაატარა - 9:6.

სამ წუთში „აიამ“ პირველი ლელოც მიითვალა. შეტევა ძალიან ლამაზი გამოვიდა. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონასთან ლელოელებმა რაკში ბურთი დაკარგეს. „აიას“ მორკინალების მოკლე დარტყმების შემდეგ ბურთი ხელთ იგდო მეორეხაზელმა **თორნიკე ძაგნიძემ,** რომელმაც მოედნის ცენტრთან „ლელოს“ ხაზი გაჭრა, ოციოდ მეტრი ირბინა, მისი შეყოვნება ფულბეკმა ირაკლი ყიასაშვილმა შეძლო, თუმცა ძაგნიძემ მოასწრო და იქვე მიმყოლ „აიას“ მოთამაშე მწვრთნელს, ფულბეკ **ბესიკ ხამაშურიძეს** გადააწოდა. „ანტილოპამ“ რამდენიმე მეტრი წაიწია და ბოჭვისას უკან ცხრა ნომერ **გიორგი როხვაძეს** გაატანა ბურთი. მას ხელს აღარავინ უშლიდა. სინაურიძემ ვერ გარდასახა - 14:6.

ქუთაისელთა გამარჯვებაში უნდა აღინიშნოს ბესიკ ხამაშურიძის წვლილი. „ანტილოპა“ მშვენიერ ფორმაშია და გასაკვირი არ იქნება, თუ ეროვნულ ნაკრებშიც დააბრუნებენ. ის უნარიანად ხელმძღვანელობს დაცვას და აქტიურად მონაწილეობს ყველა შეტევის ორგანიზებაში.

პირველი ტაიმის დასრულებამდე რვა ქულით ჩამორჩენილმა ლელოელებმა ზეწოლა გააძლიერეს და ყიასაშვილმა ორი საჯარიმოთი სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 12:14.

მეორე ნახევარი უკეთესი გამოდგა. ქომაგებმა სამი ლელო იხილეს და დაძაბულობა მატჩის ბოლომდე არ ჩამცხრალა. „აია“ პირველი ათი წუთი უფრო უნარიანად გაისარჯა და სინაურიძემ 49-ე წუთისთვის ორი საჯარიმოთი ისევ რვა ქულით დააწინაურა თავისიანები- 20:12.

მთავარი მოვლენები კი მატჩის ბოლო 15 წუთში განვითარდა. 67-ე წუთზე „ლელომ“ მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს საჯარიმო გაათამაშა. მორკინალები რამდენიმე მოკლე დარტყმით ლელოს მიუახლოვდნენ, კარის ძელთან ახლოს კი რაკიდან მოლი ააგორეს და ბურთი ჩათვლის მოედანში მეორეხაზელმა **ზურაბ ხორბალაძემ** შეიტანა. გარდასახვა ყიასაშვილმა ზუსტად დაარტყა და სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა - 19:20.

სამ წუთში „აიას“ შუამარბ სინაურიძეს ისევ საჯარიმოთი მიეცა ანგარიშის გაზრდის შანსი, გამოიყენა კიდეც და - 23:19. „ლელო“ მარცხის რეალური საფრთხის წინაშე დადგა, მთელი ძალით ამოქმედდა და თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ლელო გაიტანა. ქუთაისელი მორაგბეები საკუთარი ლელოს მისადგომებთან „ლელოს“ მოლის შეჩერებისას ორჯერ დაჯარიმდნენ. ლელოელებმა ორივეჯერ აუტში დაარტყეს. დერეფნის მოგების შემდეგ კი ისევ მოლით ეძალებოდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში შეცვლაზე შესული პირველხაზელი **ირაკლი მირცხულავა** მოლს მოულოდნელად მოსწყდა და ლელოში შეაღწია. ყიასაშვილმა გარდასახა - 26:23.

უნდა აღინიშნოს, რომ „აია“ ამ დროს უკვე კაცნაკლული თამაშობდა, რადგან არბიტრმა გვერდითი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის შეცვლაზე შესულ **თემურ ჩიქვინიძეს** წითელი ბარათი უჩვენა.

„აიამ“ თამაში ცენტრიდან განაახლა. დაკიდებული ბურთისთვის ბრძოლისას ერთ-ერთ ქუთაისელს ბურთი წინ გაუვარდა და „ლელოს“ ოცდაორმეტრიან ზონაში მათ სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. თამაშის დრო იწურებოდა. ძნელი სათქმელია, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, ლელოელებს ბურთი რომ შეენარჩუნებინათ. მათ შერკინებიდან უხეიროდ გამოიტანეს ბურთი, რომელსაც ქუთაისელი მორაგბეები დაეუფლნენ და სალელოვე შეტევა წამოიწყეს.

მორკინალებმა რამდენიმე დარტყმით ოდნავ წაიწიეს, მერე ბურთი მარცხნივ უკანა ხაზზე გაიტანეს. აქ **ირაკლი ჩხიკვაძისა** და **ზურაბ გოგლიჩიძის** მიძალება „ლელოს“ დაცვამ შეაჩერა. რაკიდან მარჯვნივ ახლა მორკინალებმა შეუტიეს. ისევ რაკი და როხვაძემ ახლა მარცხნივ კიდისკენ ჩხიკვაძეს გადააწოდა. ამან მოძრაობით აჩვენა, თითქოს გოგლიჩიძეს რთავდა შეტევაში, მაგრამ მიმართულება სწრაფად შეცვალა და ლელო გაიტანა. გარდასახვა სინაურიძემ ზუსტად დაარტყა - 30:26.

„აიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა და ჩემპიონის დამარცხებით ჩემპიონობაზე განაცხადი გააკეთა.

**V ტური**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-არმაზი | 24:7 |
| ბათუმი XV-ვისოლი ყოჩები | 17:35 |
| ხარები-აკადემია | 3:17 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | +64 | 8 |
| 2. აია | 4 | 4 | 0 | 0 | +47 | 8 |
| 3. ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +29 | 6 |
| 4. ლელო | 4 | 2 | 0 | 2 | +53 | 4 |
| 5. აკადემია | 4 | 1 | 0 | 3 | -7 | 2 |
| 6. არმაზი | 4 | 1 | 0 | 3 | -43 | 2 |
| 7. ბათუმი XV | 4 | 1 | 0 | 3 | -67 | 2 |
| 8. ხარები | 4 | 0 | 0 | 4 | -78 | 0 |

**VI ტური**

ლელო-აკადემია
არმაზი-ხარები
ვისოლი ყოჩები-ლოკომოტივი
აია-ბათუმი XV

ლეგიონერები

# ნახევარფინალი: კლერმონი-ტულონი



მარცხნიდან პირველი დავით ზირაქაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პლეი ოფის ნახევარფინალის შესარჩევი მატჩები გაიმართა. **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“, რომელმაც რეგულარული გათამაშება მე-3 ადგილზე დაასრულა, შინ მეექვსეადგილოსან „მეტრო რასინგს“ 21:17 მოუგო.

კლერმონელებმა მეტოქეს შვიდი საჯარიმო გაუტანეს, აქედან ხუთი საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომრის **მორგან პარას** ანგარიშზეა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულად ითამაშა.

„ვულკანების“ მეტოქე ნახევარფინალში **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“ იქნება. მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება.

მეორე შესარჩევ მატჩში **აქვსენტი გიორაძის** „კასტრმა“ სტუმრად წააგო „ტულუზთან“ - 12:35. გიორგაძე ტრავმირებულია და არ უთამაშია.

**ნახევარფინალი**

14 მაისი: ტულუზი-პერპინიანი
15 მაისი: კლერმონი-ტულონი

დასრულდა რეგულარული გათამაშება ელიტურ მეორე დივიზიონში. პირველი ადგილი და პირველი დივიზიონის საგზური ავტომატურად მოიპოვა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა“. პლეი ოფში, ანუ მეორე საგზურისთვის ბრძოლას კი მეორე-მეხუთე ადგილებზე გასული გუნდები განაგრძობენ. მათ შორისაა ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი „ოიონაქსი“ და „ლიონი“.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა“ ბოლო ტურში ბოლოადგილოსან „ლანამეზანს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით - 44:13 დაამარცხა. ლიონელებმა საბოლოოდ 94 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს და პირველ დივიზიონში აღზევების ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. კავთიძე განაცხადში არ იყო.

**გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა“ შინ წააგო 6:9 „ლა როშელთან“. შედეგად, ჩვენებურის გუნდმა, რომელმაც სეზონის ბოლოს საგრძნობლად დათმო პოზიციები, 89 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში სწორედ მესამე ადგილზე გასულ „ლა როშელს“ დაუპირისპირდება. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

პირველ დივიზიონში უკვე აღზევებულმა ანტონ ფეიქრიშვილის „აჟენმა“ სტუმრად წააგო **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბთან“ - 27:29. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, მაგრაქველიძემ კი სრულად ითამაშა და მეშვიდე წუთზე ლელო გაიტანა.

**ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა“ ბოლო ტურში სტუმრად წააგო „მონ დე მარსანთან“ - 15:42. დათუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს.

შინ მოუგო „ექსს“ **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსმა“ - 34:23. შერკინების ქართველი ბურჯი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXX ტური: **მონ დე მარსანი-ორიაკი 42:15, ტარბი-აჟენი 29:27, გრენობლი-ბორდო 33:3, ნარბონი-კოლომიე 34:17, დაქსი-ექსი 33:24, ლიონი-ლანამეზანი 44:13, ოში-პო 16:19, ოიონაქსი-ლა როშელი 6:9**

სატურნირო მდგომარეობა: **1. აჟენი - 105 ქულა, 2. ლიონი - 94, 3. ლა როშელი - 94, 4. ოიონაქსი - 89, 5. პო - 84, 6. გრენობლი - 84, 7. ორიაკი - 76, 8. ნარბონი - 73, 9. ბორდო - 70, 10. ტარბი - 70, 11, მონ დე მარსანი - 64, 12. დაქსი - 64, 13. ოში - 52, 14. კოლომიე - 45, 15. ექსი - 35, 16. ლანამეზანი - 19**

**ნახევარფინალი**

15 მაისი: ლიონი-პო
16 მაისი: ლა როშელი-ოიონაქსი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგბავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# პირველი ნახევარფინალისტი გაირკვა

სასწაული არ მოხდა და „სან ხოსემ" მოიპოვა დასავლეთი კონფერენციის ფინალში თამაშის უფლება. „დეტროიტთან" წინა მატჩში 1:7 განადგურების შემდეგ, „ზვიგენები" დროულად გამოფხიზლდნენ და პირველები გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

მასპინძლებმა თავიდანვე დაიწყეს შელახული პრესტიჟის აღდგენაზე ზრუნვა და სერიის მეხუთე მატჩში პირველივე წამებიდან შეუტიეს „რედ უინგზს", მაგრამ ზუსტ დარტყმებში უდიდესი უპირატესობის (15:6) მიუხედავად, „ზვიგენებმა" პირველ პერიოდში ანგარიშის გახსნა ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, მეორე პერიოდის სტარტზე ანგარიში „დეტროიტმა" წაიყვანა: წინა მატჩის გმირმა **იოჰან ფრანცენმა ბრაიან რაფალსკის** გაატანინა.

მაგრამ სტუმრები დიდი ხანი არ ყოფილან ლიდერის როლში - ორ წუთში **ჯო ტორნტონი** რიცხობრივი უპირატესობისას ყველაზე კარგად გაერკვა „დეტროიტის" კართან შექმნილ არეულობაში და შაიბა შეაგორა **ჰოვარდის** კარში - 1:1. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ერთ-ერთი დარტყმა იმ სამიდან, რომელიც „შარქსმა" მთელი მეორე პერიოდის განმავლობაში შეასრულა, „რედ უინგზის" ანალოგიური მაჩვენებელი კი 14 დარტყმას შეადგენდა, მაგრამ გოლები გუნდებმა თანაბარი რაოდენობით გაიტანეს.

მატჩის ბედი კი მესამე პერიოდში გადაწყდა, როცა მეშვიდე წუთზე **პატრიკ მარლომ** ერთი შეხებით ბრწყინვალე დარტყმა შეასრულა და მეორედ აანთო ჰოვარდის კარის უკან წითელი შუქი - 2:1 . ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა, თანაც „შარქსს" უპირატესობის განვრცობის მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე „დეტროიტს" ანგარიშის გათანაბრებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს ორი რეკორდი, რომელთა გამეორებაც „დეტროიტის" ჰოკეისტებმა შეძლეს. იოჰან ფრანცენმა პლეი ოფის ზედიზედ მე-12 მატჩში დააგროვა მინიმუმ ერთი ქულა და ამ მაჩვენებლით დაეწია ლეგენდარულ **გორდი ჰოუს**, რომელმაც ეს რეკორდი 1964 წელს დაამყარა. ხოლო „რედ უინგზის" კაპიტანმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** პლეი ოფში 247-ე მატჩი ჩაატარა და დაეწია ყველა დროის სიაში მეორე ადგილზე მყოფ ლეგენდარულ მეკარე **პატრიკ რუას.** პლეი ოფში თამაშების რაოდენობით ლიდერი კი **კრის ჩელიოსია** (266 მატჩი), რომელიც დღემდე თამაშობს AHL-ის ლიგის პლეი ოფში.

**პიტსბურგი–მონრეალი 2:1**

1:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეტანგი-4 (მალკინი-6, გონჩარი-8), 2:0 გონჩარი-2 (ორპიკი-2, ლეტესტუ-1), 2:1 კამალერი-9 (ჯონტა-4, პლეკანეცი-5).

**სერია: 3:2**

**ფილადელფია–ბოსტონი 5:4 (ო)**

1:1, 2:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 რეკი-5 (პ. ბერჟერონი-6, პეი-2), 1:1 ბრიერი-5 (ჟირუ-4, კარლი-3), 2:1 პრონგერი-4 (კარლი-4, კარჩილო-2), 3:1 ჟირუ-5 (ჰარტნელი-3, კარლი-5), 3:2 რაიდერი-3 (ჰენვიკი-6, ველერი-5), 3:3 ლუჩიჩი-2 (ვიდემანი-8, სავარი-2), 4:3 ლეინო-1 (პრონგერი-6, ბრიერი-6), 4:4 რეკი-6 (პ. ბერჟერონი-7, ვიდემანი-9). 5:4 საიმონ განიე-1 (კარლი-6, მ. რიჩარდსი-9).

**სერია: 1:3**

**ვანკუვერი–ჩიკაგო 4:7**

2:2, 1:3, 1:2

**გოლები:** 0:1 სიბრუკი-2 (ტეუვზი-12, ბაფლინი-1), 1:1 უელვუდი-2 (სამუელსონი-5, ბიეკსა-4), 1:2 ტეუვზი-3 (პ. კეინი-6, შარპი-6), 2:2 დ. სედინი-5 (ბაროუზი-1, ჰ. სედინი-9), 2:3 ტეუვზი-4, 2:4 შარპი-5 (ტეუვზი-13, პ. კეინი-7), 2:5 ტეუვზი-5 (ბოლანდი-4, შარპი-7), 3:5 ედლერი-2 (ერჰოფი-4, დ. სედინი-8), 3:6 კოპეცკი-3 (მარიან ჰოსა-8, შარპი-8), 4:6 ჰ. სედინი-3 (ბაროუზი-2, ო'ბრაიენი-2), 4:7 ბოლანდი-2

**სერია: 1:3**

**სან ხოსე–დეტროიტი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რაფალსკი-3 (ფრანცენი-12, ბერტუცი-9), 1:1 ჯ. ტორნტონი-3 (ჰიტლი-9, დემერსი-4), 2:1 მარლო-3 (ჯ. ტორნტონი-8).

**სერია: 4:1**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**B ჯგუფი**

**კანადა–იტალია 5:1**

2:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პერი1 (სტემკოსი-1, ბურკი-1), 1:1 სტრაცაბოსკო-1 (პლასტინო-1, სოუზა-1), 2:1 რასელი-1 (უიტნი-1), 3:1 დუშენი-1 (უიტნი-2, ბერნსი-1), 4:1 სტემკოსი-1 (დუშენი-1, კამისკი-1), 5:1 ბურკი-1 (მიერსი-1).

**შვეიცარია–ლატვია 3:1**

1:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ამბული-1 (ბრუნერი-1, მონე-1), 2:0 იოსი-1 (ბრუნერი-1, ამბული-1), 2:1 მეიჟა-1 (სლატსი-1, რედლიჰსი-1), 3:1 პლუსი-1 (ბეზინა-1).

**D ჯგუფი**

**აშშ–გერმანია 1:2 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ვოლფი-1 (მიულერი-1, ულმანი-1), 1:1 რ. კარტერი-1, 1:2 შულტცი-1.

**ფინეთი–დანია 1:4**

1:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ნილსენი-1 (კ. სტაალი-1, იაკობსენი-1), 0:2 რეგინი-1 (დეგნ1), 1:2 კონტიოლა-1 (აალტონენი-1, ნუმელინი-1), 1:3 იაკობსენი-1 (დრესლერი-1), 1:4 ნილსენი-2.

ველოსპორტი — ჯირო დ'იტალია

**I ეტაპი**

**ამსტერდამი. 8 კმ**

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტ, Team Sky) - 10,18; 2. **ბრენტ ბუკვოლტერი** (აშშ, BMC) - +0,2; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 4. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +0,5; 5. **გრეგ ჰენდერსონი** (ახ. ზელ, Team Sky) - იგივე დრო; 6. **რიჩი პორტე** (ავსტრა, Saxo-Bank) - იგივე დრო...

**II ეტაპი**

**ამსტერდამი–უტრეხტი. 209 კმ**

1. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Transitions) - 4.56,46; 2. **მეტიუ გოსი** (ავსტრა, HTC-Columbia) - იგივე დრო; 3. **ფაბიო საბატინი** (იტა, Liquigas) - 4. **ანდრე გრაიპელი** (გერ, HTC-Columbia) - იგივე დრო; 5. **ალესანდრო პეკატი** (იტა, Lampre) - იგივე დრო; 6. **კრისტოფერ სატონი** (ავსტრა, Team Sky) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - 5.07,09; 2. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Transitions) - +0,01; 3. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +0,3; 4. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Saxo-Bank) - +0,03; 5. **დევიდ მილარი** (ბრიტ, Garmin-Transitions) - +0,04; 6. **იოს ვან ემდენი** (ჰოლ, Rabobank) - +0,07...

ჭადრაკი

# ორი პარტია დარჩა

საჩემპიონო მატჩში სიტუაცია უცვლელია. ათი პარტიის შემდეგ ანგარიში კვლავაც თანაბარია და ყველაფერს ბოლო ორი პარტია გადაწყვეტს.

მეცხრე პარტიას **ვიშვანათან ანანდი** და **ვესელინ ტოპალოვი** სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ. კარგი დასაწყისის შემდეგ ინდოელმა დიდოსტატმა აშკარად უკლო: მერვე პარტიაში საყაიმო პოზიციისას დამარცხდა, ხოლო მეცხრეში პრაქტიკულად მოგებული პარტია ყაიმით დაასრულა.

ამიტომაც მეათე პარტიას უნდა ეჩვენებინა, რამდენად ბრძოლისუნარიანია ინდოელი მატჩის ბოლოს. როგორც აღმოჩნდა, ანანდი დანებებას არ აპირებს. უფრო მეტიც, დებიუტში ისე ჩანდა, რომ აზიელი შავი ფიგურებით მოგებაზე აპირებდა თამაშს, მაგრამ პარტიის შუაში დაფაზე საყაიმო სიტუაცია იყო. ტოპალოვმა ბოლომდე ბრძოლა ამჯობინა. დაძაბულ ენდშპილში უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე დიდოსტატისკენ გადადიოდა, საბოლოოდ კი მე-60 სვლაზე ყაიმი დაფიქსირდა. მატჩში ანგარიში 5:5 გახდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი — NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი



# ერთი მსახიობის შოუ

ბოსტონის TD Garden-ში შეკრებილმა პუბლიკამ, მისდა სამწუხაროდ, საკუთარი გუნდის სასტიკი მარცხი იხილა, მაგრამ მაყურებლებს დიდი ხანი დაამახსოვრდებათ ერთი მსახიობის შოუ, რომელიც **ლებრონ ჯეიმსმა** მოაწყო.

პირველივე მეოთხედში ცხადად გამოჩნდა, რომ მასპინძლის სტატუსის მიუხედავად, „ბოსტონს" კარგი არაფერი ელოდა. ამის მიზეზი ლებრონი იყო. „კლივლენდის" 23-ე ნომერი ნებისმიერი სიტუაციიდან აგდებდა, იქნებოდა ეს ჩატენვა, საფირმო გარღვევა, საშუალო დისტანციიდან სროლა... სასტარტო მონაკვეთში „მეფემ" ათიდან რვა ბურთი ჩააგდო და მარტოდმარტომ მოუგო მეტოქეს - 21:17. ლებრონს არც პარტნიორები ჩამორჩებოდნენ - „კავალერისტებმა" ერთობლივი ძალისხმევით პირველ მეოთხედში 36 ქულა დააგროვეს, თანაც ტყორცნების გამოყენების მაჩვენებელი 67 პროცენტს უდრიდა. მასპინძლების ანალოგიური მაჩვენებელი - 27 პროცენტი იყო, თანაც „ბოსტონმა" ფარქვეშ ბრძოლაც წააგო.

მასპინძლები აბსოლუტურად განადგურებულნი იყვნენ. „კლივლენდის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა** ზუსტად შეაფასა მომენტი და არ გააკეთა სტანდარტული შეცვლა. მან ძირითადი ხუთეული მოედანზე დატოვა და „სელტიქსის" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. დიდი შესვენებისთვის სტუმრების უპირატესობა 22 ქულამდე გაიზარდა, ხოლო ჯეიმსმა თავისი პირადი ანგარიში 28 ქულამდე აიყვანა (სულ მატჩში 38 ქულა დააგროვა).

თამაშის სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. „კავალიერსი" მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას და შეხვედრისთვის ინტრიგის შენარჩუნებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. **გარნეტი, პირსი** და სხვები შეურიგდნენ ნაგებას და დიდად არ იკლავდნენ თავს. როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, თამაშში სათადარიგოები ჩაებნენ და აქაც უპირატესობა სტუმართა რეზერვს ჰქონდა. მაქსიმალური სხვაობა, რომელსაც „კლივლენდმა" ამ მატჩში მიაღწია, 35 ქულას შეადგენდა, საბოლოო ანგარიში კი 124:95 გახლავთ. სხვათა შორის, ეს არის „კლივლენდის" ისტორიაში სტუმრად ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება.

■ ■ ■

იმ საღამოს კიდევ ერთი გმირი ჰყავდა, თანაც საკმაოდ მოულოდნელი. სლოვენიელი გამთამაშებლის **გორან დრაგიჩის** სნაიპერულმა გმირობამ „ფინიქს სანზს" ზედიზედ მესამე მატჩი მოაგებინა „სან ანტონიოს" წინააღმდეგ, რამაც პრაქტიკულად გადაწყვიტა აღნიშნული სერიის ბედი. **სტივ ნეშის** დუბლიორმა ბოლო მეოთხედში 23 (!) ქულა დააგროვა. ამან „სანზს" გაქცევის საშუალება მისცა და „სპურსმა" ვეღარ შეძლო მეტოქის დაწევა.

*„მინდა საკუთარი აზრი გამოვთქვა გორანის თამაშზე,* - განაცხადა მატჩის შემდეგ გამოცდილმა **გრანტ ჰილმა**. - *ცხოვრებაში არასოდეს მინახავს ვინმეს შესრულებით ისეთი თამაში, როგორიც მან ბოლო მეოთხედში აჩვენა".*

ჰილს თავისუფლად შეგვიძლია ვენდოთ. თუმცა შეხვედრის დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა მოვლენათა ამგვარ განვითარებას. „სან ანტონიომ" ჩვეულ სტილში, პირველივე წამებიდან აგრესიული თამაში შესთავაზა მეტოქეს. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო **ტონი პარკერის** ძირითად ხუთეულში დაბრუნებამ, სადაც ფრანგმა დებიუტანტი **ჯორჯ ჰილი** შეცვალა. ამ უკანასკნელმა აშკარად ვერ გაუძლო პლეი ოფის დაძაბულობას. სანამ „სპურსს" ენერგიის მარაგი ჰქონდა, მას აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდიოდა - **მეტ ბონერმაც** კი ერთი წუთის განმავლობაში ორი სამქულიანი ჩააგდო.

პირველი მეოთხედის 9 ქულით მოგების (28:19) შემდეგ, მასპინძლებმა მეორე 12-წუთეულის სტარტზე კიდევ უფრო მოუმატეს, ხოლო მოედანზე **დეჟუან ბლერის** გასვლიდან ცოტა ხანში სხვაობამ მთელი 18 ქულა შეადგინა. და მაინც, „ფინიქსის" თამაშს ეტყობოდა, რომ სტუმრები ასე იოლად არ დათმობდნენ შეხვედრას. დიდ შესვენებამდე **ჯეისონ რიჩარდსონმა, ლეანდრო ბარბოზამ** და **გრანტ ჰილმა** მეტოქე კონცენტრაციის დაკარგვისთვის დასაჯეს. „ფინიქსი" ექვსი ქულით მიუახლოვდა „სან ანტონიოს", ხოლო მესამე მეოთხედში საფუძველი ჩაუყარა საბოლოო გაქცევას.

სწორედ ამ დროს დადგა გორან დრაგიჩის გმირობის დრო. ამ მატჩის ბოლო მეოთხედამდე, სლოვენიელს მთელ სერიაში მხოლოდ შვიდი ქულა ჰქონდა მოპოვებული. ალბათ, **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდები არ ელოდნენ მისგან ასეთ თამაშს ან უბრალოდ ძალა არ ეყოთ დრაგიჩის შესაჩერებლად. ევროპელმა ფარქვეშიდან ზუსტი სროლით წინ გაიყვანა „ფინიქსი" - 73:72, რის შემდეგაც უფრო რთული ტყორცნების შესრულება დაიწყო - ფარქვეშ შესვლა, ხუთი მეტრიდან შეტევა, სამქულიანი ჯარიმასთან ერთად... საბოლოოდ, დრაგიჩმა მატჩში 26 ქულა მოიპოვა, „სანზმა" კი ლამაზ გამარჯვებას მიაღწია - 110:96. სერიაში ანგარიში 3:0 გახდა და „სან ანტონიოს" შანსები ნულამდე დავიდა. NBA-ის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გუნდს 0:3-ის შემდეგ მოეგოს სერია.

■ ■ ■

კიდევ ერთ სერიაში გადაწყდა გამარჯვებულის ბედი - 3:0 გახდა ანგარიში „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და „იუტა ჯაზის" დაპირისპირებაში, თუმცა, „ჯაზმენებს" ამჯერადაც შეეძლოთ შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულება. უბრალოდ, მასპინძლებს დაავიწყდათ, რომ მატჩი არა 47, არამედ 48 წუთი გრძელდება. სწორედ ბოლო წუთი მოიგეს სტუმრებმა 8:2 და გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

ამჯერად გუნდები სამქულიანების სროლებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გარკვეული ხანი ამ დუელში მასპინძლები იგებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **კაილ კორვერმა**, რომელმაც პერიმეტრიდან ხუთიდან ხუთი ჩააგდო და საბოლოოდ, პლეი ოფში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

მაგრამ ბოლო სიტყვა „ლეიკერსზე" იყო. **კობი ბრაიანტმა** და **დერეკ ფიშერმა** ორი სამქულიანი ჩააგდეს და მინიმალური უპირატესობა მოუტანეს თავიანთ გუნდს. „ჯაზს" ბოლო შეტევისთვის 4.4 წამი ჰქონდა და **დერონ უილიამსმა** მოასწრო საშუალო მანძილიდან სროლა, მაგრამ არაზუსტად. კიდევ იყო **უესლი მეტიუზის** თავგანწირული ნახტომი და თავისი ლიდერის მიერ აცილებული ბურთისთვის დამატების მცდელობა, თუმცა ამ ცდას არც სიზუსტე ეყო და არც დრო.

**ბოსტონი–კლივლენდი 95:124**

17:36, 26:29, 27:31, 25:28

ბ: გარნეტი (19), რონდო (18+8 პასი+5 მოხსნა), პირსი (11), რობინსონი (11), ტ. ალენი (10).

კ: ჯეიმსი (38+8 მოხსნა+7 პასი), ჯეიმისონი (20+12 მოხსნა), უესტი (14), ო'ნილი (12+9 მოხსნა), მ. უილიამსი (12+7 პასი), პარკერი (11).

**სერია: 1:2**

**ატლანტა–ორლანდო 75:105**

32:27, 17:30, 35:26, 28:15

ა: კროუფორდი (22), ჯოშ სმიტი (15+11 მოხსნა), ჰორფორდი (11+8 მოხსნა).

ო: ლუისი (22+5 მოხსნა), ჰოვარდი (21+16 მოხსნა), ნელსონი (14+5 მოხსნა+4 პასი), პიეტრუსი (13).

**სერია: 0:3**

**იუტა–ლეიკერსი 110:111**

22:17, 32:33, 26:32, 30:29

ი: უილიამსი (28+9 პასი), კორვერი (23), ბუზერი (14+14 მოხსნა), მილსეპი (13), მაილზი (11).

ლ: ბრაიანტი (35+7 პასი), ფიშერი (20), არტესტი (20), პ. გასოლი (14+17 მოხსნა), ოდომი (8+8 მოხსნა).

**სერია: 0:3**

**სან ანტონიო–ფინიქსი 96:110**

28:19, 22:25, 22:27, 24:39

ს-ა: ჯინობილი (27+5 პასი+3 ჩაჭრა), დანკანი (15+13 მოხსნა), მაკდაესი (12+10 მოხსნა), ბონერი (11), პარკერი (10+6 მოხსნა+5 პასი).

ფ: დრაგიჩი (26), რიჩარდსონი (21), გ. ჰილი (18), ნეში (16+8 მოხსნა+6 პასი), ბარბოზა (13), სტაუდმაიერი (7+8 მოხსნა+3 დაფარება).

**სერია: 0:3**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1 — ესპანეთის გრან-პრი

# უიღბლო ჰემილტონი

ესპანეთის გრან-პრი ჩემპიონატში ყველაზე სწრაფი მანქანის მქონე „რედ ბულის" ტრიუმფით დაიწყო. ამ გუნდის პილოტებმა - **მარკ უებერმა** და **სებასტიან ფეტელმა** სასტარტო ბილიკის პირველი ხაზი დაიკავეს. თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. წინა ოთხ რბოლაში ავსტრიული საჯინიბოს პილოტებს ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მისი გამოყენება ვერ შეძლეს (ფეტელმა მალაიზიაში მესამე ადგილიდან გაიმარჯვა). ამჯერად ნავსი მარკ უებერმა გატეხა, რომელმაც კარიერაში მესამე გრან-პრი მოიგო.

სტარტზე სხვა ლიდერებთან შედარებით ყველაზე აქტიურად **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი") გამოიყურებოდა. ბრიტანელი „რედ ბულის" წყვილს შეებრძოლა, მაგრამ წამგებიან ტრაექტორიაზე იმყოფებოდა და უკან დახევამ მოუწია. პირველ ექვსეულში ყველაფერი უცვლელად იყო - ლიდერთა სამეულს **ფერნანდო ალონსო** („ფერარი"), **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი") და **მიხაელ შუმახერი** („მერსედესი") გამოეკიდნენ, მეშვიდე პოზიციაზე კი **ფელიპე მასამ** („ფერარი") გადაინაცვლა, რომელმაც ერთგვარად საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინა კვალიფიკაციაში ჩავარდნის შემდეგ.

სწრაფი მანქანის მიუხედავად, „რედ ბული" ვერ ახერხებდა კომფორტული უპირატესობის შექმნას. უფრო მეტიც, პიტსტოპების პირველი სერიის შემდეგ ლუისმა შეძლო ფეტელის გასწრება - ბოქსებიდან გამოსვლისას ბრიტანელმა ჩვეულ აგრესიულ სტილში გადააგდო ტრასიდან გერმანელი.

თუ ჰემილტონმა ერთი საფეხურით აიწია, მოქმედმა ჩემპიონმა და ლიდერმა ბატონმა პიტსტოპისას ერთი პოზიცია დაკარგა - ჯენსონი შუმახერის უკან აღმოჩნდა. ამის შემდეგ „მაკლარენის" პილოტი დიდი ხანი ცდილობდა „წითელი ბარონის" გასწრებას, მაგრამ ბარსელონას ტრასამ დაამტკიცა თავისი მოსაწყენი იმიჯი - სასტარტო სწორ მონაკვეთზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი შიდა რადიუსზე გადიოდა და საკუთარ პოზიციას იცავდა. ამ დუეტთან ახლოს იყო ფელიპე მასაც, მაგრამ არც მის შეტევებს მოჰყოლია შედეგი.

დავუბრუნდეთ პიტსტოპების თემას. ამ მხრივ მთავარი უიღბლო **ნიკ როსბერგი** („მერსედესი") გამოდგა, რომელიც ამ ეტაპამდე მეორე ადგილზე იყო საერთო ჩათვლაში. მას თითქოს ნორმალურად მოემსახურნენ მექანიკოსები, ტრასაზე გაუშვეს, მაგრამ მოულოდნელად გააჩერეს, უკან გააგორეს და წინა მარჯვენა საბურავზე ჭანჭიკს მოუჭირეს. შედეგად, გერმანელი ათეულის მიღმა აღმოჩნდა.

ლიდერთა შორის დამაჯერებლად გამოიყურებოდა მარკ უებერი, რომელიც უპრობლემოდ ინარჩუნებდა ჰემილტონთან 10-წამიან უპირატესობას. თავად ლუისი და სებასტიან ფეტელი დროდადრო საუკეთესო წრეებს გადიოდნენ, ხოლო გერმანელის უკან დაახლოებით 5-წამიანი ჩამორჩენით ალონსო იმყოფებოდა. მოკლედ, დაშორებები საკმაოდ მცირე იყო, მაგრამ ბრძოლა არ იგრძნობოდა. უებერის უპირატესობა თანდათანობით იზრდებოდა და 15 წამამდე ავიდა, ჰემილტონსა და ფეტელს შორის კი ისევ 2 წამი დარჩა...

ფინიშამდე 11 წრით ადრე „რედ ბულის" ტრადიციული უიღბლობა დაიწყო. საბურავებთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა ფეტელს და გერმანელი დაუგეგმავ პიტსტოპზე შევიდა, რამაც ის მეოთხე ადგილამდე ჩამოაქვეითა.

ბოლოს კი არ გაუმართლა ლუის ჰემილტონს. ბრიტანელი ტრასიდან გადავარდა და ბარიერს დაეჯახა. ამის მიზეზი გახდა გახეთქილი საბურავი. 2008 წლის ჩემპიონის გავარდნის შემდეგ, მეორე ადგილზე გადაინაცვლა ალონსომ, რომელმაც უებერის შემდეგ დაასრულა რბოლა, ფეტელმა კი მაინც მოიპოვა ადგილი პოდიუმზე. შუმახერმა წინ გასვლის საშუალება არ მისცა ბატონსა და მასას და მეოთხე მივიდა ფინიშთან.

*„განსაკუთრებული დღე იყო. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ პოულის უპირატესობის რეალიზება მოვახერხე. პირველ მოსახვევში დამუხრუჭებისას დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, ასე რომ, მაქსიმალური სიზუსტით მოქმედება მჭირდებოდა. მე ეს შევძელი და შემდეგ დამაჯერებლად ვაკონტროლებდი რბოლას. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ აეწყო. და მაინც, ეს რბოლა ყველაზე გრძლად მომეჩვენა ჩემს კარიერაში. ადრე სტარტიდან ფინიშამდე ლიდერი არასოდეს ვყოფილვარ - ასე რომ, ეს წარმატება ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. მადლობა მექანიკოსებს, რომლებიც ორი კვირა ძალებს არ ზოგავდნენ და ბრწყინვალედ მოამზადეს მანქანა",* - განაცხადა რბოლის გამარჯვებულმა.

### ესპანეთის გრან-პრი (ბარსელონა)

66 წრე. 307.104 კმ

| | |
|---|---|
| 1(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1:35.44,101 |
| 2(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +24,065 |
| 3(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +51,338 |
| 4(6). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.02,195 |
| 5(5). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.03,728 |
| 6(9). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.05,767 |
| 7(11). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.12,941 |
| 8(7). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +1.13,677 |
| 9(18). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 10(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 11(14). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 12(10). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 13(8). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 14(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 2 წრე |
| 15(17). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | 2 წრე |
| 16(13). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 2 წრე |
| 17(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 3 წრე |
| 18(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 3 წრე |
| 19(22). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 4 წრე |
| 20(15). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 21 წრე |
| 21(23). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 35 წრე |
| 22(12). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 48 წრე |
| 23(24). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 62 წრე |
| 24(20). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 66 წრე |

**უსწრაფესი წრე:** ლუის ჰემილტონი (მაკლარენი) - 1.24,357 (60)

### საერთო ჩათვლა

1. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 70 ქულა (2 მოგება); 2. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 67 (1); 3. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 60 (1); 4. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 53 (1); 5. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 50 (0); 6. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 49 (0); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 49 (0); 8. **რობერტ კუბიცა** (რენო, პოლონეთი) - 44 (0); 9. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 22 (0); 10. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 16 (0); 11. **ვიტანტონიო ლიუცი** (ფორს ინდია, იტალია) - 8 (0); 12. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 7 (0); 13. **ვიტალი პეტროვი** (რენო, რუსეთი) - 6 (0); 14. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 3 (0); 15. **ნიკო ჰიულკენბერგი** (უილიამსი, გერმანია) - 1 (0).

### კონსტრუქტორთა თასი

1. **მაკლარენი** - 119 ქულა; 2. **ფერარი** - 116; 3. **რედ ბული** - 113; 4. **მერსედესი** - 72; 5. **რენო** - 50; 6. **ფორს ინდია** - 24; 7. **უილიამსი** - 8; 8. **ტორო როსო** - 3.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| პერუ | |
|---|---|
| სპორტ ბოისი-სან მარტინი | 0:1 |
| ინტი გასი-ხუან აურიჩი | 3:0 |
| სპ. კრისტალი-ტოტალ ჩალაკო | 1:0 |
| ხოსე გალვესი-კ. ნასიონალი | 0:0 |
| უნივერსიტარიო-მელგარი | 3:1 |
| ალ. ატლეტიკო-ლეონი | 0:1 |
| **აშშ** | |
| სოლტ ლეიკი-ფილადელფია | 3:0 |
| სიეტლი-ლოს ანჯელესი | 0:4 |
| ტორონტო-ჩიკაგო | 4:1 |
| კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 3:2 |
| დალასი-დი სი იუნაიტედი | 1:0 |
| სან ხოსე-ნიუ იორკი | 4:0 |
| ჩივასი-ჰიუსტონი | 0:2 |
| **იაპონია** | |
| ურავა-იოკოჰამა | 2:3 |
| შიმიცუ-ნიიგატა | 0:2 |
| კობე-ჯუბილო ივატა | 3:0 |
| ვეგალტა-ნაგოია | 1:2 |
| იამაგატა-ტოკიო | 0:3 |

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ბოსტონი-კლივლენდი | 97:87 |
| **ევროლიგა** | |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| ცსკა-პარტიზანი | 90:88 (ო) |
| **ფინალი** | |
| ბარსელონა-ოლიმპიაკოსი | 86:68 |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ბრაუნშვაიგი | 83:67 |
| გეტინგენი-ბრემერჰავენი | 91:73 |
| ტელეკომი-ბამბერგი | 78:80 |
| ალბა-სკაილაინერსი | 71:76 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-უნიკახა | 79:86 |
| ესტუდიანტესი-ალიკანტე | 83:77 |
| კახა ლაბორალი-ბრუესა | 96:61 |
| გრან კანარია-ვალენსია | 78:63 |
| ფუენლაბრადა-რეალი | 72:86 |
| ვალიადოლიდი-მურსია | 83:82 |
| ხუვენტუდი-ობრადოირო | 92:73 |
| მანრესა-სევილია | 72:58 |
| **იტალია** | |
| აველინო-ბიელა | 77:74 (ო) |
| მილანი-მონტეგრანარო | 81:58 |
| ფერარა-კაზერტა | 58:73 |
| ვარეზე-ვანოლი | 98:78 |
| სიენა-კანტუ | 82:59 |
| ტერამო-ბენეტონი | 82:86 |
| რომა-ვირტუსი | 78:59 |

### ჰოკეი

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბელარუსი-ყაზახეთი | 5:2 |
| ჩეხეთი-საფრანგეთი | 6:2 |
| სლოვაკეთი-რუსეთი | 1:3 |
| ნორვეგია-შვედეთი | 2:5 |

### ჩოგბურთი

| ATP. ესტორილი | |
|---|---|
| ფედერერი-მონტანიესი | 2:6, 6:7 |
| გარსია ლოპესი-ჟილი | 2:6, 7:5, 3:6 |
| მონტანიესი-ჟილი | 6:2, 6:7, 7:5 |
| **ATP. ბელგრადი** | |
| ვავრინკა-ისნერი | 5:7, 5:7 |
| კრაინოვიჩი-კუერი | 1:6, 2:6 |
| კუერი-ისნერი | 3:6, 7:6, 6:4 |
| **ATP. მიუნხენი** | |
| პეტცშნერი-იუჟნი | 5:7, 6:7 |
| ჩილიჩი-ბაღდატისი | 3:6, 6:2, 6:3 |
| ჩილიჩი-იუჟნი | 3:6, 6:4, 4:6 |
| **ATP. მადრიდი** | |
| კარლოვიჩი-კოროლიოვი | 6:4, 7:6 |
| მონაკო-გროილი | 6:1, 6:1 |
| კ. როხუსი-ერნანდესი | 6:4, 6:3 |
| ხიმენო ტრავერო-რასელი | 6:3, 6:7, 6:0 |
| ფერერი-შარდი | 6:3, 7:6 |
| **WTA. რომი** | |
| იანკოვიჩი-მარტინეს სანჩესი | 6:7, 5:7 |
| **WTA. ესტორილი** | |
| სევასტოვა-პარა სანტონხა | 6:2, 7:5 |
| **WTA. მადრიდი** | |
| ა. რადვანსკა-კირილენკო | 6:2, 6:2 |
| გოვორცოვა-გარბინი | 7:5, 6:2 |
| სკიავონე-კორნე | 6:2, 6:2 |
| შარაპოვა-საფაროვა | 4:6, 3:6 |
| ციბულკოვა-ბენეშოვა | 6:2, 6:2 |
| დუშევინა-ფლიპკენსი | 6:2, 6:1 |
| დულგერუ-ჩინკი | 6:1, 6:0 |
| ანენი-რეზაი | 6:4, 5:7, 0:6 |
| ჰანტუხოვა-პავლიუჩენკოვა | 4:6, 6:7 |

## TV პროგრამა

### 10 მაისი. ორშაბათი

**I არხი**

**22:00** არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-უიგანი.
**09:00** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**09:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი.
**11:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
**13:15** სინქრონული ცურვა. მონრეალი. კანადა.
**15:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიუნხენი. გერმანია.
**17:15** სპორტული ცეკვები.
**18:10** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. პარტიზანი-ცსკა. პარიზი. საფრანგეთი.
**20:00** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი.
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი. პარიზი. საფრანგეთი.
**23:45** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**00:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-უიგანი.
**02:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი.
**04:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
**06:00** სინქრონული ცურვა. მონრეალი. კანადა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**07:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსაკა. იაპონია.
**09:30** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
**11:20** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკი.
**13:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
**15:40** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-ლივერპული.
**17:25** 100% დინამო.
**17:45** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. მარიბორი. სლოვენია.
**20:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მიუნხენი. გერმანია.
**22:15** კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი.
**22:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**23:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:05** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
**01:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკი.
**03:55** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
**05:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-ლივერპული.

**EUROSPORT**

**10:30** ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
**10:45** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მონცა. იტალია.
**12:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. II ეტაპი. იტალია.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. რომი. იტალია.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. III ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:15** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მონცა. იტალია.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**21:30** ევროგოლი - ფაბიო კაპელო.
**21:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**22:30** ევროგოლი - მიხაელ ბალაკი.
**22:45** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ევროგოლი - მიხაელ ბალაკი.
**01:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**02:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. III ეტაპი. იტალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როჯერმა ტიტული ვერ დაიცვა

## ნადალი ჯოკოვიჩს ემუქრება

გრძელდება სათიხნარო სეზონში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** ნარუმატებელი თამაში. რომის მასტერსზე პირველივე მატჩში **ერნესტ გულბისთან** წაგების შემდეგ, როჯერი ეშტორილის მოკრძალებულ ტურნირზე შარშან მოპოვებული ტიტულის დასაცავად გაემგზავრა, მაგრამ იქაც ხელი მოეცარა. ორი წრის გავლის შემდეგ, ფედერერმა ორ სეტში წააგო 29 წლის ესპანელ **ალბერტო მონტანიესთან**, რომელიც ამ მომენტისთვის 34-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში.

მატჩის ანგარიშია - 6:2, 7:6(5). მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე ფედერერი 5:2 იყო წინ, მაგრამ ზედიზედ ხუთი გათამაშება დაუთმო მეტოქეს და ფინალის საგზური გადაულოცა მას. თამაში საათსა და 21 წუთს გაგრძელდა და შვეიცარიელს ჯამში 48 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა - ეს შეცდომები ძირითადად უზუსტო ბექჰენდებზე მოდის, რაც ყველაზე სუსტი წერტილი იყო მსოფლიოს პირველი ჩოგნის თამაშში.

მონტანიესი ფინალში გავიდა, სადაც გუშინ პორტუგალიელ **ფედერიკო ჟილს** სამ სეტში მოუგო.

■ ■ ■

ფედერერი კი დღეიდან მადრიდის მასტერსში ჩაებმება, რომელიც ბოლო დიდი ტურნირია როლან გაროსის წინ. ესპანეთის დედაქალაქში ყველა უძლიერეს ჩოგბურთელს ვიხილავთ **ნოვაკ ჯოკოვიჩის** გარდა. სერბს ალერგია შეეყარა და ამის გამო ვერ ახერხებს მადრიდში ჩასვლას. შესაბამისად, ნოვაკი ვერ დაიცავს შარშან მოპოვებულ 360 სარეიტინგო ქულას და ამან, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს მამაკაცთა კლასიფიკაციაში.

კერძოდ, თუ **რაფაელ ნადალი** შეძლებს მადრიდის მასტერსის მოგებას, ამ შემთხვევაში ის რეიტინგში მეორე პოზიციას დაიბრუნებს და როლან გაროსზე მეორე ნომრად იქნება განთესილი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ესპანური სენსაცია

## ანენმა და შარაპოვამ მადრიდში წააგეს

რომში დასრულდა უმაღლესი კატეგორიის ტურნირი, რომელშიც სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ესპანელმა **მარია-ხოსე მარტინეს სანჩესმა**. 27 წლის ესპანელმა ასეთ დონეზე პირველ გამარჯვებას მიაღწია. ფინალში პირენეელმა ლამაზ ბრძოლაში სძლია სერბ **ელენა იანკოვიჩს**, თუმცა სანამ გადამწყვეტ მატჩზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით ნახევარფინალები მიმოვიხილოთ.

მარტინეს სანჩესი ერთადერთი ნახევარფინალისტი იყო, რომელსაც არასოდეს ეკავა პირველი ადგილი მსოფლიოს რეიტინგში. ესპანელის მეტოქე **ანა ივანოვიჩი** იყო. სერბი თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას, რაც ამ ტურნირზე მის მიერ განვლილმა გზამ დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა საუკეთესო ათეულის ორი ჩოგბურთელი დაამარცხა და ნახევარფინალში აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა.

აქამდე ივანოვიჩი და მარტინეს სანჩესი არასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს და ამან ანას ცუდი სამსახური გაუწია. სავარაუდოდ, სერბი იცნობდა მეტოქის თავისებურ სტილს, მაგრამ არ იცოდა, რა დაეპირისპირებინა მისთვის. პირველი პარტიის ბოლოს სერბმა თავის მწვრთნელს შესჩივლა, რომ უბრალოდ ვერ ხვდებოდა მეტოქის დარტყმების ტრაექტორიას. ივანოვიჩმა ბოლომდე ვერ იპოვა ესპანელის თამაშის წინაალმდეგ გასაღები და 4:6, 2:6 წააგო.

მეორე ნახევარფინალში ელენა იანკოვიჩი მსოფლიოს პირველ ჩოგან **სერენა უილიამსს** ხვდებოდა. სერბი ამ ტურნირზე მეშვიდე ჩოგბურთელი გახდა ქალთა ტურში, ვინც ერთ ტურნირზე ორივე უილიამსის დამარცხება შეძლო. მეოთხედფინალში ელენამ მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო **ვენუსს** და სერენას უფროსი დისთვის რევანშის აღება მართებდა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება. მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს - 4:6, 6:3 და მთავარი მოვლენები მესამე პარტიაში განვითარდა.

გადამწყვეტ სეტში სიტუაცია კორტზე ყოველ წამს იცვლებოდა. თავიდან იანკოვიჩმა საკუთარი გეიმი დათმო და მეტოქეს კინაღამ მეორე ბრეიკის საშუალება მისცა. იქვე სერენამ ზედიზედ სამი გეიმი წააგო, რასაც ზედიზედ სამი მოგება მიაყოლა და მატჩზე მოწოდების უფლებაც მიიღო. უფრო მეტიც, ამერიკელს ერთი მატჩ-ბოლიც ჰქონდა, რომელიც იანკოვიჩმა სასწაულებრივად გადაარჩინა. თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა სერბის მხარეს გადავიდა, მაგრამ სერენამ ტემპს მოუმატა, კიდევ ერთი ბრეიკი მიითვალა და ისევ მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა.

„შემოკლებულ" გეიმში ელენა მუდმივად მდევრის როლში იყო. უილიამსი 5:2-ის იგებდა, რის შემდეგაც ზედიზედ ხუთი გათამაშება და მასთან ერთად სეტი და მატჩი წააგო.

მაყურებელთა მოლოდინი ფინალურმა მატჩმაც გაამართლა. ივანოვიჩისგან განსხვავებით, იანკოვიჩს ერთხელ ჰქონდა ნათამაშები მარტინეს სანჩესის წინაალმდეგ და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ესპანელი ჩოგბურთელის თამაშის სტილზე. პირენეელი ცაცია, ძალიან კარგად ასრულებს მოჭრილ დარტყმებს, რამაც ივანოვიჩს ნახევარფინალში დიდი პრობლემები შეუქმნა და კიდევ - შესანიშნავად თამაშობს ბადესთან, რაც არ არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ მარია-ხოსე წყვილებში თამაშის ოსტატია.

ფინალამდე მარტინეს სანჩესს ყველაზე რთული მატჩი პირველ წრეში ჰქონდა, როცა მან პირველი სეტი წააგო რუს **ალა კუდრიავცევასთან**, მეორეში კი 1:4-ს აგებდა. მაგრამ იმ მატჩის გადარჩენის შემდეგ ესპანელი შეუჩერებელი გახდა და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა (თანაც ორ-ორ სეტში) **ფრანჩესკა სკიავონე, კაროლინ ვოზნიაცკი** და ანა ივანოვიჩი.

ფინალი ორ სეტში დასრულდა. ორივე პარტია სერბმა მძიმედ დაიწყო. პირველში ის 2:5 ჩამორჩა და მარტინეს სანჩესი სეტზე აწვდიდა, მაგრამ იანკოვიჩმა არათუ გაათანაბრა ანგარიში, არამედ 6:5-ზე თავად ჰქონდა საკუთარ გეიმში პარტიის მოგების შანსი. არც ელენას გაუმართლა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, იქ კი ესპანელმა ორი სეტ-პოინტი მოიპოვა და მეორე ცდიდან მიაღწია წარმატებას - 7:6 (7:5).

მეორე სეტში მარია-ხოსე 5:4-ზე აწვდიდა მატჩზე და ისევ გაუშვა შანსი ხელიდან. ესპანელს აშკარად დაეტყო დაღლა და კორტზე მძიმედ გადაადგილდებოდა. მიუხედავად ამისა, მან რამდენიმე მოკლე დარტყმით ბრეიკი გაახერხა, თავის გეიმზე კი პირველმა მოწოდებამ არ უმტყუნა და უმძიმესი შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

**WTA**

**INTERNAZIONALI BNL D'ITALIA**

რომი (იტალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-სერენა უილიამსი (აშშ, 1) 4:6, 6:3, 7:6(5); **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ანა ივანოვიჩი (სერ) 6:4 ,6:2.

**ფინალი**

**მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 7:6(5), 7:5.

■ ■ ■

გუშინვე ანალოგიური კატეგორიის ტურნირი დაიწყო მადრიდში, სადაც მსოფლიო რეიტინგის ლიდერებს **ჟუსტინ ანენი** და **მარია შარაპოვაც** დაემატნენ, თუმცა ორივემ მოასწრო პირველი წრის მატჩის წაგება.

ბელგიელმა მსოფლიოს 22-ე ჩოგანთან, ფრანგ **არავან რეზაისთან** სამ სეტში წააგო - 6:4, 5:7, 0:6. მატჩი ორ საათს გაგრძელდა. ფრანგმა მეტოქის სამ ბრეიკს ექვსით უპასუხა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო რეზაის თამაში მესამე სეტში, როცა მან გეიმიც არ დაუთმო ბელგიელს.

რაც შეეხება მარია შარაპოვას, ის 4:6, 3:6 დამარცხდა ჩეხ **ლუსი საფაროვასთან.** ეს შედეგი არავის გაჰკვირვებია, რადგან რუსმა სათიხნარო სეზონში პირველი მატჩი ჩაატარა, საფაროვამ კი წინა კვირას რომში მეოთხედფინალამდე გააღწია და იქ მომავალ ჩემპიონ მარტინეს სანჩესთან წააგო.







